გამომაღვიძე, როცა მთვარიან
ღამით სიზმრები მკლავებს მომხვევენ,
როცა არავინ არ გიხარია,
არც ნაცნობი და არც ახლობელი.
როცა მარტო ხართ შენ და კედლები,
ჭერზე ჭაღი და ძირს ტყავი დათვის,
როცა გგონია, თითქოს ბერდები
და ამის გამო გთმობენ ან დაგთმეს,
და როცა ღამეს ხელში უჭირავს
თეთრ ზამბახივით – შენი სხეული,



როცა არავის მოაქვს ქუჩიდან
შენთვის სიმღერა ფეხ–არეული.
გამომაღვიძე, თბილი სიზმრიდან
ამომიყვანე, როგორც აკვნიდან,
ამომიყვანე, როგორც ნისლიდან,
ან როგორც ჩვილი რძიან აპრილთან
გამოჰყავთ, ნუღარ დამერიდები,
გულში კვლავ ძველი ვნების ნაღმი მევს,
გამომაღვიძე, თუ მოგინდები,
თუ მოგწყურდები – გამომაღვიძე!

ირაკლი ბაზაძე



მთაწმინდის ბინადარი

## მზე ეთხოვება ალბათ, ახლა ტურფა ტანქიას!

მონატრება

## ეს უცნაური, უცნაური, უც-ნაური ქალაქი



# მამული

მაისი ივნისი, 2010, N59

ასავალ-დასავალის პარტნიორობით

„ არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცადამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა! "

## ეს იყო მურმან მაჭავარიანის უკანასკნელი სიტყვები, ან კი პოეტის განგაშის ზარიც?!




ქრისტესმიერნო დანო და ძმანო,

უფლის კურთხევით და ბევრი კეთილი ადამიანის დახმარებით, ჩვენ უკვე შევიძინეთ უზარმაზარი შენობა ჩვენი ეკლესიისათვის ნიუ იორკში, სტეიტენ აილენდში.

ამჟამად ჩვენ ქალაქს წარვუდგინეთ გეგმა დასამტკიცებლად, რომელიც ჩვენს ეკლესიას ქველმოქმედებით შეუდგინა ამერიკაში მოღვაწე არქიტექტორმა ლიკა კაკაბაძემ. დღე-დღეზე ველოდებით მის დამტკიცებას, რათა დაუყოვნებლივ დავიწყოთ შიდა სამუშოები, რომელიც სავარაუდოდ ერთი თვე გაგრძელდება. პირველ რიგში მოვაწყობთ ეკლესიას, საკლასო ოთახებს ბავშვებისათვის, სამზარეულოს, ბიბლიოთეკას, დიდ საკონცერტო დარბაზს ქართული ღონისძიებებისათვის. ამ ეტაპზე შევასრულებთ მხოლოდ იმ აუცილებელ სამუშაოებს, რაც საჭიროა იმისათვის რომ საქალაქო სამსახურებმა შენობის გამოყენების ნებართვა მოგვცეს.

სამუშაოების ჩასატარებლად დაგვჭირდება უამრავი საშენი მასალა, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ გვინდა მოკრძალებით მოგმართოთ ყველა ჩვენს თანამემამულეს და გთხოვოთ ფინანსურად დაეხმაროთ ჩვენს ეკლესიას ამ რთულ და ისტორიულ პერიოდში.

ყოველი შემოწირული დოლარი დიდი დახმარება იქნება წმ. ნინოს ეკლესიისათვის, თქვენთვის კი – დიდი მადლი.

წინასწარ გიხდით მადლობას. ღმერთმა დაგლოცოთ!

Chase Bank,
Routing # 021000021,
Account # 907225332065
P.O. Box 351160,
Brooklyn, NY 11235

ქრისტესმიერი სიყვარულით

წმ. ნინოს ქართული ეკლესიის წინამძღვარი

დღეიდან გაზეთის ამ გვერდზე პერიოდულად შემოგთავაზებთ რეპორტაჟს წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის მშენებლობის მიმდინარეობაზე, რათა ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩეს ამ მამულიშვილური საქმის თითოეული დეტალი.

ამჟამად შიგა რეკონსტრუქციის გეგმას გთავაზობთ!

# ო, ეს უცნაური, უცნაური, უცნაური... ქალაქი

**„ქუთაისი „ეპიგონია" თავისი არსით.**
**იყო რაღაც მშვენიერი და დიდი, ახლა კი მხოლოდ ლამობს იყოს ასეთი. და რაკი არ გამოდის, ბრაზდება და ნიჰილისტური გაუფასურების ქეციან ეშმაკს უვარდება ხელში".**
**გრიგოლ რობაქიძე**







## კონტრასტების სამეფო

როცა ქუთაისზე მიდგება საუბარი, პირველი სიტყვა, რაც გონებას მოაწყდება, ესაა ნაცვალსახელი „ჩემი". ამ ერთ სიტყვაში მე ყველაფერს ვატევ - ჩემს სადაურობასაც, ჩემსა და მის მსგავსებასაც, ჩემს მრწამსსაც და ჩემს ყოფიერებასაც. ვიღაც ამ სიტყვაში მხოლოდ სადაურობასა და ყალბ პათეტიკას გულისხმობს. მე საკითხის ასეთ გამარტივებას არ ვაკადრებ ქუთაისს, რადგან „ჩემიო", - ვამბობ და ვგულისხმობ

საკუთარ ცხოვრებას ქუთაისში გატარებულსაც,

ქუთაისთან დაკავშირებულსაც,

ქუთაისისთვის გარჯილსაც და

რაც მთავარია,-

ქუთაისის მიღმა რაც მიცხოვრია, იმასაც,

რაც ქუთაისთან არაა კავშირში, მაგრამ ჩემი ქალაქის „ჩემიანობას" რომ წარმოაჩენს მთელი სიცხადით.

ამჟამად ამერიკაში ვცხოვრობ, ხვალ სად ვიცხოვრებ არ ვიცი, მაგრამ მე ქუთაისი გულითაც დამაქვს, როგორც სიყვარული და ზურგითაც - როგორც ტვირთი, პარადოქსებითა ვართ შემოსილი მეც და ჩემი ქალაქიც, და მიტომ. ქართველთა ცხოვრებაში პარადოქსები და კონტრასტები ბევრია, მაგრამ ასე მგონია, ქუთაისი ამ უცნაურობათა ეპიცენტრია, საიდანაც მომდინარეობს ქართული ბუნების სრული ნაზავი და არა პოლიტიკური მენტალობა.

ერთი დიდი თვისება აქვს ქუთაისს - მასში გამორიცხულია პოლიტიკური ამბიცია. იქამდე, ჩვენს ქალაქში პოლიტიკურ სიახლეებსა და ძვრებს სრული ინდიფერენტულობით ეგებებიან. ეს არაა ნიჰილიზმი, ეს ქუთაისური ბუნებაა თანდაყოლილი.

ქუთაისს ვამბობ და ყველა ქუთაისელს ვგულისხმობ, რადგან ქალაქი ადამიანთა გარეშე მხოლოდ გეოგრაფიულად შემოფარგლული არეალი და ურბანულად გაშენებული სახლებია, ქუჩები და წყალსანიაღვრე მილების სისტემაა. თვით მისი ზედაპირული იერსახის გამოსახულება ქალაქის ფსიქოლოგიურ, თუნდაც ფილოსოფიურ ტიპს სრულფასოვნად ვერ წარმოაჩენს. ეს განფენილობაა და ზედაპირული პორტრეტი. თუმცაღა ქუთაისს ამაშიც აღმოაჩნდა კონტრასტული ბუნება:

ის არ ექვემდებარება ქალაქთმშენებლობის ურბანიზაციულ კანონებს, რამეთუ არაა გაშენებული გეომეტრიული პრინციპის კანონზომიერებებით -

ან წრიული,

ან სამკუთხა,

ან ოთხკუთხა,

ან მრავალკუთხა,

ან პარალელურ-პერპენდიკულარული განლაგების წესებით. ქუთაისის თითოეული სახლი, რომელიც წარმოქმნის ქუჩას, ისეა აშენებული და ისეთი მიმართულება აქვს მიცემული, როგორიც სახლის პატრონისთვის იყო ხელსაყრელი, ან მოსახერხებელი. ეს კი უნიკუმია, ასე იწყება ქუთაისური ბუნების ჩამოყალიბება.

კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელი და რაც მთავარია თვალში მოსახვედრი: მაგალითად, თბილისელები თბილისში ჩასულებზე იტყვიან „ჩამოსულებიო", ქუთაისელი კი ამ სიტყვას ასე წარმოთქვამს და შესაფერის შინაარსსაც აძლევს - „შემომატებული"...

მარტო შინაარსს კი არ აძლევს, არამედ თვითონაც ისე ეპყრობა ახლადჩამოსულს, როგორც წარმოთქვამს... შემომატებულიო, ანუ ითავისებს მას, თავისიანად ხდის, უპირატესობას არ ანიჭებს საკუთარ პერსონას, რადგან უნდა ჩამოსულიც რომ გახდეს ქუთაისელი და არ დაკომპლექსდეს იმით, რომ წარამარა შეახსენოს თბილისელივით - შენ ჩამოსული ხარ, მე ადგილობრივიო, ე.ი. „კარენოი". ეს ერთგვარად შეურაცხმყოფელიც არის ყველასთვის. ქუთაისში კი ამის პრობლემა არავის გააჩნია და იმიტომაც, რომ ქუთათურები არასოდეს ყოფილან გაფეტიშებულები რაღაც უპირატესობებით.

კიდევ ერთი:

გალაკტიონის საყოველთაოდ ცნობილ ლექსს „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო"... მისამღერი დაამატეს და ისე ოსტატურად, საქმეში ჩახედული კაცი თუ არა, ვერ მიხვდებიან, ეს მისამღერი გალაკტიონს რომ არ ეკუთვნის.

ეს ზედაპირულად.

არსით, შინაარსითა და სტილით, რა თქმა უნდა, ერთი სხვაა და მეორე სხვა, მაგრამ ერთიან სასიმღერო მელოდიაში უერთმანეთოდ ეს სტრიქონები ვერ იარსებებენ.

კონტრასტი დამშვენდა,

გამშვენდა და

მშვენიერებად განხორციელდა.

მთელი ქუთაისი თავისი შინაარსიანი და უშინაარსო ატრიბუტით ესაა!!!

ლექსის პირველი, ანუ გალაკტიონისეული ტაეპი ასე იკითხება -

*„წყალტუბოდან ქუთაისში*
*მიმავალო ქარო,*
*თუ მაისის ქუთაისმა*
*გკითხოს ვინა ხარო,*
*უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,*
*არ კი უთხრა ვისი,*
*ამას თვითონ მიგიხვდება*
*ჩემი ქუთაისი".*

აქ პოეზიაა, პეიზაჟი, პირველქმნადობის სუნთქვა, თითქოსდა ქარების სუნთქვაში სულდგმულობს ქუთაისი. ამის იქით მეტს ვერაფერს დაწერ, რომც დაწერო, არაა საჭირო, ვერ გაითავისებს ერთი მეორეს, ან სხვა დანარჩენს.

მაგრამ ვიღაც დარდიმანდმა, ალბათ ბოლშევიკური ეიფორიით, მუსიკისა და ლექსის ასე თუ ისე მცოდნემ, რომელსაც აქვს შემოქმედებითი ამბიცია, თუმც არც დიდი პოეტია და არც დიდი კომპოზიტორი. სწორედ ასეთი დიაპაზონის პოეტი გაემეტიქა გალაკტიონს და ლექსს დაამატა ერთი ტაეპი, რომელიც წარმოადგენს ქუთაისისა და წყალტუბოს განმარტებას გარითმულ ფორმაში-

*„ქუთაისი ქალაქია*
*ინდუსტრიის მშენებელი,*
*წყალტუბო კი მხარე არის*
*მისი დამამშვენებელიო".*

რა თქმა უნდა, სრული კონტრასტია, მაგრამ პარადოქსი: ეს ორი ურთიერთშეუთავსებელი ტაეპი ჰარმონიულად შეათავსა მუსიკამ - ქუთაისურმა მრავალხმიანმა ჰანგმა გიტარის თანხლებით. გალაკტიონის შემდეგ თითქოსდა ირონიულად, სწორედ რომ ქუთაისური სარკაზმით ჟღერს სიტყვათშეთანხმება - „ინდუსტრიის მშენებელი"...

იქნებ ამისთვის დაიწერა?

იქნებ შეუთავსებლობის შეთავსება ამ გზით გაიაზრა ქუთაისმა?

ყოველი შემთხვევისთვის, დღესაც ამღერებენ სუფრებზე დარდიმანდები და დიდი გატაცებით მღერიან ქართული ანსამბლები ამ სიმღერას იმის მიუხედავად, რომ ქუთაისიდან საპნის ბუშტივით გაიპარა ინდუსტრიალიზაცია. მე კი ასე მგონია, რომ არათუ მხოლოდ ლექსმა და სიმღერამ აუღო ალღო რეალობას და თავისი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად კონტრასტული ნაპირები გაერთიანდნენ, არამედ თვით ცხოვრებამაც იპოვა იმ ყბადაღებულ ინდუსტრიალიზაციაში სასიცოცხლო ძალა, სხვა გამოსავალი ქუთაისს არ ჰქონდა, და მიტომ... და ეს მაშინ, როცა ქალაქის ნატურაში სავსებით არ ზის ეს ყბადაღებული და თავსმოხვეული ეკონომიკური პოლიტიკა. ხომ ყველამ ვიცით: ქუთაისის ავტოქარხნიდან ვერ ასწრებდა ავტომობილები გამოსვლას, რომ გზაში უცვიოდა ნაწილები. ჩვენ კი დღემდე ვმღერით, ქუთაისი ინდუსტრიის მშენებელი ქალაქიაო. პარადოქსია, აბა რა!..

ეს იმ ანდაზას მაგონებს - „ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ატენიდნენო"... მაგრამ ვირი რისი ვირია და სადაური ბრძენია, რომ იმ პიტნასაც უნდა შეეგუოს. ეს სულაც არ ნიშნავს უთავმოყვარეობას. პირიქით, ამით გადარჩა ქუთაისი, როგორც ქალაქი, და ამიტომ დღემდე აღინიშნება რუქებზე ქუთაისის ადგილმდებარეობა დიდი აღმნიშვნელი წერტილითა და წარწერით „KUTAISI". თავისთავად ალღო აუღო ქუთაისმა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას და ქართულ მეტალურგიულ მარაქაში ისიც ჩაერთო. მაგრამ ეს მისეული ფუნქცია სულაც არ ყოფილა.

იქნებ ბოლშევიკებმა სპეციალურად დატვირთეს ქუთაისი ამ „დავალებით", რათა მას თავისი დანიშნულება დაჰკარგოდა?! ეს კიდევ სხვა საკითხია. პარადოქსია, მაგრამ ქალაქმა გაუძლო ამ სიმძიმეს და ქუთათურებს მაინცა და მაინც არ შეხებია ეს საბჭოური სახადი.

ალბათ ქუთაისს და მის კოპწია ქუჩებს გულისხმობდა მუხრან მაჭავარიანი, მთელს საბჭოეთს რომ გადააყვირა თავზე - „ამ ვიწრო ქუჩებში კომუნიზმი ვერ შემოაბიჯებსო".

## ორმაისობის მისტიური დღესასწაული

ყველა ზეიმსა და დღესასწაულს რაღაც სიმბოლური დატვირთვა გააჩნია, ან რაღაც ღირსსახსოვარ თარიღთანაა ის უსათუოდ დაკავშირებული.

დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება კალენდარული დღე, რომელსაც თავისი ისტორიული, რელიგიური ან სხვა მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ერთადერთია ასეთი თარიღი და ისიც ქუთაისში, რომელსაც არ გააჩნია თავისი წარმომავლობის სპეციფიური წანამძღვრები. ასეთი პარადოქსებიც ხდება ქვეყნად.

ერთი რამ ტრადიციად დამკვიდრდა - ორმაისობას აუცილებლად იმართება საყოველთაო სეირნობები საღორიის ტყეში.

ეს არის და ეს.

ვითომ ეს გულმავიწყობაა? ვერ ვიტყვი.

განა ცოტა უმნიშვნელო დეტალი ასახავს ქუთაისს? დღეს რაღა, მაგრამ გარდასულ წლებში მოხუცთათვის რომ გეკითხა, რა მოხდა ისეთი ორ მაისს ქუთაისშიო, დაზუსტებით ვერავინ ვერაფერს ამბობდა.

ნაბოლშევიკარი პენსიონერები იმას ამბობდნენ, რომ ამ დღეს ჟანდარმებმა ქუთაისში საპირველმაისო მიტინგი დაარბიესო;

დენდები ასე იტყოდნენ, ამ დღეს ყველაზე დიდი სუფრა გაიშალა და ქალაქში რომ არ დაეტია, საღორიის ტყეში სუფთა ჰაერზე გაშალესო;

მსახიობები იმას ამბობდნენ, რომ ორ მაისს ქუთაისში ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიერა ჩატარდაო;

მწერლები ვიღაც მწერლის რაღაც შედევრზე იტყოდნენ, ეს დაიწერაო;

ვაჭრები ყველაზე სარფიან ნავაჭრ დღედ მონათლავდნენ ამ დღეს.

ერთის სიტყვით, ორმაისობა ყველა ქუთათურისთვის თავისებურად აღქმადია. ის კონკრეტული პროფესიის, საზოგადოებრივი ფენის, ეროვნების თუ კონფესიის წარმომადგენლის განსაკუთრებული დღე არაა. ის ქუთაისის დღეა და მთელმა საქართველომ ამის შესახებ იცის. ორმაისობას ქუთაისი ნებისმიერი ჯურის სტუმრისთვის განსაკუთრებული მასპინძელია.

და მაინც: რატომ საყოველთაო სეირნობები და ისიც ტყეში და თუ სეირნობები, რატომ მაინცა და მაინც ორ მაისს. ნუთუ სამ მაისს ვერ ისეირნებდნენ? ან თუ სეირნობა, რატომ მაინცა და მაინც საღორიის ტყეში?

ამაზე რომ პასუხი გავცეთ, ქუთაისის ტვინში უნდა ჩავიხედოთ. ამას კი მხოლოდ თავისი ქალაქის უაღრესად მოყვარული შესძლებს. მე ისე ვერ გავკადნიერდები, რომ ასეთად ჩავთვალო თავი, თუმცაღა ჩემი სიყვარული ჩემი ქალაქის მიმართ უაღრესია, მის ტვინში კი ჯერ არ ჩამიხედნია, ალბათ არც მიცდია.

ბულონის ტყეშიც სეირნობენ ფრანგები, მაგრამ საამისოდ კონკრეტული დღე არ დაუწესებიათ - ვისაც როდის უნდა, მაშინ სეირნობს. ამისთვის დღესასწაულის რანგში არც ერთი დღე არ გამოუყვიათ წელიწადში. ამ უცნაურობაშიც ვლინდება ქუთაისის უნიკალობა.

მაგალითად, თბილისობა ხელოვნურად შექმნილი დღეობაა და ჩვენს ეპოქაში შეიქმნა და ვიცით, რატომაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ორმაისობა ქუთაისობა არაა. მას მხოლოდ საქმეში ჩაუხედავები აიგივებენ. ქუთაისობა, როგორც ასეთი, არ არსებობს და რომ შეიქმნას და თუ შეიქმნა, თბილისობასავით ხელოვნური და „ყურით მოთრეული" დღეობა იქნება და რაც მთავარია, უტრადიციო. ორმაისობას კი თავისი ძირძველი ტრადიცია გააჩნია, რომლის დარღვევა იმას ნიშნავს, რომ უგულებელჰყო ეს ზეიმი. საღორიის ტყეში - თუნდაც ყირამალა დადექი, მაინც იზეიმებ, სხვა შემთხვევაში თავისვ პეწი ეკარგება ზეიმს. ერთხანს დოღიც იმართებოდა, ძაღლების შეჯიბრიც, სპორტული კროსი და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

ორმაისობა ყველას უხარია და რა უხარიათ, არ იციან.

ქვეყნიერებში თუ ჩავიხედავთ, ამ დღის სიცოცხლე უხარიათ, თვით სიხარული უხარიათ. ყველა ქეიფობს, ყველა ულოცავს ერთმანეთს! ულოცავენ და ქეიფობენ იმას, რომ ცოცხლები არიან (ეს ახლა), რომ არსებობს რაღაც იდუმალი მიმზიდველობა, ერთმანეთისკენ რომ იზიდავს ერთმანეთ-შეუთავსებლებსაც კი.

არქიმედე ამ დროს საყრდენს ეძებდა, დედამიწა რომ გადაეტრიალებინა, არადა, არ იცოდა, როგორი მიწიერი საყრდენია ქუთაისი ყველანაირი აჭირებული იდეის, ყველანაირი თავქარიანი წამოწყების, ოღონდ თვითონ ქუთაისი არ უნდა გახადო ყველაფერ ამის მედროშედ და ეპიცენტრად. საყრდენი, და არა სათავე, ან მოთავე - ესაა მთელი ქუთაისი თავისი არსით, თორემ სხვაფრივ გინდ ქვეყანა გადაატრიალე, გინდ დედამიწა, და თუ გინდა ზეცაც, მისთვის ეს სულ ერთია, ყველაფერში მხარს აგიბამს, დაგეხმარება.

ამიტომ არ ჩანს ორმაისობის სათავე, მაგრამ ორმაისობა არსებობს და განაგრძობს არსებობას მხოლოდ ქუთაისში, ქუთაისში ნახა საყრდენი, და მიტომ. ყველაფერი იმიტომ ხდება ასე, რომ მოქალაქეების განზოგადებული პორტრეტია ის. არაა მასში გამოკვეთილი სახელები და გვარები (თუმცაღა, თუ დავკონკრეტდებით, მთელი წყებაა ადამიანთა, რომლებმაც თავისი ღირსეული და უცვლელი ადგილი დაიმკვიდრეს ქუთაისის ცხოვრებაში, ისინი არათუ მხოლოდ ქალაქის, თვით ეპოქის კოლორიტებად იქცნენ).

როცა ქუთაისზეა საუბარი და არა კონკრეტულ პიროვნებებზე, მხოლოდ მაშინ აღიქვამ მას მთელი სიგრძე-სიგანით, რამეთუ ისინი თავისთავად ჩაქსოვილნი არიან ქალაქის სახისმეტყველებაში და რომელიმე მათგანი რომ ვახსენო, გამოიყოფა მხოლოდ ქუთაისის ერთი მცირედი დეტალი და დაირღვევა მთლიანობა, თვალს ვერ გავადევნებთ მის სრულმომცველ ფსიქოლოგიას.

მერე რა, რომ ქალაქმა განიცადა ინტელექტუალური გენოციდი და დარჩა დაცარიელებული და ფაქტობრივად უფუნქციოდ, ამაშიც კი ქუთაისი შეუდარებლად მდიდარია, რადგან ყოველთვის ფენიქსივით წამოიმართება მაშინ, როცა მის ფეხზე დადგომას აღარავინ ელის. ამაშია სწორედ მისი ძალა. თუ ხდება ინტელიგენციის პერმანენტული გადინება ქალაქიდან, სამაგიეროდ ულევი მადანივით იბადებიან ახალი ძალები, რათა ისევ კვებონ სულიერებით სატახტო ქალაქი, რათა მოთხოვნილება ქუთაისზე არასოდეს გაქრეს.

ყველაზე უცნაურად სასაცილო სანახაობაც ქუთაისშია, შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ აქაურს მაინც თავისი აზარტული მიმზიდველობა გააჩნია - ღამის ქუთაისი.

ის მკვდარივით თვლემს, თითქოსდა საშინელებათა ფილმების მსგავსად შებინდებულზე უკაცრიელდება მთელი ქალაქი. მხოლოდღა ახლადგარემონტებულ-რესტავრირებული ქუჩებია განათებული უკანასკნელ კენჭამდე. შენობათა თითოეულ სვეტს დაყენებული აქვს პროჟექტორი და ბრჭყვიალებენ შენობის კონტურები ღამის სიბნელეში.

ლამაზია ღამის ქუთაისი და მით უფრო ქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლია აღმართული მაღალ პიედესტალზე. მართალია დიდი მეფის ძეგლი მეტალში ჩამოსხმული ღამის ბურუსში იკარგება და უჩინარდება, სამაგიეროდ პიედესტალს ხვდება შუქი, უფრო სწორად გამონაშუქის ანარეკლები და ასე გგონია, შუა მოედანზე სტელა აღუმართავთ ვიღაცის ან რაღაცის განსასვენარით!

არადა, არ არსებობს იმ ღამეში კაცი, ეს რომ შეამჩნიოს. აქედან, ამ შორეული ქვეყნიდან ვხედავ ამას, ესეც იმიტომ, რომ ქუთაისში როცა ღამეა, აქ დღეა, მე მაშინ არ მძინავს და ჩემს ქალაქს ვუყურებ, არათუ ბინოკლით, არამედ მესამე თვალით.

## მაინც მკვიდრდებიან მსოფლიო კაცები ქუთაისში

ქუთაისმა რომ ძეგლები არ გაახარა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მხოლოდ ისინი გადარჩა, რომლებსაც ხელით ვერ შესწვდა. ხანდისხან ჩემი ქალაქი უაღრეს პროვინციალიზმს იჩენს და სავსებით არ შეეფერება გაერთიანებული საქართველოს პირველი სატახტო ქალაქის იმიჯს. მაგრამ მიზეზი მარტივია, სხვა გასართობი ქუთაისს აღარაფერი დარჩენია და მიადგა დები იშხნელების, ილო ფოტოგრაფის, პიკასოს ბიჭის ძეგლებს, ზოგს ცხვირი მოამტვრია, ზოგს ფეხი, ზოგზეც თინეიჯერული ავარობით სახელები ამოჩხაპნა და შუაში პლიუსი დაუსვა. აკაკის ძეგლს ვერ შესწვდა და პოსტამენტი მოუჩხაპნა ქიმიური საღებავით. დავით აღმაშენებლის ძეგლი ხომ საერთოდ ღამის უკუნეთში აიტყორცნა.

ანაზდად მფრინავი ფრაზა მახსენდება კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა" -

„ესაა, ბიჭო, პიკასოს ბიჭი?

ამით ერთობა პიკასო?"

რითი ერთობა და რითი არა პიკასო, ეს პიკასოს დავუტოვოთ, ჩვენ კი პიკასოსთან და მის ბიჭთან დავრჩეთ. მსოფლიომ არ იცის, რომ ქუთაისში დგას ძეგლი, რომლის სათაურის პირველწყარომ სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ მსოფლიო სახვითი ხელოვნების აუქციონზე მოხსნა ვან-გოგის „მზესუმზირების" რეკორდი და პაბლო პიკასოს „P'tit Louis" (პატარა ლუი) სოთბის აუქციონზე გაიყიდა 119 მილიონ დოლარად. ეს თანხა ბევრად აჭარბებს და აღემატება ქუთაისის ბიუჯეტს.

მსოფლიომ არ იცის, რომ პიკასოს ეს ბიჭი ქუთაისში შინაური გახდა ისე, როგორც ცხოვრების ყოველდღიურობა. იქამდე, პიკასოს თავის სიცოცხლეში გაგონილიც არ ექნებოდა ქუთაისის შესახებ, მით უმეტეს ის, თუ ასე პოპულარული იქნებოდა იგი და მისი ვარდისფერი პერიოდის შედევრი მისთვის აბსოლუტურად უცხო გარემოში. მართალია ძეგლზე წაითამაშეს, მაგრამ ისიც შეიძლებოდა, საერთოდ რიონში გადაეგდოთ იმ პატარა ბიჭივით „ამპრეღუზო მედუზოს" რომ იძახის და ქუდებს ართმევს აგულისა და შავლეგს...

რა თქმა უნდა, ამ პოპულარობაში ლომის წილი უდევს მწერალსა და სცენარისტ რეზო გაბრიაძეს, მაგრამ რომ არა ქუთაისის თავნება თვისება უცხოს გათავისებისა, არც ეს ფრაზა და არც პიკასო და მისი ბიჭი ასე ხელი-ხელ საგოგმანები არ იქნებოდნენ ქუთაისში.

ეს ხასიათი და ბუნებრივი მოთხოვნაა ქუთაისის, რათა კონტრასტების სილამაზით წარმოჩნდეს. ეს ისეთივე უნიკალური მომხიბლაობაა, როგორც თვით იმავე პიკასოს გასაოცარი კუბისტური ნახატები და ამ მიმდინარეობის უპირველესი წინამორბედი - „ავინიონელი ქალები".

ამისთვის ქუთაისს ჯერ არ მოუცლია.

„პიკასოს ბიჭებიო", - ამბობენ ქუთაისში და უკვე ამ სახელწოდების კომედიურ-მუსიკალური ჯგუფსაც გულისხმობენ. ერთის სიტყვით, ეს სიტყვათშეთანხმება ისევეა გაიგივებული ქუთათურებთან, როგორც საფიჩხიელი, ბალახვნელი, ჭომელი, ზასტაველი და სხვ.

ამ დონეზე თუ შეითვისებდა ქუთაისი პიკასოს, არათუ პიკასომ, თვით ქუთაისმაც არ იცოდა მთელი სიცხადით, რადგან სიყვარული და შეთავსება მარტო კინოფილებით, ან ქალაქელობით კი არ ხდება, არამედ რაღაც განსაკუთრებული და განსხვავებული კრიტერიუმით, რომლის სიღრმესაც ჯერ კიდევ არ ჩავმწვდარვარ. ერთი კია, რომ ამ საყოველთაო აღიარება-გათავისებაში ქუთაისურ იუმორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სიცილი მარტო არ ჰყოფნის იუმორს. აქ მეტი რამ არის საჭირო. ეს მეტია წარმოჩენილი „პიკასოს ბიჭში", ვიდრე ჩაფიქრებული ჰქონდა ეს ბატონ რეზო გაბრიაძეს, ან თუნდაც იგივე პიკასოს. ამ აღიარების უნიკალობის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ თვით ქუთაისური იუმორის რაობა და პარამეტრები, თუ რით საზრდოობს ის ადამიანის თუ ადამიანთა გულით მიღებისა და გათავისების მხრივ.

## ქუთაისური იუმორის თავსატეხები

ქუთაისმა ძალიან კარგად იცის ხუმრობისა და შეურაცხყოფის ფასი, იქამდე, გრძნობს, რა როგორ არის ნათქვამი. ამის ნათელ დასტურად შემიძლია მოვიტანო ერთი ანეკდოტი, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე შეიქმნა და ის სრულად ასახავს ჩემი ქალაქის ფსიქოლოგიურ ტიპაჟს.

როდესაც სატახტო ქალაქმა სისხლისღვრა და ომები გადაიარა, საყვედურის ნიშნად თბილისს უთქვამს ქუთაისისთვის - „შენ ჭურში წევხარო"... (ეს იმიტომ, რომ მთელს ამ ორომტრიალში ქუთაისის წვლილი არ ჩანდა, იქამდე ასკაციანი მიტინგიც კი არ ეწყობოდა).

ქუთაისს უპასუხნია სატახტო ქალაქისთვის - „კუბოში წოლას ჭურში წოლა მირჩევნიაო". ამ ანეკდოტზე შეიძლება არავის გაეცინოს, არც მაშინ გაუცინია ვინმეს. ბევრმა ეს ნათქვამი შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ მასში არის ის, რაც ქუთაისისთვის სანუკვარია - სიმშვიდე.

ის არასოდეს ჩარეულა პოლიტიკურ ბატალიებში. სადაც სხვა იყო, ისიც იქ იყო. მაგრამ არასოდეს მას თავის თავზე ზედმეტი არ აუღია. იმიტომ კი არა, რომ რაიმესი შეშინებია ქუთაისს. არა! მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის მთავარი იყო სიცოცხლე, პატარა ქალაქი? ის, და მიტომ. ზედმეტი ყურადღება არ უყვარს ქუთაისს, მითუმეტეს მტერთაგან, თორემ ქუთაისი იყო სწორედ ის ქალაქი, სადაც მხედრიონის ურდო დაბანაკდა. სიცოცხლე ძვირად უღირდა ქუთაისს. მართლაც, ჭურში ჯდომა ჯობდა იმ დროს, კუბოში...

ქუთაისში განვითარებულია თვითგადარჩენის ვირთხისეული იმუნიტეტი. საჭირო დროს აუცილებლად უნდა დავიმალოთ, ქალაქიც პატარაა, არც სატრანზიტო გზაა და არც სარკინიგზო. მტერს რომ მოუნდეს, ქუთაისისთვის ხელს არც კი გაისვრის, ინდუსტრია აღარ არის ჩვენში, და მიტომ. ამით გადავრჩით რუსებთან ომის დროს, ქუთაისში ერთი ბომბიც რომ არ ჩამოვარდა, იქამდე ერთი რუსული ჩექმაც კი არ დადგმულა იმ ორომტრიალში.

შეეძლოთ?

და მერე როგორ...

და მერე რამდენჯერ...

ან ვინ უშლიდა ხელს...

ან ახლა...

მაგრამ რა უნდა მოიგოს მტერმა ქუთაისში გარდა იმისა, რომ სულიერ ჭაობში ჩაეფლობა და დაიხრჩვება. სამხედრო სტრატეგიის მხრივ ქუთაისი მხოლოდ ქართველთათვის არის ხელსაყრელი და არა ნებისმიერი მომხვდურისთვის,

გინდაც ჩრდილოეთიდან წამოვიდეს ის,

გინდაც სამხრეთიდან,

გინდაც აღმოსავლეთიდან და

გინდაც დასავლეთიდან.

ის მხოლოდ და მხოლოდ სულიერი საბადოა ქართველი ერის და თუ ვინმეს უნდა ამ ერის განადგურება, მხოლოდ ქუთაისი უნდა აღგავოს პირისაგან მიწისა.

მე ის კაცი არა ვარ, მტრებს რომ ვეუბნები, ერეკლეს მეზარბაზნეები არა ჰყავსო, მე ამით ხაზს ვუსვამ ქუთაისის არსს,

მის დიად ძალას.

თუმცაღა, მტერმა ისიც იცის, რომ ქუთაისი, სამხედრო სტრატეგიის მხრით, მხოლოდ და მხოლოდ ქართველებისთვისაა ხელსაყრელი. იგი ვერავინ გამოიყენა სათავისოდ - ვერც არაბმა, ვერც თურქმა, ვერც მონღოლმა, ვერც ოსმალომ და მით უფრო ვერც რუსმა.

ქუთაისს ამის ძალა გააჩნია და ამიტომ ქუთაისზე და ტფილისზე ლაშქრობა ვერც ქართველს გამოუვიდოდა და ვერც ვერანაირ მომხვდურს, რამეთუ ჩვენ ყველანი ქუთაისში ვხვდებით ყველას - მტერსაც და მოყვარესაც.

* * *

ერთადერთი ქალაქი, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ჩერჩილი, სტალინი და ჰიტლერი ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციებისა და ქვენაგრძნობების გარეშე, უბრალოდ, ხოშის გასასწორებლად, ეს ქუთაისია.

**მანუჩარ კაკაჩიძე,**
**2 მაისი, 2010, აშშ**

ალმომაჩინეთ!
ჩემში ბორგავს და ისმის ყოველი,
გამოუცნობი ცეცხლი მაშინებს,
ამქვეყნად, აბა, რისთვის მოვედი -
გემუდარებით, აღმომაჩინეთ!
აღმომაჩინეთ, იქნებ ვინა ვარ, -
იქნებ, წყარო ვარ უკვდავებისა,
იქნებ, ვშრიალებ თქვენს წინ ჩინარად,
იქნებ, ცრემლი ვარ, ცრემლი შვებისა;
იქნებ, კვირტი ვარ, იქნებ, ბალახი,
ხელი შემახეთ, არ შეგაშინებთ -
ნუ გეყოლებით თუნდაც ნანახი -
გემუდარებით, აღმომაჩინეთ!
ჩემში ზღვა ბორგავს, ღელავს ზვირთები,
შმაგი ქარშავა ტალღებს აცინებს, -
მალე ჯებირებს გადმოევლები,
გემუდარებით, აღმომაჩინეთ!



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სოციალურ საიტ „ფეისბუქზე“ მოყვარულის მიერ გადაღებული კლიპი გამოჩნდა. კადრში ხანში შესული ქალი ახალგაზრდებს თავის ლექსებს უკითხავს. ღრმა და ემოციური ლექსების პატრონმა მყისვე მიიქცია უამრავი ადამიანის ყურადღება და „ფეისბუქზე“ მისი ასავალ-დასავლის ძებნა დაიწყო. „ძაფის გორგალმა“ თბილისში, ნაძალადევში, ტრიკოტაჟის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მიმიყვანა. პოეტი რუსუდან გიგინაშვილი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს, სადაც ყველაფერს სიღარიბის კვალი ეტყობა.

„ვინ ხართ, ჟურნალისტი? - გაოცებული მეკითხება, - ვის გავახსენდი?“ - დიდ, ცისფერ თვალებზე ცრემლი ადგება და ხელებაკანკალებული ბოლომდე მიღებს კარს.

# ბალახზე ჩემი ქალი, ბალახთან ერთად წავალ!

21 სექტემბერს 67 წლის გახდება, მაგრამ ჯერ მისთვის არავის მიულოცავს დაბადების დღე, არც საჩუქარი მიურთმევიათ. არადა, მთელი ცხოვრება ნატრობს, რომ ვინმემ ვარდების თაიგული აჩუქოს. ისე კი თვითონაც ყვავილს ჰგავს, ნაგვიანებს, უკვე ზამთარი რომ შეჰპარვია, მაგრამ ცისფერი თვალებიდან მაინც გაზაფხულს ასხივებდა.

რუსუდან გიგინაშვილი ორი პოეტური კრებულის ავტორია, მესამეც მზად აქვს გამომცემლის მოლოდინში.

## „ჩემი ცხოვრება ღვთის სასწაულია“

დაბადებიდან 9 წლის განმავლობაში არც ფეხზე გამივლია და სიტყვაც არ მითქვამს. ღმერთმა უცებ და მოულოდნელად ინება ჩემი ფეხის და ენის ადგმა. გავიარე, სიტყვაც ვთქვი და მას მერე ღმერთს მადლობას ვუხდი ყოველი დღისათვის, რადგან მომცა იმის ნიჭი, რასაც ვგრძნობ, პოეზიის ენით ვთქვა.

თელავის რაიონის სოფელ კონდოლში დავიბადე, დედა 9 თვისას გარდამეცვალა, კიდევ 9 თვის შემდეგ მას მამაც მიჰყვა. ბებია, პაპა და ძმა მზრდიდნენ. ფიცრულ ქოხში ვცხოვრობდით, სადაც ზამთარში ქარაშოტი დანავარდობდა, მაგრამ ბებიას დამჭკნარი მკლავები და თბილი მკერდი მათბობდა. მუხლს მოიდრეკდა და ლოცულობდა ხოლმე, უშველე, ღმერთო, ჩემს ობლებსო.

ფეხზე დადგომიდან მალევე ბებიაც გამომეცალა ხელიდან. აღარც პაპა იყო. დავრჩით მე და ჩემი ძმა. მეგონა, ობლის კვერი ჩვენთვისაც გამოცხვებოდა, მაგრამ ამაო მოლოდინში გავიდა დრო. თითქოს სიკვდილი დასდევდა ჩვენს ოჯახს. ჩემი ძმა და რძალიც ნაადრევად დაიღუპნენ და ორი ობოლი გოგონა, ძმისშვილები დამრჩა აღსაზრდელი. ახლა ორივე გათხოვილია.

## პირველი სიყვარული

სიყვარულზე ვოცნებობდი. ჩემი ოცნების „პრინცი“ მაღალი, მხრებგანიერი, ცისფერთვალება უნდა ყოფილიყო. ასეთი „პრინცი“ აგროტექნიკუმში მეორე კურსზე სწავლის დროს გამოჩნდა. ჩემზე 15 წლით უფროსი მასწავლებელი, თანაც უცოლო. ცხადია, უამრავ ლამაზ სტუდენტში, მე, ღარიბს და მოკრძალებულს, ვერ შემამჩნევდა, არადა, შემიყვარდა. ერთ დღესაც პრაქტიკულ სწავლებაზე, ვენახის ძირში რომ ვიყავი ფიქრებში ჩაძირული, მოვიდა და მკითხა, მარტო რატომ ზიხარო. სულ ჩამივარდა ენა. კიდევ კარგი, მალე დაუძახეს და წავიდა. ამ ერთწუთიანი ყურადღებით თითქოს დიდი სინათლე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მძიმეა ობოლი გოგოს ცხოვრება, როცა იცი, რომ არავის უყვარხარ, არავინ გეტრფის, არავის უნდა შენი პატრონობა. ოთხი წელი უხმოდ ვისწავლე. ტრანსპორტით ერთად ვმგზავრობდით ხოლმე. წინ ის იჯდა, უკან - მე. მივედი და მივაწოდე ლექსი:

*„,.. დაიცა, რა ზღაპარს გიამბობ,*
*შეჩერდი, მომხედე მაინცა,*
*სათქმელი რომ გითხრა, კია დრო,*
*პატარა ჩიტუნა მაინც ვარ,*
*თუ გინდაც არ ვგავდე იადონს“.*

ცივად გამომართვა ლექსი და ამით დასრულდა ჩვენი ურთიერთობა. მერე გული დამწყდა, რომ ის კაცი მიყვარდა. ძალიან ცუდია, როდესაც ვიღაც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს შენი ოცნების მამაკაცს, მაგრამ სულიერება არა აქვს.

## გამხელილი გრძნობა

დიდხანს ვერ ვბედავდი საქვეყნოდ იმის თქმას, რომ ლექსებს ვწერდი. თუმცა, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში იცოდნენ და ერთხელაც, როდესაც იოსებ ნონეშვილი გვესტუმრა, დამიძახეს ლექსის სათქმელად. აღფრთოვანებულმა მითხრა, ყოჩაღ, გოგონა, ლამაზ ლექსებს წერთო. ამის შემდეგ ლიტერატურულ წრეზეც დავიწყე სიარული და მალე დაიბეჭდა ჩემი ლექსები „აღმომაჩინე“ და „ყაყაჩოები“, მიწვევდნენ ტელევიზიებში, წერდნენ გაზეთებში...

მოგვიანებით გავიცანი და ძალიან შემიყვარდა შოთა ნიშნიანიძე. ეს იყო უანგარო სიყვარული, ოღონდ ის ყოფილიყო ბედნიერი, სხვა არაფერი მინდოდა. შოთას გოროზი გარეგნობა ჰქონდა და მზესავით თბილი გული. როდესაც სიყვარული გავუმხილე, მითხრა, როგორც ქალი არ მიყვარხარ, რუსუდან, მე ცოლ-შვილი მყავს, შენ კი ჩემთვის მეგობარი ხარ, რომელსაც ყოველთვის გვერდში დავუდგებიო. ასეც იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ორი კრებული დამიბეჭდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მის მეუღლესა და ქალიშვილთან, ნათიასთან განვაგრძობ ურთიერთობას. ძალიან მიყვარს ორივე. ლექსს დავწერდი თუ არა, პირველად შოთას ვუკითხავდი. ვეუბნებოდი ხოლმე, არ იცით, რა ძნელია, ბედნიერება ერთი ხელის გაწვდენაზე იყოს და ვერ მისწვდემეთქი. ეღიმებოდა და თანამიგრძნობდა. შოთამ თავისი კრებული რომ მაჩუქა, ლექსით გადავუხადე მადლობა:

*„შოთა ნიშნიანიძემ*
*მაჩუქა წიგნი,*
*აუ, რა მარგალიტები*
*აწყვია შიგნით,*
*ვიყავი ღარიბი და*
*გავხდი მდიდარი,*
*ჩემს ციცქნა სახლშია*
*ამხელა ტიტანი.“*

ძალიან მიყვარს მარტი, გაზაფხული, ყვავილები და ისიც ვიცი, რომ ყვავილებს არავინ მომართმევს. ამიტომაც მაინც დავდივარ და ვფიქრობ, ჩემს არარსებულ შეყვარებულზე.

## მოძღვრისკენ მიმავალი გზა...

ჩემი ცხოვრება უფლის წყალობაა. დაბადებიდან დღემდე ის მიფარავს. სასწაულებრივად ჩნდებოდნენ ადამიანები, ვინც მეხმარებოდა, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავი. ახლაც ასეა, ჩემი პენსიის ამარა ვარ. რომ არა დაავადებები, სიღარიბეც არ მადარდებდა, მაგრამ ტკივილი მკლავს. ერთხანს ნერვული სისტემის დაავადებამ სახე ისე დამინაოჭა, რომ ადამიანს აღარ ვგავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ როცა სახეზე ნაოჭები მატულობდა, ჩემს სულში ქრებოდა ისინი და ეტყობა, იძალა ნაოჭგახსნილმა სულმა და სახეც გამისწორა. იყო მძიმე დროც, როცა ყოველ წუთს სიკვდილზე ვფიქრობდი. საპატრიარქოში მივედი, მაგრამ სამწუხაროდ, პატრიარქთან შეხვედრა ვერ შევძელი. მჭირდებოდა სულიერი მამა, თუმცა დაბნეულმა ვერ მოვძებნე მოძღვრისკენ მიმავალი გზა.

## ერთადერთი ოცნება

ძალიან მინდა ერთი პოეზიის საღამო გავმართო სადმე. არავისთვის არაფერი მითხოვია. ერთხელ ტელევიზიასა და თეატრში წავედი დუტას მოსაძებნად. თელაველია, ეგებ დამეხმაროს და ხალხს ჩემი თავი შეახსენოს-მეთქი. ვერ ვნახე.

მესამე წიგნი დამიკონსერვეს, რადგან ფული არ მქონდა, შოთა კი მომიკვდა და ქვეყანაც ისე დაიქცა, ჩემს საპატრონოდ ველარავინ მოიცალა. არადა, ეს ლექსებია ადამიანებისგან სიყვარულის მიღების ერთადერთი საშუალება ჩემთვის. როდესაც ჩემი ლექსით აღტაცებას გამოხატავენ, მზით ვივსები და მიხარია სიცოცხლე.

**ეკა ლომიძე**

P. S. ქალბატონი რუსუდანი სწორედ ისეთია, როგორც ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

*ჩემი ოცნების ტყეში*
*დავეხეტები ცალად,*
*ვცხოვრობ ბალახის ღერში*
*და მაქვს ბალახის ძალა,*
*თვითონ ბალახი მკოცნის,*
*თვითონ ბალახი მათრობს,*
*ერთად ვიძინებთ ლოცვით,*
*მცივა? ბალახი მათბობს.*
*ვისთან დავიწყებ ქადილს,*
*ვის გავუმართავ დავას?*
*ბალახზე ჩემი ქალი,*
*ბალახთან ერთად წავალ.*



ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში სტუმარს საშუალება ეძლევა, რედაქციის ჩარევის გარეშე გამოთქვას თავისი მოსაზრება ნებისმიერ თემაზე. ნომრის სტუმარია მწერალი **ოტია იოსელიანი**



# დღევანდელ ტელევიზიებს არ უნდა უყურო, თვარა სახლს ვერ მიაგნებ

არ მიწყინოთ ახლა, უნდა ვიჩხუბო ამ გვერდზე და ჩხუბი ჩემს კილოზე გამომდის მხოლოდ, ამიტომ წერითაც ისე დავწერ, როგორც ვლაპარაკობ.

## ეროვნული გამოთაყვანება

ჩემო ქართველებო, მართალია დალხინებული არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ვიცოდით, რაც გვჭირდა და რაც შეგვეძლო ვებრძოდით, ახლა არ ვიცით, რა გვჭირს და რას ვებრძოლოთ? ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა. ამ ბოლო დროს აღარ ვაკეთებ განცხადებებს, იმიტომ, რომ არავითარი აზრი არა აქვს. მე რა მინდა შენგან? ქვეყანას ნუ დააქცევ, შვილო, შენთვის გელაპარაკები ამას, მინდა საუკეთესო იყო და ქვეყანა იყოს კარგად, თუ ვხედავ შენს სიგლახეს და თვალს ვხუჭავ, მე ვცოდავ მაშინ. მოგიწოდებ გონიერებისკენ, გაფრთხილებ, არ გესმის თუ არ გინდა გეიგო? რომ გამოდიხარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო, კი მაგრამ მე ისეთი შტერი ვარ, ვერ დევინახე ეს აშენებული ქვეყანა? ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?

ახლა ამას რომ ვწერ, ვიცი, მაინც არ ექნება შედეგი, კაცი უდაბნოში რომ მოხვდება, ყვირის, მიშველეთო, კი იცის ვერავინ რომ ვერ უშველის, მაგრამ მაინც ყვირის, დაღუპვის შიში აყვირებს, სწორედ ასე ვარ ახლა მეც, კი ვიცი, ამათ რომ არ ეყურებათ, მაგრამ მაინც ვყვირი, ქვეყნის დაღუპვის შიში მაყვირებს, ზოგიერთი ჩემი კოლეგა გაზეთის ფურცლებიდან პირდაპირ დედას აგინებს ხელისუფლებას, არც ამაზე აქვთ რეაქცია, გავგიჟდი კაცი. თუ ქვეყანას უზნეობა დაემართა, რაც უნდა ბევრი ტვინი გქონდეს, უზნეოდ გამოიყენებ მაინც, მოდით შევთანხმდეთ, რომ ჩვენ ვერ ვაზროვნებთ, გამოდის ჩემისთანა გამოთაყვანებული მოხუცი ტელევიზიით და მადლობას იხდის, რა მიუგდე ასეთი? დიდ ცოდვას სჩადიხართ ამით იცოდე. იმის იმედიღა დამრჩა, რომ ამ გაზეთს ასიათასობით კაცი კითხულობს და იქნება ამ ეროვნულ გამოთაყვანებას ბრძოლა მაინც დავუწყოთ.

## ეკლესია...

თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, ქართველს რწმენის გარეშე არასოდეს უცხოვრია, გარდა იმ 70 წელიწადისა. ახლა უფრო ძნელი მოსაქცევი ვართ, ვიდრე პირველ საუკუნეში ვიყავით. კერპი რომ გვყავდა, ის კერპი ჩვენი ღმერთი იყო, ერთი ღმერთიდან მეორეზე გადასვლა ადვილი არ არის, მაგრამ ქართველმა ეს შეძლო, იმიტომ, რომ ქრისტიანობა საკუთრად მიიღო. განმანათლებლები ცეცხლითა და მახვილით კი არ შემოსულან საქადაგოდ, მხოლოდ წიგნი ეჭირათ ხელში. ახლა რაც ხდება, დიდად საგანგაშოდ არ მიმაჩნია, კომუნისტების დროს მოიძებნა ეკლესიების დამანგრევლები და რა გასაკვირია, თუთბერიძეებისნაირები ახლაც მოიძებნონ. ღმერთმა კარგად მიმყოფოს პატრიარქი, მაგი ერთი კაცია, რო წვალობს რაცხას, ჰოდა, ვერ იტანს აგენი, ქვეყნიზა სხვა რომ წვალობს, ამიტომაა მასზე შეტევა, მეშინია, არ მომიკლან!

## სოფლის მეურნეობა

პარლამენტში რომ გამევიდა აი თქვენი პრეზიდენტი, თუ ახსენა საერთოდ სოფლის მეურნეობა, არადა ეს დარგი იყო შენი გადამრჩენი, ვიღაცის პურით გვინდა ვიარსებოთ? ავსტრიაში ვიყავი აგერ ახლა სამკურნალოდ, აშენდა იმ კაცის ოჯახი, ვინცხამ გამიშვა (აკრძალული მაქ მისი ხსენება), თვარა მეტი არაა ჩემი მტერი, ეს დამეწერა. რო გადევიანგარიშე ჩვენ ფულზე, ათი ლარი ღირდა პური. კაკალაშვილი რომაა, ბიზნესმენი, მიშაიე რომ კითხულობს მის ლექსებს, იმას ვკითხე: - კაცო, ავსტრიაში 10 ლარს აძლევ პურში და აქანა ლარად ყიდი? რომელ ყულაბაში ყრი ფულს, მაჩვენე? ეგ, ბატონო ოტია, ჩვენი ჯადოსნური საიდუმლოაო. კი ვიცი, რაცხა ჯადოსნური საიდუმლოა, რას ვჭამთ და რას ვსვამთ, კაციშვილმა არ იცის. გლეხი იყო მუდამ შემქმნელი „პური არსობისას“, ეს გლეხი ჯერ კოლექტივმა მოსპო, მერე ამგენმა მიადგა.

გლეხის აკადემია არის მიწა, იმ მიწას რომ წაართმევ, მერე აღარაა ის გლეხი. სცადეთ აბა და გადით კვირკობის თვეში მზეზე, დაგართყამს იმწუთას, გლეხი კი თოხს უბაყუნებდა იმ მზეში, უყვარდა მიწა და იმიტომ, ტრაქტორიზაციაო რომ თქვა, სადაა მერე? მიეცი გლეხს? თუ საჩვენებლად გინდა მხოლოდ? ახლა გაზაფხულია, არჩევნებზე კი არა, იმაზე უნდა ვიმტვრევდეთ თავს, რა ჩავთესოთ. სოფლის მეურნეობის პროდუქტს რომ თურქეთიდან შემოიტან, არ ხარ ამ მიწის ღირსი შენ! მინდა ამ გაზეთის ფურცლებიდან ვკითხო სოფლის მეურნეობის მინისტრს, კი ამბობენ, ახალგაზრდააო, მაგრამ მე არ დევეძებ მაგას, ტვინი თუ არ გაქ, 70 წლის რომ გახდები, არც მაშინ გექნება. ბაკურა, ბიძია, გამაგებინე რას უპირებ სოფლის მეურნეობას, შარშანდელზე ნაკლები მიწები დეიხვნება წელსო, რეიზა ხდება ასე, ამიხსენი...

## ოპოზიცია

ნორმალურ ქვეყანაში ოპოზიცია მთავრობას აკვალიანებს, მარა იქ ოპოზიციას აქვს ხალხის ნდობა. ალასანიამ დამირეკა ამას წინათ, თბილისში დამპატიჟა, ნაოპერაციები ვარ-მეთქი. მაშინ მე ჩამოვალო. მე საერთოდ პოლიტიკოსებს სახლში არ ვუშვებ და ვუთხარი კიდეც, შენ მიმართ უნდობლობა მაქვს-მეთქი. რას მერჩიო, გაუკვირდა. რო ჩამოდი ამერიკიდან და მიშაიას ათი დღის ვადა მიეცი, ვიფიქრე, რაცხა ძაან დიდი ძალითაა ჩამოსული-მეთქი და მეცა იმედი. გევიდა 10 დღე, რა ქენი მერე? შენს სიტყვას ხო დაუკარგე ფასი? რომ მოგიშვა ჩემთან, ხო მეტყვი რაცხას? გონია, დაგიჯერებ? იმ ოპოზიციაში მე სიტყვის კაცი ვერ დავინახე. მახსოვს, წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე თორთლაძემ დამირეკა, მაშინ არ იყო ასე წყალწაღებული, მოვდივარ შენთანო. მთამსვლელი კაცია და ვაფასებ მე მთამსვლელობას. მოვიდა და მოჰყვა ხიდაშელის ქალი და გაჩეჩილაძე. სად დაწანწალობთ-მეთქი, ვკითხე.

ხალხში დავდივართო. ვაი თქვენს პატრონს-მეთქი, ვუთხარი, მაგ თქვენს ნაგროვებ ხმებს მოუყრის ერთად თავს მიშაიე და ჩეიყრის ყუთში. გაჩეჩილაძეს ვუთხარი მაშინ, რაის პრეზიდენტობა გინდა, ბიჭო, შენ-მეთქი. არაო, პრეზიდენტის პოსტი მინდა გავაუქმოო. მაგი მართლა კი არის გასაუქმებელი, არ გვყავს ჩვენ საპრეზიდენტო კაცი. ახლა კიდე ნოღაიდელიო, გაიძახის ყველა არხი.

რომელი ნოღაიდელია მაგი, ხომ ვერ მეტყვი, ბატონო პრეზიდენტო? მე რომ მეთქვა, მილიონები იშოვაო, მეტყოდი, დამტკიცება უნდა მაგასო, შენი პირით რომ თქვი, ჩემი პრეზიდენტობის დროს იშოვა მილიონებიო, რას მივაწეროთ მაგი? ამ დაქცეულ ქვეყანაში კაცმა მაგდენი იშოვა და რო გოუშვი, სად გოუშვი? ან ის უნდა დაგეჭირა, ან შენი თავი! გამოწველილ თხასავით რო იყურება და მოსკოვში რო დადის, ეტყობა, ის ანდაზა ახსოვს, „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო“, მე მაგ ანდაზას ჩემებურად დავუმატებ: „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახე, მარა მამად არ გაიხადო“.

## პრეზიდენტი და პარლამენტი

გიჟები ბევრი ყოფილა და ბევრიც იქნება კიდევ, მაგრამ სათავეში კი არ უნდა დასვა ხელშეუხებლად? რომ გამოდიხარ, ხალხს უნდა ჰკითხო, როგორაა საქმე, ჩემო ხალხო, ვქენი რამე სასარგებლო თქვენთვის? ხო არ შემეშალა რამე? თარგამაძემ რომ მიახალა ცხვირ-პირში რაც სათქმელი იყო და სწორი კითხვები დოუსვა, გეეცი პასუხი? ამან, თარგამაძე აბაშიძესთან იდგაო, შენ ვისთან არ იდექი, მითხარი ერთი?!

რო მეუბნები, ეკონომიკა წინ მიდისო, მე აგერ ვხედავ, ბაზარში, რაცხა წინ მიდის ეკონომიკა, 70-თეთრიანი შაქარი 3 ლარი გახდა, რაფერ ფიქრობ, ვერ ვხვდები განსხვავებას 70 თეთრსა და 3 ლარს შორის?

ოკუპანტია რუსეთიო, გადეირია რუსი, კაცო, რაც გაჩნდი, მას მერე მეტი არაფერი მიკეთებია და ახლა მიხვდი შენო? რუსი შტერია თუ ჭკვიანი, დამპყრობლის ინსტინქტი მოჰყვება მაინც. გამოსავალი რა იქნება, ის მითხარი, თვარა რუსი რაცხაა, ვერ მასწავლი. დასავლეთი დემეხმარება ომშიო, ჩამიწყვიტა ანგლოზივით საჯიშე ბიჭები, დეგეხმარა? თუმცა კი დეგეხმარა, პუტინს უთხრა, არ ქნა მაგიო, პუტინმა თქვა - არა, უნდა ვქნაო. თუ უნდა ქნა, კაი მაშინ, მე ხელებში ხო არ გეცემიო. მოთავდა ამით შენი დასავლეთი.

ეუთოა თუ რაცხა ტატყანა ორგანიზაცია, საწყლად თხოვა, შემომიშვი ოსეთშიო, იმან არაო, კაი მაშინო, დეიხურა ქუდი და წევიდა სახლში. ბარსელონაში მიმიწვია იქაურმა ქართველებმა, დიდებული დახვედრა მომიწყვეს, 20 ათასი ქართველი ჩაწერილია იქ უკვე. ეკლესიას ვაშენებთო, გამახარეს, სალოცავიც ექნებათ მალე და რაფერ ფიქრობ, დაბრუნდება იგენი სახლში? რომ მომიწოდებ ქუდზე კაციო, სადაა ქუდზე კაცი? აქ ვინც დარჩა, ვიზები არ აქვთ, თორემ ესენიც გეიქცევა. ამნაირი პარლამენტი რო გყავს, არ გრცხვენია? დამტკიცებულია, ნორმალური ორი კაციც კი არ აზროვნებს ერთნაირად და ამ 150 კაცს რაფერ აქ ერთნაირი აზროვნება, ამიხსენით ვინმემ? რომ აწევ და დაწევ ხელს, არ უნდა თქვა, რატომ შვები ამას?!

დასავლეთი ჩვენ გვთვლის განვითარებად ქვეყნად. ეს რას ნიშნავს? გამოდის, არ ვართ განვითარებული. ახლა რომ ამბობ, შეცდომა იყო განათლების რეფორმაო, ვინც გიკარნახა ეგ რეფორმა, იმას თუ უთხარი მაგი? ვერ ხვდები, სხვანაირად რომ გვიყურებს უცხოელი? ჩვევები უნდა გასწავლოთო და გვასწავლის: ქვა არ უნდა ვისროლოთ და გამოსაჩენ ადგილას გინება არ უნდა ატეხოთო, ესაა ადამიანური ჩვევები და ამას მასწავლი? უმად ჭამდი შენ ნადირის ხორცს, მე რომ ვიცოდი მაგი ჩვევები.

## არჩევნები

ცნობიერება რომ ვახსენე ზემოთ, მაგი ცნობიერება არჩევნებშია მთავარი. „ქართული აკადემია“ იყო ჩემთან მოსული, მიმიწვიეს, ვეუბნები, ჯერ ცნობიერება უნდა დავამკვიდროთ ხალხში. ცნობიერება რომ არ გვაქვს, იმიტომაცაა, ის კაცი იმარჯვებს, ვინც შაქარს, ფქვილს და ზეთს არიგებს. ჩერჩილი ამბობდა: კი ვიცი არჩევნები რაცხა უბედურებაა, მაგრამ უკეთესი ჯერ არ მოუგონებიათო. დედაბერი რომ შევა არჩევნებზე და იკითხავს, სად ჩავაგდო, დია, აი ქაღალდიო, ასე გინდა კარგი არჩევნების ჩატარება?

შინაგან საქმეთა სამინისტროზე ცოდვას ვერ ვიტყვი, მართლა კი მუშაობს სხვაზე მეტად, მარა მაინც მაქ სასაყვედურო. ვანო შემხვდა ამას წინათ, რას შვები-მეთქი, ვკითხე. ვიჭერო. არ იცი შენ, ვინ უნდა დეიჭირომეთქი. ერთი ხუთი შენობა ვიცი, წამოდი და გადაადგი იმ შენობებს გალიები, ე, მაშინ იქნები კარგი დამჭერი-მეთქი. - გაეცინა, ჩემი შენობაც ხო არ შედის მაგაშიო.

ცუდ დღეშია ახალგაზრდობა, წიგნი არ უნდა არავის, ესაა ყველაზე დიდი საშინელება, კაცობრიობა რაც გაჩნდა, მას შემდეგ ფიქრობს, ტანი რაფერ შეიმოსოს, აგენმა ახლა დეიწყეს გახდა!

## ფეხბურთი

მხოლოდ იმას გავყვირით მთელი 20 წელია, რა ეშველება ქართულ ფეხბურთსო. ვერ მიხვდით, რომ არაფერი ეშველება? 15 წლის ფეხბურთელი რომ იყიდება აზერბაიჯანში და რუსეთში, რაის ფეხბურთელს აღზრდი შენ? არის ქვეყნები, სადაც აკრძალეს 25 წლამდე ფეხბურთელის გაყიდვა, შენ რატო არ აკეთებ ასე? ამას წინათ დამპატიჟეს თბილისში, არველაძის გაცილებაა და წამობრძანდითო. სად თამაშობდა-მეთქი, ვიკითხე. ჰოლანდიაშიო. კი ყოფილა აბა გაცილებული და მეტი რაღა გაცილება უნდა-მეთქი.

## „მოდელირებული იმედი“

მაგენისგან ყოველგვარ სისულელეს ველოდი, მაგრამ ამნაირს არა. გადარიეს ხალხი, კაცო. მაგი შეიძლებოდა ვინმეს პრეზიდენტის გარეშე გაეშვა ეთერში? ჯერ ერთი, ჟურნალისტი ვერ ისულელებდა მაგდენს, მიშაიეს ტვინი ურევია მაგაში, ამდენი ხანია ვფიქრობ, რატო გააკეთეს და ვერ მივხვდი, ანდა რაფერ მივხვდები, ჭკვიანი რომ აკეთებს რამეს, შეიძლია რაცხა დასკვნა გავაკეთო და ვიფიქრო: ჭკვიანია და შეიძლება ასე იფიქრა და ასე უნდა თქვას შეფარვითო, მაგრამ გიჟი რას აკეთებს, რაფერ გინდა გეიგო?! ნაპოლეონი რო იბრძოდა, ყველაზე მეტად ეშინოდა სულელი სარდლების, ჭკვიანის ნაფიქრს გამოვთვლი, სულელი კი რას იზამს, რა ვიცი მეო და არ უპირისპირდებოდა ის კაცი. დღევანდელ ტელევიზიებს არ უნდა უყურო, თვარა სახლს ვერ მიაგნებ.

დამიფარა ღმერთმა და მე არ მიყურებია მაგ სისულელისთვის. რას ერჩიან ამ გასაცოდავებულ ხალხს? ვინც მაგი გააკეთა, ტელევიზიაში უნდა ამუშავო კი არა, ტელევიზორს არ უნდა აყურებიო. ნოღაიდელი და ბურჯანაძე რას იზამს, რა ჩემი საქმეა? ეგ თქვენ გაარკვიეთ ჩუმად, მე რას მზაფრავ? ხომ ვამბობ ზევით, დაღუპულები და განწირულები ვართ, გიჟები კი არიან აგერ ხონში, მაგრამ არავის არაფერს უშავებენ, აგენი გვლუპავს და კაცი არაა პატრონი. გამევიდა ვინცხა უცხოელი და გვირჩია, ფსიქოლოგები მიიყვანეთ ხელისუფლებაშიო, რად მინდა მაგის რჩევა, მე არ ვიცი რა მჭირს? ფსიქოლოგი კი არაა მაგენთან მისაყვანი, მაგენია ფსიქიატრიულში მისაყვანი.

# დღიური ვეფხის-ტყაოსანზე



რა მიყვარდა ბავშვობისას „ვეფხისტყაოსანში" და - გეოგრაფია და ზიჩის ნახატები. ბევრნაირი „ვეფხისტყაოსანი" გვქონდა: ერთი გუდიაშვილის ნახატებითაც იყო, ქობულაძის და, მგონი, საერთოდ ყველასი, ვისაც დაუხატავს, მინიატურებითაც და კიდევ სხვებიც, სულ უსურათოები.

იმის კითხვას აბა სად შევძლებდი. ეტყობა, რომ ვათვალიერებდი, თან რაღაცეებსაც მიამბობდნენ. იქედან თუ დამამახსოვრდა მულღაზანზარი.

ამ სახელზე დღემდე ვგიჟდები. არც ვიცი, ვინმეს თუ გამოუკვლევია რომელიმე ენაზე, რაიმე სიტყვათშეთანხმება თუა.

ზღვები, ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, გულანშაროები, მაშინ შევიტყვე. ეს გულანშაროც ძალიან მომწონდა. მშიშარა ვაჭრები იყვნენ გუდიაშვილის ნახატზე, ნავში მსხდომნი, წამხდარნი, გაუბედურებულნი და ავთანდილი ხელში უცნაური ხმლით. ხმალი არც იყო, რაღაც განიერი. კარგად მოიგონა გუდიაშვილმა.

საერთოდ, გუდიაშვილის ილუსტრაციები ძალიან მაგარი იყო. გმირები არ ჰგავდნენ არც არაბებს, არც ინდოელებს, არც ჩინელებს და არც ქართველებს. საერთოდ არავის არ ჰგავდნენ დედამიწის ზურგზე. რაღაცნაირად მოქნილებიც იყვნენ, რაღაცნაირად, მოუხელთებლად ელასტიურები და გრძნობებიც ისეთი აჩნდათ, რომ ბავშვი ვერ მიუხვდებოდა. ცოტათი საშიშიც კი იყო. ვთქვათ, ხატაელთა მეფე რომ მოჰყავთ გაკოჭილი.

ნახატები ბევრ რამეს გიამბოდა „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ქობულაძის ხმლები მომწონდა, ძველი „ვეფხისტყაოსნის" ის, რომ ყველანი რაღაცნაირად გაღიმებულები იყვნენ, ზიჩთან კი - ტანსაცმელი.

ზიჩის ნახატებში ყველა იყო ლამაზი, სიმპათიური და, მგონი, მაშინ ჰოლივუდი არ არსებოდა, მაგრამ ყველანი მსახიობები იყვნენ. სადღაც გამიგონია, ზიჩის ნატურების შესახებ. როცა ის ხატავდა, მაშინ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათები იყო პოპულარული, იმ დროის ლამაზი ქალები და კაცები ფოტოებს იღებდნენ შესაბამისი ჩაცმულობით. არ ვიცი, მგონი, ამის შესახებ საგანგებო გამოკვლევებიც არსებობს, ვინ დაიხმარა ზიჩმა, რატომ და როგორ.

საერთოდ, ეს მაგარი თემა იქნებოდა - „ვეფხისტყაოსნის" მხატვრების შესწავლა. აი, გუდიაშვილმა როგორ დახატა, რატომ მაინცდამაინც ასე დახატა და ასე დაუსრულებლად. ხომ ვამბობ, ბავშვისთვის თვალის წარმტაცი, რა თქმა უნდა, უფრო ზიჩი იყო.

ალბათ, ქობულაძეც, მაგრამ ქობულაძე რაღაცნაირად მკაცრი იყო. მგონი ზუსტად ისეთი სინათლე იყო მის ნახატებში, როგორც შუა საუკუნეებს შეეფერება. ამას ახლა მივხვდი და არ ვიცი, თვითონ თუ ფიქრობდა, რომ შუა საუკუნეებში არ არსებობს ისეთი სინათლე, ტახტზე ლაღად წამოგორებულ ავთანდილსა და ფატმანს რომ ადგათ ღამით ზიჩის ნახატზე.

მაგრამ გუდიაშვილი ისეთი იყო, რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდებოდა.

მე რომ მკითხოთ, რაც გუდიაშვილმა „ვეფხისტყაოსნისთვის" დახატა, ყველაზე მეტად ამჟღავნებს მხატვრის სამყაროს, მის მაშინდელ განწყობას და მდგომარეობას. ხელოვნებათმცოდნე და ექსპერტი მე ვერა ვარ, მაგრამ ახლა გუდიაშვილი მირჩევნია. რომ იყოს სათვალიერებლად, აუცილებლად მას დავათვალიერებდი. ერთად, წიგნის გარეშე. ეს ძალიან მაგარი იქნებოდა.

„ვეფხისტყაოსანი" მხოლოდ სურათებით. ყველანაირი „ვეფხისტყაოსანი" გვაქვს და ახლა შეიძლება ასეთებიც გამოვცეთ, მხოლოდ მხატვრების „ვეფხისტყაოსნები", უტექსტოდ. ასეთიც არსებობს, საბჭოთა დროისა, ოღონდ არასრული.

ამ შემთხვევაში გუდიაშვილი სულ სხვანაირად გამოჩნდებოდა და „ვეფხისტყაოსანიც" სულ სხვანაირად. ერთ-ერთი წაკითხვა, ასე ვთქვათ. თორემ, რაც მეცნიერებს „ვეფხისტყაოსანზე" უმუშავიათ, რაც მისი სახისმეტყველებანი და ასეთი სერიოზული რამეები უკვლევიათ და უწერიათ, მგონი, ერთი წიგნისთვის სარეკორდოც შეიძლება იყოს.

ეს არც არის საკვირველი.

ყველამ იცის, რომ ეს მთავარი წიგნია.

თავიდანვე ასე გამოვიდა.

ჰოდა, ამიტომ, ვინ როგორ დახატა „ვეფხისტყაოსანი", ძალიან საინტერესოა, იმიტომ, რომ საქართველოში, საუკუნეთა მანძილზე, ყველა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს თავისი „ვეფხისტყაოსანი" ჰქონდა თავში. მგონი, არა მხოლოდ თავში, არამედ ძვალსა და რბილშიაც. ჯერ მარტო ხალხური „ვეფხისტყაოსანი" რამდენი არსებობს.

**21 ივნისი**

გეოგრაფია. მგონი, „ვეფხისტყაოსანი" არის ერთ-ერთი იშვიათი ქართული წიგნი, რომელიც მოიცავს უზარმაზარ სამყაროს.

ვიცი, რომ სარაინდო რომანები, ერთგვარად, გზის რომანებია. კაცმა თუ არ იარა, რამეს თუ არ გადაეყარა, ისე ამბავიც არ გამოვა. თანაც, რაინდები ტყუილად კი არ დახეტიალობენ გზაზე, მიზანი აქვთ. მიზანი სრულიად კონკრეტულიც შეიძლება იყოს და სრულიად ზოგადიც: ვთქვათ, საგმირო საქმეთა ჩვენება მიჯნურისთვის. ამისთვის სამყაროა საჭირო და სარაინდო რომანების ავტორი იგონებს ხოლმე ასეთ სამყაროს. ან კიდევ სხვა რომანიდან გადმოიღებს და გადაასხვაფერებს. ანდა, სულაც ნამდვილ გეოგრაფიას გამოიყენებს და მას გამოგონილი ამბებით გააფერადებს. შეიძლება, რომ სამყაროს ნაწილი ან მოგონილი იყოს, ან ნამდვილი.

მოკლედ, გეოგრაფია საჭიროა.

ქართველების და ზღვის უცნაური ურთიერთობა ერთმანეთთან, კარგახანია, ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ ტარიელი ინდო კი არის, მაგრამ, აბა, სადაური ინდოა? ანდა ავთანდილის არაბობა სად თქმულა. ქართველი ამას არასოდეს დაეთანხმება.

აბა, რამდენი წიგნია დაწერილი „ვეფხისტყაოსანსა" და ღმერთზე და იქ ალაჰი და ბუდა, მგონი, არავის უხსენებია.

თვითონ გმირებიც, ღმერთზე რომ ლაპარაკობენ, მას რომ მიმართავენ, პირდაპირ არასდროს ახსენებენ თავიანთ რწმენას. მეცნიერები სულ სხვადასხვა რამეებს წერენ ამის თაობაზე და არამეცნიერი კი, რომ წაიკითხავს ამ სერიოზულ ნაკვლევს და ფიქრს წამოიწყებს, რადგან მეცნიერულის ენით ფიქრი არ შეუძლია, ძნელად ირჩევს, რომელ მეცნიერს მიენდოს.

ჰო, ეს იმას მოვაყოლე, რომ ზღვა და გეოგრაფია. ამხელა გეოგრაფია, აბა, რომელ ქართულ წიგნს აქვს მეთქი, ნამდვილი, ან მოგონილი. ანუ, რუსთაველის ხილული და მოგონილი სამყარო მაინც აღმოსავლეთითაა, თუმცა, ავთანდილი ნამდვილი ევროპელი დიდმოხელეა და საერთოდ, ამ წიგნში ისეთი ფეოდალიზმია, ევროპულს რომ მივამსგავსებთ. ასეთი ფეოდალიზმი იყო საქართველოში, დიახ! ამაზეც უამრავი წიგნია დაწერილი.

ზღვა ისეთია „ვეფხისტყაოსანში", იმხელაა, რომ ლამის ხმელეთს არ ჩამოუვარდება. ზღვა ისედაც დედამიწის სამი მეოთხედია და წიგნებში მის სიმრავლეს ერიდებიან ხოლმე. კაი, ვიხუმროთ, რა მოხდა... თან ეს მეთორმეტე საუკუნეა და ზღვის სიდიადე და მნიშვნელობა წიგნებში მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ გაიზრდება დასავლეთის ქვეყნებში. აღმოსავლეთში კი სინდბადი მოგზაურობს და ცურავს და მთელი ამბავი.

„ვეფხისტყაოსნის" სამყაროს შეგრძნება, ალბათ, ძალიან თავისებური იყო, ვთქვათ, მეთხუთმეტე ანდა მეთექვსმეტე საუკუნეში.

დროთა განმავლობაში, ეს, ალბათ, ოცნებასთან ან რაღაც ძალიან შორეულ საერო იდეალთან იყო დაკავშირებული. ასე ჩამოყალიბდა იმიტომ, რომ ის, რაც „ვეფხისტყაოსანში" იყო, საქართველოს არ ჰქონდა. ანუ, ჰქონდა და არც ჰქონდა, ხედავდა და ვერ წვდებოდა, ანდა ჰქონდა და ისეთი ვერა, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანში" იყო.

არ ვიცი, რას ნიშნავს ზღაპარი შუა საუკუნეებში. ანდა, რომანი რას ნიშნავს. როგორ კითხულობენ მათ და რას ფიქრობენ, ვთქვათ, ზღაპრის შესახებ.

აი, მაგალითად, ქაჯებზე რას ფიქრობენ. რომ ეს უბრალოდ ცუდია, თუ ქაჯები არსებობენ? სამხრეთში იყო ასეთი, ქაჯთა ქალაქი. სხვა სახელებიც ერქვა, მაგრამ ასეთი ტოპონიმი რუსთაველის დროს არსებობდა.

წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების მკითხველი. ის არისტოკრატიიდან არის. უფრო ხშირად, უმაღლესი არისტოკრატიიდან.

სამღვდელოებაშიც არისტოკრატიაა და ქვეყნის სათავეშიც. წიგნებს ეს ხალხი კითხულობს. უფრო სწორად, ამ წიგნს. წიგნი სახლში, უფრო ხშირად, ორია: სახარება და „ვეფხისტყაოსანი". ეს ბოლო დრომდე, აგერ, მეცხრამეტე საუკუნის შუამდე ასე იყო ჩვეულებრივ ქართველ თავადებში. თუ, რა თქმა უნდა, ვინმე გადაჭარბებული წიგნისმოყვარეობით არ იყო შეპყრობილი. აი, აკაკი იგონებს, რომ მამამისი სწორედ ამ ორ წიგნს კითხულობდა. თან დიდი გრძნობებით. კითხულობდნენ უფრო ცოლები. წიგნი როგორღაც საოჯახო საქმეში შედიოდა.

„ვეფხისტყაოსნის" და სახარების მხარდამხარ კითხვა დიდად უცნაური რამაა. მითუმეტეს, როცა ეს შუასაუკუნეების განმავლობაში გრძელდება.

როგორ მოიპოვა „ვეფხისტყაოსანმა" ქვეყნისგან განუყოფლობის, მისი აუცილებელი თანმხლების მდგომარეობა? ამას, ალბათ, კარგი ფილოსოფოსი სჭირდება.

მისი დაწერიდან საუკუნეთა შემდეგ, ქართველი პოეტები, რაღა თქმა უნდა, კვლავაც არისტოკრატიიდან და მთლად მეფეებიც, ვერ გაექცნენ რუსთაველის თექვსმეტმარცვლიანს. ამ მარცვლებში ძალიან სუსტი ვარ, მაგრამ, არამეცნიერული ენით რომ ვთქვა, მათ აიღეს ჩარჩო, რომელიც იდეალურად მიაჩნდათ. სხვა არ უნდოდათ. იმდენი საუკუნე გავიდა და კიდევ ებაასებოდნენ. ცხადია, ხელჩასაჭიდი ეს წიგნი იყო. მეორე ასეთი ან ამის მსგავსი არ არსებობდა.

მეტი რა გინდა? ისტორიულ ქრონიკებსაც კი ამ ლექსით წერდნენ.

**22 ივნისი**

არის ასეთი დავიწყებული წიგნი: „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო". ეს წიგნი ფილიპე მახარაძემ დაწერა. თუ გახსოვთ ფილიპე მახარაძე. ამოვთხრით, რა უნდა მთაწმინდაზეო, ზუსტად ის ფილიპე მახარაძე. მთავარი ინტელექტუალი იყო ქართველ ბოლშევიკებს შორის, დიდად დამსახურებული, გრძელწვერიანი. ილია და ასე შემდეგ: ეს ყველამ იცის, მაგრამ უამრავი წიგნი რომ დაწერა, ეს ვიღას ეხსომება?

ჰოდა, არის ასეთი წიგნი. საინტერესო წიგნია, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ეჭეეე, როდის დაწერილი.

იმიტომ გამახსენდა, რომ მის შესავალშივე „ვეფხისტყაოსანზეა" ლაპარაკი. ფილიპეს არ უყვარდა „ვეფხისტყაოსანი". სადაც წაწვდებოდა, ყველგან ფეოდალურ რომანად მოიხსენიებდა და მარქსისტულ ჭრილში საზიანო წიგნადაც კი მიაჩნდა. ხალხისთვის საზიანოა, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ რაც იქ წერია, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან არანაირი შეხება არა აქვს და იდეალიზირებული გმირები ადამიანებს კარგს არაფერს მოუტანენო. თანაც, ამბობდა, მორჩა ეგ ამბავი, დამთავრდა, ვიღას სჭირდება ან ვიღას ახსოვს ეს წიგნიო. ანუ, ამბავს ხედავდა და ამბავი კი საზიანო იყო მშრომელი ხალხისთვის, რაღაცა საოცნებო და მისაბაძი, თუ კიდევ სხვა, არ ვიცი.

ამის საპირისპიროდ, ნამდვილი ქართული წიგნი „სურამის ციხეაო", წერდა. წიგნიც ამაზეა, დანიელ ჭონქაძეზე და სურამის ციხეზე.

აბა, ფილიპემ რა იცოდა, რომ მის ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობის მიწურულს ეს წიგნი სტალინს დასჭირდებოდა. სოსოს, ძველებურად.

ნეტა, სტალინზე რომ ფიქრობდა, რას ემახდა გულში ფილიპე, სოსოს, იმას, ამას, თუ კიდევ რაღაც უფრო სხვას. არ უყვარდა, ეს ცნობილი ამბავია. სტალინი კიდევ, ადამიანად არ თვლიდა, სიმართლე რომ ითქვას. მერე, თორემ ახალგაზრდობაში კუდშიაც დასდევდა. მაგან მართვის არაფერი იცისო, აქეთ იწერებოდა, მეორედ რომ დაიპყრეს საქართველო. ფილიპე დაიბარა ჩეკას ნარკომმა მერე და სულ წვერი დააგლიჯაო, ესეც გამიგონია. ამის შემდეგ, უკვე მოხუცებულს, მას სისხლი ჩაექცა და მოკვდაო.

რა ვიცი, „ვეფხისტყაოსანზე" ვლაპარაკობდი, მაგრამ ფილიპე რა ზიანსაც ხედავდა ამ წიგნში, ის გასაგებია. საერთოდ, საიდუმლო ამბავია, სტალინს რომ დასჭირდა მისი კიდევ ერთხელ რუსულად თარგმნა და ამ უძველესი ყდით გამოცემა. მგონი იმის გამო, „გორეცის" სახელი რომ ჰქონდა. მოკლედ, ქართული კულტურის დღეები და ასე შემდეგ.

საინტერესოა, ეს რომ არ ყოფილიყო, ანუ, საქართველო რომ ნამდვილ ქართველ ბოლშევიკებს ემართათ, ამ წიგნის სიცოცხლე და მისადმი ინტერესი საბჭოთა დროში ასეთი განუზომელი თუ იქნებოდა.

ერთ დროს, სკოლის პროგრამაში „ვისრამიანიც" კი შედიოდა, მერე უკუაგდეს, ეტყობა, სპარსულიაო, ნათარგმნიაო და არ გვეკადრება ჩვენო, ქართველებსო. „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები"...

კაი, ვიხუმროთ, მითუმეტეს, რომ ვიცით, სპარსულ ენაზედ ასეთი არ იპოვების. ეს ვახტანგმა თქვა? მგონი. არ მახსოვს. იმან კი იცოდა სპარსული ლიტერატურა. მერე ნიკო მარი და ილია და, მარი ამბობდა, აქ არის პეტერბურგშიო, სპარსულიო, ზუსტად ასეთი სიუჟეტითო... არ გამოუჩენია. მხოლოდ ამბობდა. ვერც ვერავინ იპოვნა. არ მგონია, ქართველი სწავლული გაყვეს მარის მუქარას. მოკლედ, როგორია „ვეფხისტყაოსნის" ძალა დღეს? მინდა ვთქვა, რომ ის ძალიან მცირეა, თუ არის საერთოდ.

სამყარო გამოიცვალა. ფილიპე სწორედ ამას ამბობდა, აღარ არის ამეების დროო. თქვენ გინდათ, რომ „ვეფხისტყაოსანი" როგორც მხოლოდ საგანძური ისე არსებობდეს? თუ გინდათ, რომ ის ცოცხალი იყოს? აბა, თქვი, დღეს ვინ ფიქრობს ამაზე? მგონი, არც არავინ.

ისტორიის რაღაც ეტაპზე „ვეფხისტყაოსანმა" ისეთი რამ გააკეთა, არც ვიცი, სხვა რამეს თუ გაუკეთებია. დღევანდელი გაგებით რომ ვთქვათ, აი, დღევანდელი სამყაროს ენით, ასე გამოვა: ეს, მგონი, მსოფლიოში უნიკალური ვირტუალური თამაშია - „ვეფხისტყაოსანი" და ის ჯერ კიდევ მაშინ იყო ვირტუალური თამაში, როცა ქვეყნად არც კომპიუტერი არსებობდა, არც ელექტროენერგია და არც ნიუტონის ნაფიქრი.

ოდესღაც ასე იყო.

**24 ივნისი**

ყველაზე უფრო, რაც არ მომწონს შოთა რუსთაველის ამბავში, ეს მისი ბუზრის ქუდია. ყალმუხის ქუდი, სხვანაირად რომ ვთქვათ, კრაველის ბოხოხი, უფრო გაინტელექტუალურებული ყარაჩოხლის ქუდი, ზედ მიმაგრებული ბატის ფრთით. არ ვიცი, ეს ფრთა სამკაულს აღნიშნავს ხოლმე, თუ იმას რომ მწერალი იყო. ცოტა სპარსული ამბავია, ცოტაც მინატურების, მაგრამ ეს ბუზრის ქუდი ვერ მოშორდა. ფრესკაზე ბუზრის ქუდი არ აქვს.

ერთი მეცხრამეტე საუკუნის ნახატია, რომელიც კარგახანს იყო პოპულარული და იქ ძალიან კეთილი სახე აქვს, ოღონდ, იმ დროის რუსული საეკლესიო მხატვრობის თვალები და იერი ემჩნევა.

მე ფრესკის მხარეს ვარ, მეჭურჭლეთუხუცესი შოთა და მთელი ეს ისტორიები. მისი ბიოგრაფია უცნობია, დანამდვილებით ვერაფერს გაიგებ, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი, რაც ამის შესახებ წამიკითხავს, პავლე ინგოროყვას წიგნია. ისიც გამიგონია, რას ამბობენ ხოლმე ამ წიგნზე, მაგრამ სრულიად არ უმოქმედია ჩემზე, რადგან სწორედ ასეთი წიგნები და ასეთი კვლევა მიყვარს, წერტილიდან რომ სამყარო წარმოიქმნება ხოლმე.

იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვეთანხმები ან არ ვეთანხმები. ანდა ეს რა მკითხველის სათქმელია ასე გადაჭრით, მაგრამ ასეთი საინტერესო წიგნი ყველაზე დიდი ქართველი უცნობის შესახებ, მე ნამდვილად არ წამიკითხავს.

თვითონ „ვეფხისტყაოსნის" ყველაზე კარგი გამოცემა კი სასკოლო ვეფხისტყაოსანი მგონია. იყო ასეთი, სულ უბრალო იერისა. ნოდარ ნათაძისა, თუ არ ვცდები. ალბათ, არ ვცდები. ძალიან კარგი იყო, ადამიანს ეხმარებოდა.

„ვეფხისტყაოსნის" საუკუნეში ქართველები წიგნებს წერდნენ. ეს საუცხოო ამბავია, იმიტომ, რომ მერე და მერე ამას შეეშვნენ, თუმცა მერე ისევ დაუბრუნდნენ. ასე იტყვიან ხოლმე, როცა ზარბაზნები გრიალებენ, მუზები დუმანო. არ მგონია, მაგრამ მაინც.

თვითონ რუსთაველს აქვს ჩამოთვლილი და უამისოდაც ვიცით, რომ „ამირანდარეჯანიანი", „აბდულმესია", „დილარგეთ" და კიდევ სხვანიცაო. რა თქმა უნდა, სპარსული კვანძი არსებობს მთელს ამ ამბავში, იმიტომ, რომ იმ დროის სპარსეთი ლექსის და ზოგადად ხელოვნების საუცხოო ადგილია.

იმ ქვეყანაში ბრმა პოეტი შეიძლება ქალაქის გამგებელი იყოს და ათასი სხვა რამეც. ჰოდა, რატომ არ შეიძლება, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იყოს? სარგის თმოგველი რა, კონტროლიორი იქნებოდა ტრამვაიში? ხომ ვიცით ვინც იყო. იმასაც დაუწერია.

მე კიდევ რას ვამბობ. რაღა „ვეფხისტყაოსანი" მეთქი? ვთქვათ რატომ არა „ამირანდარეჯანიანი"? რა, ქურციკის ამბავი არ არი მაგარი?

მარტივი პასუხია, რომ ჯობია ასჯერ და იმიტომ. რომ დიადი პოეზიაა, რომ ისა, რომ ესა. რომ „ვეფხისტყაოსნის" ამბავი უფრო ადამიანური და გულში ჩამწვდომია, ვიდრე „ამირანდარეჯანიანისა". მაგალითად, ვისრამიანიც უზომოდ პოპულარული იყო საქართველოში. აგერ ლამის ასი წლის წინათ კი ყველაზე კითხვადი წიგნი „ყარამანიანი" იყო, დავით სარდალმა რომ თარგმნა ერეკლეს დროს.

საქმე, მგონი, სხვა არის. რა თქმა უნდა, სიტყვასაც არ ვიტყვი მისტიკურ მნიშვნელობებზე, ათას სხვა თეორიაზე და ასე შემდეგ. უბრალო კაცმა უბრალოდ უნდა თქვას. აბა, მე რა ვიცი, დაფარული რამეებისა? მე მესმის სიყვარულის, სიძულვილის, სიცილის, ტირილის, სიმძიმის, სიმსუბუქის, დღის, ღამის, წყლის, ხმელეთის და ასეთი რამეების. რაც ყველას ესმის. ეს უბრალოა.

უბრალოდ კი ასეა: ადამიანი წიგნს რომ კითხულობს, ან სჯერა მისი ან არ სჯერა.

ამ საქმეში მას ავტორი ეხმარება. ანუ, ავტორზეა დამოკიდებული, დაიჯერებს თუ არა მკითხველი წიგნს. თუ დაიჯერებს, ყველაფერი მაშინ დაიწყება. დაჯერების შემდეგ სწრაფსწრაფად მოდიან მიღება, დაახლოება, შეყვარება და ასეთი რამეები.

შეყვარებისთვის რაღაც თვისებებია საჭირო. უნდა დაემთხვეს. წიგნის რაღაცეები უნდა დაემთხვეს წამკითხველის რაღაცეებს. ანუ, აქ უკვე ორი მხარეა: დამწერი და წამკითხველი.

გადამწყვეტი ისევ დამწერია.

რუსთველი ბრწყინვალე ავტორია.

რა და როგორ აქვს, ამის მოყოლა საჭირო არ არის. ეგებ ვიფიქროთ, რა დაემთხვა? არ მგონია, რომ ეს აუცილებლად სიუჟეტი და ხასიათები იყოს, ანდა, სიბრძნე რომ ეტყვიან, ის. აქედან, ალბათ, ყველაფერი იყო, მაგრამ მთავარი სხვა რაღაც გამოდის. მგონი, ეს არის ცხოვრება, რომლითაც გინდა იცხოვრო. ქართველ არისტოკრატიაზე ვამბობ.

**10 ივლისი**

ერთ-ერთი მაგარი რამ, რაც „ვეფხისტყაოსანს" გამოჰყვა ამ საუკუნეების განმავლობაში, არის ის, რომ მას ჰყავდა ინტერპოლატორები. ანუ ადამიანები, რომლებიც შიგნით პოემაშივე წერდნენ.

ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ამბავია შუა საუკუნეებში, მაგრამ არ მგონია, სტამბის გამოგონების შემდეგ ხშირი იყოს. გადამწერლებს უფრო ადრე ჰქონდათ ეს თვისება ტექსტის შევსებისა, სიახლით, თუ უბრალოდ თავიანთი აზრებით გამდიდრებისა. ხელნაწერებზე მინაწერებისა და ასე დაუსრულებლად.

ეს სულაც არ არის გასაკვირი რამ. სულხან-საბას უწერია, ლექსიკონს რომ ვადგენდიო, ერთი მღვდელი იყოო, თუ არ ვცდები, იობი ერქვა, და სულ მლანძღავდაო, რას აკეთებსო, ცუდ სიტყვებს წერს შიგო. ყველაზე ნასწავლი და კალიგრაფი მღვდელი იყოო და, როცა მოვრჩი ამ საქმეს, ამ მღვდელს მივეცი გადასაწერადო და, როცა გადაწერა, ნახე რა ქნაო: სადაც ჩემი სახელი ეწერა, ყველგან თავისი ჩაწერაო.

ასეც ხდებოდა და ეძებე მერე ავტორი.

გადამწერელი ცოტათი ავტორადაც გრძნობდა თავს ანუ ავტორი ვერ იყო ისეთი ავტორული, დღეს რომ არის. რაღაც ხელოსანსა და ხელოვანს შუა მოძრაობაა, სტადიის მსგავსია.

აბა, ტყუილად ხომ არ არსებობს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია. მთელი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც „ვეფხისტყაოსანს" ასუფთავებს ნაყალბევი სტროფებისგან და მთელი გვერდებისგან, გვერდებისგან კი არა, თავებისგანაც. ერთი ცალკე წიგნიც არსებობს, რომელიც ადრე მინახავს და გადამიფურცლავს, იქ მთელი ეს ნაყალბევი სტროფებია თავმოყრილი.

მეცნიერებში, ალბათ, კამათია ნამდვილ და ნაყალბევ სტროფებზე. ინდო-ხატაელთა ამბავი და ასე დაუსრულებლად.

„ვეფხისტყაოსნის" შიდა ტერიტორიაზე მომუშავე ხალხისგან სახელიც შემორჩა, ნანუჩა ციციშვილი.

არჩილ მეფე ამბობს, რომ ბევრი ჩაურია შიგაო. დიდად საოცარი კაცი იქნებოდა ეს ნანუჩა.

სტალინმა ერთი სტროფის რუსულად თარგმნით შემოფარგლა თავისი თანამონაწილეობა ტექსტში. ჰგავს, არა? ნანუჩობაა რაღაცნაირი, შენიღბული. ხედავთ, რა ამბიცია ჰქონია? ნანუჩა კიდევ - სრულიად საოცარი ქართველი. მთლიანად შევიდა. ეტყობა, რაც შეიძლო, ჩაამატა და ჩაამატა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართველი არისტოკრატია გვარიანად ნასიარულებია „ვეფხისტყაოსანში", არა მხოლოდ ოცნებით, არამედ კალმით, დაზომებით, დატოლებით, შიგნით ხმლის ქნევით, ორმოების თხრით და სხვა ათასი რამით.

ეს, შუა საუკუნეების გადამწერთა შორის გავრცელებული ქმედება, „ვეფხისტყაოსნის" შემთხვევაში, შესაძლოა, სხვაგვარი იერისაც იყოს.

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტში საკუთარი სტროფებით ჩარევა არ არის მხოლოდ იმის სურვილი, რომ ისტორიული ქრონიკა გაამდიდრო, ახალი ცნობა, ან შენი სუბიექტური აზრი მიაწერო სხვა მემატიანის ნაწერს. არც ის არის მხოლოდ, რომ გადამწერის სახელი უკვდავყოს.

მგონი, „ვეფხისტყაოსანში" ლექსების ჩაწერა ერთის მხრივ, გა ასახიერებს სიდიადეში თანამონაწილეობის სურვილს, მეორეს მხრივ, შეუგუებლობას არსებულ სინამდვილესთან, მესამე მხრივ, საკუთარ თავში დარწმუნებულობას და უკიდეგანო ამპარტავნებას და, მეოთხეს მხრივ, გარესამყაროსთან ჭიდილში აშკარა უძლურებას.

პირდაპირ ნანუჩაში და სხვა ასში და ორასში კი არ არის საქმე, საზოგადო სურვილში, რომ „ვეფხისტყაოსანში" იყო.

მგონი, ადრე ვირტულაური თამაში ვახსენე.

„ვეფხისტყაოსანში" ლექსების ჩაწერა, რაღაცით აშორდიას აზნაურობასაც კი ჰგავს: ცხოვრება სხვაგან მიდის, ხდება რევოლუციები, რუსთ ხელმწიფის ტახტი ირყევა, ამ დროს კი ქართველები ფულს უხდიან სოლომონ აშორდიას, რომ მან მათ აზნაურული წარმომავლობის საბუთები შეუდგინოს.

რა თქმა უნდა, ყოფითად, აშორდიას აზნაურობას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: შენს შვილს ისეთ სასწავლებლებში მიიღებდნენ, სადაც მხოლოდ „დვორიანსტვოს" შეესვლებოდა, მაგრამ იდეურად სულ სხვაგან შეიძლება წავიდეთ: ქვეყანა იმისთვის ინგრევა, რომ წოდებრიობა გააუქმონ, შენ კი ნაყალბევ წოდებას ყიდულობ. რაღაცით ჰგავს.

ნანუჩამაც და სხვებმაც ხომ მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს არის ხელით ქმნილი საუკეთესო რამ, რაც მოსდევს საქართველოს მთელი საუკუნეების განმავლობაში. არა მხოლოდ იცოდნენ, არამედ შინაგანად აღიარებდნენ კიდეც ანუ ბოლომდე შესისხლხორცებული ჰქონდათ, რომ ეს ასეა: ამაზე უკეთესი, არც შეიძლება რომ რამე იყოს.

ჰოდა, ამ უკეთესში მონაწილეობა. მგონი, რაღაც ამგვარი სურათია.

სურათები ბუნდოვანია და ჩამოუქნელია, მაგრამ მიმართულება, მგონი, სხვა არ არის.

მეცნიერი ხომ არ ვარ, მაგრამ, რომ ვკითხულობ, უცებ გავიფიქრებ: ეს არ იქნება რუსთაველის დაწერილი. ზოგჯერ, ისეთ რამეებზე გავიფიქრებ, რომ ვერც გავამხელ.

**11 ივლისი**

ძალიან მიზიდავს ეს ვირტუალური თამაშის სურათი. მგონი გამონაგონი მომეწონა და, მეც რაიმე ნანუჩობა არ დამემართოს, იმას ვფიქრობ. ამიტომ ისევ უბრალოდ ჯობია.

რაც უფრო აქეთ მოდიოდა საქართველო მეთორმეტე საუკუნიდან, მით უფრო უბედურდებოდა, უდაბურდებოდა და ყოფის ანაბარა რჩებოდა. შეიძლება უბედურება არ დავარქვათ, მაგრამ, უკეთეს შემთხვევაში, ეს ადგილის ტკეპნა იყო. უფრო სწორად კი, როგორი ადგილის ტკეპნა იყო, იცით? აი, ასი ნაბიჯით უკან რომ დაიხევ და იქ ტკეპნი ადგილს, მერე კიდევ ასით და იქ ტკეპნი. ტკეპნი და ტკეპნი, ოღონდ არა იქ, სადაც ოდესღაც იყავი, არამედ სადღაც დაბლა.

წინ წასვლა არ გამოდის. ომის დროს კაცი რომ გორაკს დაიჭერს, იქ, რაც მეტს გატკეპნის ადგილს, უკეთესია, მერე ეგებ მოღონიერდეს და სხვა გორაკიც დაიჭიროს. იქედან რომ ჩამოაგდებენ, გორაკის ძირში რამდენიც არ უნდა ტკეპნოს, ხეირი არ იქნება.

ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც იყო, ვთქვათ, საქართველოს სამეფოები მეჩვიდმეტე საუკუნეში, ანდა მთლად მეთვრამეტეში, სადაც ორმოც ლეკს შეეძლო, მცხეთამდე ისე მოსულიყო და ბებრის ციხე ისე დაეჭირა, რომ გზად, წინაღობა კი არა, უბრალოდ კაცი არ შეხვედროდა, „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობა არის განუზომელი.

მეჩვიდმეტე საუკუნეს კიდევ რა უჭირს, იქ ყველაზე რთულ ქართველ მეფეს, ყველაზე უბედურს და სივერაგით დროის შესაბამისს, თეიმურაზს რუსთაველი ახსოვდა. თეიმურაზი პოეტი იყო.

საინტერესო ესეც არის, რას ფიქრობდა „ვეფხისტყაოსანზე" გიორგი სააკაძე. სააკაძის მნიშვნელობაზე აღარ მოვყვები. სულ სხვა მხარეს წავალ. უბრალოდ, ერთი ამბავი გამახსენდა: ლუარსაბ მეორეს რომ სააკაძის მოკვლა გადააწყვეტინეს და მსხვერპლი წავკისში დაიბარეს, იქ მისულ მოურავს მეფის ფარეში ბააკა ხერხეულიძე დაუხვდა და გააფრთხილა, ასეა და გაიქეციო. სააკაძე უუნაგიროდ ცხენს მოახტა და გააჭენა. აქედან დაიწყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი და ეგებ ყველაზე სისხლიანი ამბავი.

ბააკას ცხვირი მოსჭრეს.

მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რასაც ერთ-ერთი მემატიანე წერს. მთელი ჩვენი უბედურება აქედან დაიწყოო. ეს პირველად იყო, რომ მსახურმა პატრონს უღალატაო. ანუ, ბააკამ - მეფეს. შერმადინმა ავთანდილის მხარე არ დაიჭირა.

აბა, როდის არის გაცოცხლებული უღონო გლახის ნაამბობში ავთანდილისა და შერმადინის ამბავი? ამ ისტორიიდან ორასორმოცდაათი წლის შემდეგ. ეგ არი, ბიჭო, შენი შერმადინობაო? როგორი ავთანდილიც შენ იყავიო... და ასე შემდეგ. ანუ, ფუტლიარიაღა დარჩენილა.

სარგის კაკაბაძეს ერთგან გაკვრით უწერია, სიმონ მეფე იყო უკანასკნელი წარმომადგენელი რაინდულ საქართველოსიო. სიმონი ლუარსაბ მეორის ბაბუა იყო.

რაინდულ საქართველოსი ანუ „ვეფხისტყაოსნის" საქართველოსი.

მერე მოვიდა სააკაძის დრო და არა რომელიმე მეფისა. თეიმურაზს ახსოვდა „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ ეს უკვე ერთგვარი კულტურული მეხსიერება იყო. სააკაძეს „ვეფხისტყოსანი" არ სჭირდებოდა (არც სახარება, სხვათა შორის), ის სწორედაც რომ დაანგრევდა იმას, რაც „ვეფხისტყოსანი" იყო. არა რაღაც განსაკუთრებული ცუდი კაცობის გამო, არამედ იმის გამო, რომ საჭიროებისდა მიხედვით, ცუდიც იყო და კარგიც. ასევე იყო თეიმურაზიც.

როგორც იეთიმ გურჯი იტყოდა, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია.

მგონია, რომ ეს ძალიან სერიოზული ფრაზაა და ბარე ორას წელიწადს იტევს.

მე-8 გვერდზე >>

მეგონა საუკუნეების მიღმიდან მესმოდა მისი ხმა. ხმაც ისეთი ჰქონდა, რაღაც უფრო მეტი იყო ვიდრე ძეხორციელის ყელიდან ამოსული... თითქოს ეს ხმა სიტყვების გარეშეც საბრძოლველად გეძახდა. თითქოს მისი გულიც მხოლოდ იმიტომ ძგერდა, რომ შენს მკერდქვეშაც აეჩქარებინა სისხლი

სად არ დაღვრილი...

ნადიდგორალი, ნაშამქორალი...

სახელიც ისეთი ჰქონდა - ძალიან ქართული და ჟღერადი, ხმადაბლა თქმა რომ არ მოუხდებოდა არაფრით. ამიტომ თუ დაასახელებდი, ომახიანად უნდა დაგესახელებინა - მუხრან მაჭავარიანი!

ვერც კი წარმომედგინა ახალგაზრდა, მისი სიბრძნე ასაკისა და გამოცდილების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ჯერ კიდევ ათეული წლების წინ, როცა ასაკოვნობამდე დიდი გზა ჰქონდა სავალი. ეს „ასაკი და გამოცდილება" მის ყველაზე ადრეულ ლექსებშიც ჩანდა.

კიდევ ვერ წარმომედგინა მუხრან მაჭავარიანი სახლში, სავარძელში მოკალათებული, მოშვებული და განცხრომილი. ის ხმალივით იყო, რომელსაც ვადაში ჩაგების ჟამი ჯერ არ დასდგომოდა... მისი აზიდული წარბები თითქოს მომართულ და დაჭიმულ სხეულსა და სულს ბოლო შტრიხს მატებდა. მისი სიტყვა მაშინაც კი საბრძოლო ყიჟინასავით ისმოდა, როცა ბრძოლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა ისტორიულად ომებით გადაღლილსა და ძლიერი მეზობლის წნეხს ქვეშ მოყოლილ საქართველოს.

ის მოდიოდა და თავისი ქართული სისხლი მოჰქონდა, როგორც ჩაუმქრალი ცეცხლი და როგორც საკრალური სწავლება, ისე უნდა გადაეცა შთამომავლობისათვის. მოჰქონდა სისხლი, რომელსაც

*„გ ზადაგ ზა სვამდნენ*
*ამღვრევდნენ,*
*ღვრიდნენ,*
*ულმერთოდ ჰრყვნიდნენ,*
*უგულოდ ჰყიდნენ,*
*და...*
*მიუხედავად ამისა, მაინც -*
*გამოიარა*
*რუსთველის გული,*
*გამოიარა*
*ვახტანგის გული,*
*გამოიარა*
*თამარის გული,*
*გამოიარა*
*სულხანის გული"...*

საკრალური სწავლება შემთხვევით არ მიხსენებია. გენი და სისხლი, რასაც ასე ხშირად ვახსენებთ ხოლმე სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერება შენი ერის ფესვის ცოდნა-ცნობითა და წინაპრის სიბრძნით ნაკვები. ეს გენებთან ერთად კი გადმოგვეცემა, მაგრამ შესაბამისი სწავლებით თუ არ განმტკიცდა, ისე იკარგება, როგორც პეშვში ჩასხმული წყაროს წყალი.

მახსოვს დაღლილი, გაბრაზებული და განგებ მდუმარე პოეტი. ის დრო იყო, როცა უკვე საკუთარი თვალით ნახა, იქ, სადაც საქართველოს გადასარჩენი ომი უნდა ყოფილიყო, ერის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სულ სხვა მიზნებისთვის დუღდა ცხოვრება.

- როგორ მინდა, გესაუბროთ... - ვუთხარი მოკრძალებით.

- არ შემიძლია! მართლა არ შემიძლია... ვნახოთ, დრო გავიდეს, იქნებ გულმა სხვა მითხრას და მათქმევინოს კიდეც... ახლა რა უნდა ვთქვა?

გარეთ ზაფხულის ხვატი იდგა, ქანცგაწყვეტილი ქართველი ქალები ვინ იცის რომელი ქვეყნიდან ჩამოტანილი უხარისხო ტანსაცმლით სავსე დიდ ჩანთებს დაათრევდნენ... გადაგვარებამდე მისული უმუშევარი კაცები იქვე დახლთან ახლოს, სადაც ქალები ჭინჭებითა და ბოსტნეულით ვაჭრობდნენ, სახელდახელო სუფრასთან ისხდნენ და სადღეგრძელოებს აფრქვევდნენ. სუფრა იყო საჯაყი, ისეთი, როგორზედაც ადრე ძლიერ მეზობლებს დავცინოდით - ძეხვი, პური და არაყი... ან ლუდი, გამხმარი თევზი და პურის ყუა...

ქუჩაში გაჭირვებასა და პოლიტიკას დაესადგურებინა, პოლიტიკაში - კეთილდღეობასა და განურჩევლობას.

მას შემდეგ ლამის ათი წელიც გავიდა. რა შეიცვალა და რა - არა, მკითხველი თავად მიხვდება. მუხრან მაჭავარიანმაც, მართალია ძუნწად, მაგრამ რამდენიმე სიტყვა თქვა...

80 წლის იუბილარს პრეზიდენტი ეწვია. მაშინ მთელმა საქართველომ მოისმინა, რა ისურვა პოეტმა - წყარო გამოიყვანეთ ამ ულამაზეს სოფელშიო... ხალხს სასმელი წყალი შორიდან მოაქვსო. წყარო - სიცოცხლისა და სისუფთავის სიმბოლო - სიმბოლურად დაუტოვა მათ, ვისზეც ლოცულობდა:

„იარონ, იარონ, იარონ! ამინ!"-ო

სხვა სურვილი ლექსით ჰქონდა ნათქვამი:

*„ვერ მივაღწიე,*
*ვერ ველირსე უკეთუ მიზანს,*
*ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, -*
*რა ბედენაა დიდუბის და*
*მთაწმინდის მიწა!..*
*თუ სიკვდილია, -*
*აი, წოლა მესმის შამქორში!"*

ოღონდაც სად შამქორი იყო და სად „შამქორს" გვალანდებდნენ, ამისი გარჩევა უნდა შეგვძლებოდა...

ვერაფრით წარმოვიდგენდით მუხრან მაჭავარიანს დაწოლილს, სიკვდილთან შეხვედრის მომლოდინეს... ზეციურმა უკეთ იცის, ვის როგორ დასასრულს მიაგებს. მისი დასასრული რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა. სიტყვა იყო ხმამაღალი და ომახიანი - ისეთივე, როგორც მისი სახელი - მუხრან!

81 წლის პოეტი იდგა სცენაზე და მას არ ჰქონდა ასაკი, ვერაფრით დაარქმევდი მოხუცებულს ან ხანდაზმულს, როგორც ამ ხნის ადამიანს ეგება.

იდგა დროზე მაღლა და ხმალივით შემართული. მერე შეტორტმანდა და ბოლო ამოსუნთქვა ვიდრე დადგებოდა, ვიდრე დაეცემოდა, სულ რაღაც წამით, მაგრამ მაინც დაიჩოქა... საქართველოსთვის, ცხადია...

**ლელა ჯიჟაშვილი**



# მთაწმინდა გულში ისუტებს!

## ქართული პოეზიის მუხნარი - მუხრან მაჭავარიანი

იგი მეოცე საუკუნეში დარჩა, როგორც მარადისობა.

არიან კი ადამიანები, რომლებიც თავის საუკუნეში რჩებიან, როგორც დიდთა კაცთა საზომი ერთეული, მეტი არაფერი.

დღეს მუხრან მაჭავარიანზე მსურს საუბარი და მისგან გარეშე ხალხით მსურს დავიწყო ჩემი ესსე. ამით უფრო მეტის თქმა შეიძლება მასზე.

ზოგიერთი, დავარქვათ ამ ზოგიერთს გაბევრებული ერთეულობა, თავის შემოქმედებას წარმოაჩენს (ყოველთვის ყოფილა ასე და ყოველთვის ასე იქნება) როგორც უნიკუმს, შედევრს, ეპოქალურ ნაქმნს. მათ უმეტეს შემთხვევაში დროც უწყობს ხელს, დრო მხოლოდ სადღეისო და არა მარადი მოძრაობის ჩარხი. მაღალი კაცები წყალობენ ასეთ შემოქმედებას, მაღალი კაცები და არა დიდი კაცები. დიდი კაცები კი ჩრდილში არიან და თავის დროს ელიან, ამ შემთხვევაში მარადისობის განზომილებას, რათა აიწიოს ამ დიდი კაცების ხმა მარადიულობის სასწორზე. დიდთა კაცთა ხმა კი არ აიწონებაო, - ამბობდა ზვიადი. დიდ კაცთა ხმაზე სიცოცხლისუნარიანობა ენიჭებოდა და მიენიჭება მრავალთ.

მუხრან მაჭავარიანი ოფიციალურად აკრძალული პოეტი არ ყოფილა ოფიციოზისთვის, მაგრამ ყველა მისი დიადი ნაქმნი მედროვეთა ჩრდილქვეშ იყო მოქცეული, მისი შემოქმედების დამსახურების შესახებ კი ერთხმად დუმდა კრიტიკა. მხოლოდ განსაკუთრებით განსწავლულებმა თუ იცოდნენ მისი ლექსები ზეპირად, და მაინც ისეთი ლექსები, რომლითაც წარმოჩინდება არათუ პოეტი მკითხველის წინაშე.

ჩვენ გვიყვარს მასშტაბები და ვთაყვანებით მსოფლიო გაქანებას, რიცხობრივად პატარები ვართ, და მიტომ. მასებსაც უყვარს მსოფლიო გაქანება და არა სიღრმისეული ჩაღრმავება. ორივე ერთარსად ძნელი წარმოსადგენია მკითხველის წინაშე, ძნელი და არა შეუძლებელი.

მუხრან მაჭავარიანს ბედმა აღირსა ყოფილიყო დიდი პოეტი. დიდ პოეტს ვამბობ და უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ დიდ ადამიანს, თორემ კარგი ლექსების წერა ბევრმა ისწავლა გალაკტიონის შემდეგ. თუმცაღა მუხრანი მარტოდენ კარგ ლექსებს კი არა, შედევრებს წერდა, რომლითაც ქართულ სიტყვიერებისა და აზროვნებას მასშტაბი მისცა ჰაეროვანი სისადავისა და ფილოსოფიური სიმსუბუქის.

ისიც იმ დიდი ეპოქის შვილი იყო, რომელიც დაიწყო რუსეთში ანდრეი ვოზნესენსკის, ევგენი ევტუშენკოს, იოსიფ ბროდსკისა და სხვათა თაოსნობით, ევროპაში კი იდგა ამინდი ბითლზებისა. საბჭოეთზეც გავრცელდა ნაწილობრივ თავისუფლების სიახლის შეგრძნების ეს სიო. რუსულ პოეზიაში ჯერ კიდევ თავის ტანს სცემდნენ ბორის პასტერნაკი და ანნა ახმატოვა. საქართველოში იზრდებოდა ახალი თაობა, რომელმაც, თამამად შემიძლია ვთქვა, გადააჭარბა თავის წინამორბედებს, რამეთუ შემოქმედებითი თავისუფლების ოაზისში იმყოფებოდნენ, - და იმყოფებოდნენ სიცოცხლის ბოლომდის, მიუხედავად ათასგვარი წნეხისა და აკრძალვებისა.

გვიან მიხვდა ხრუშჩოვი თავის პოლიტიკურ შეცდომას, რადგან გატაცებული იყო აღმოეფხვრა ყველაფერი სტალინური, ეს კი გამოეპარა, ყველაზე მნიშვნელოვანი და წამოიყვირა ბახუსით გადარეულმა - „В вопросах искусства я сталинист"... ეს შემახილი ყველას შეეხო, ელექტროშოკივით შემოირბინა ამ რეპლიკამ მთელი საბჭოეთი. ნომენკლატურის რეაქციაც მოჰყვა და შეიქმნა მთელი რიგი პრეისკურანტი აკრძალვებისა და აკრძალულებისა. საბჭოეთის პერიფერიებში ნაკლებად იგრძნობოდა დევნათა ახალი ნაკადი, მაგრამ მკრთალი სიოსავით გადაუარა ხრუშჩოვის რისხვამ ქართულ კულტურას, ამას ვინ დაეძებდა, ქართველთა სრულ დეპორტაციას აპირებდა ლოთი ხრუშჩოვი. თუმცა, თვით მბრძანებელი მოაშთვეს მალე.

ჩვენი მწერლობა კი თავისი გზით მიდიოდა რუდუნებით და დიდ კორიფეთა შორის გამოიკვეთა ორი სახელი - მუხრანი და მურმანი. ორთავენი ქართული პოეზიის მეწინავეებად იქცნენ და ასეთად დარჩნენ სიცოცხლის ბოლომდე. მათ პოეზიას მიეცა აკაკისეული სისათუთე და რიტმის ორიგინალური სტილი. ამ სტილმა ქართული ლექსი მონუმენტალური გახადა, ანუ ლექსი ყურებადი გახდა -

უყურებ,
ხედავ,
გრძნობ

და რაც მთავარია შეიგრძნობ იმას, რაც წერია. აი, მაგალითად:

*„თევზივით უხმოდ ამომდის სული,*
*ამხობს ცრუთანი ქვეყანას ფიცი.*
*შური მშურს, - შური!*
*შური მშურს, - შური!*
*შური მშურს, - ვისაც*
*ჩემი შურს, - მისი".*

ეს ერთი იმათგანია, სადაც ლექსმა განივთებული სახე მიიღო და ამავე დროს თავისი ხმა ჰქონდა აუწონავი. და ეს ის დრო-ჟამი იყო, როცა მსოფლიო მაჯისცემა დახშული იყო საბჭოეთის ბინადართათვის. თუმცაღა მსოფლიო მზერის რაკურსი დიდ ქართველ პოეტს სწორად ჰქონდა დაჭერილი და ამ მზერის პარამეტრებზე ააწყო თავისი ლექსის ფორმა, ხოლო შინაარსი ეროვნული სულისკვეთებისა მისცა.

მუხრანის მთავარი საფიქრებელი თემები ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის ბედია. იგი მეთვრამეტე საუკუნეში უყურებდა ქვეყნის ახლო და შორეულ მომავალს. მან ჯერ კიდევ როდის განჭვრიტა ის, რომ საქართველოს ისევ დაუდგებოდა ჟამი ორიენტაციის არჩევისა - ევროპა თუ რუსეთი. ევროპა პოეტისთვის იმედობანას თამაში იყო -

*„ორბელიანი ლუდოვიკო*
*მეთოთხმეტესთან*
*ალოდინეს და...*
*მეთხუთმეტე კაცად შევიდა.*
*ცამეტი ლუდოვიკო*
*კედლიდან იყურება,*
*ციცას ეფერება*
*ლუი მეთოთხმეტე"*

ეს ვერ გაიგეს დღევანდელმა პოლიტიკანებმა. ლუდოვიკოები ბევრნი ყოფილან და არიან და იქნებიან კიდეც. საბა ერთი იყო, ის იმედებით გაიტყუეს თავისი ქვეყნიდან. დღეს ვაიპოლიტიკოსები თვეობით უზიან თანამედროვე ოთხწლიან ლუდოვიკოებს სასახლის კარზე და მეთხუთმეტე კაცად კი არა კაცადაც არ თვლიან, ისე ისტუმრებენ თავიანთი ქვეყნიდან. სამაგიეროდ, უკვე კარგად იციან, რომ რუსეთი სიკვდილია.

დიახ, რომ სიკვდილია რუსეთი საქართველოსთვის და უნდა შევაგნებინოთ დღევანდელი ვაიპოლიტიკოსების მედალიონის მეორე მხარეს. აი, მართალი სიტყვა, ესეც ხომ არაა რაღაც სხვა -

*„მოიპარიზა, მოირომა,*
*მოისტამბულა,*
*მობრუნდა შინ და*
*იუდასი ეძღვნა ამბორი.*
*მოიმოსკოვა, არ აცალა*
*ყინვამ ძლიერმა,*
*მოსკოვმა შთანთქა*
*ძვალნი მისნი, - სატანძიენი.*
*მკერდზედ გეფინა ჩანჩქერივით*
*ქათქათა წვერი,*
*გამოალაჯე საკუთარ საფლავს...*
*კურთხეულ იყოს*
*სახელი შენი, - საბა!"*

(„ისევ საბა" დაწერილი 1973 წელს).

დღეს ვერავის აიძულებს ქართული პოეზია ეს პოზიცია დაიკავე თუ ისაო. უფრო კი პირიქით, დღეს ბევრი პოეტია, რომლებიც სხვათა დაკრულზე ბუქნაობენ. საქართველოში კი ქალწულური სიწრფელე მხოლოდ წარსულ მაგალითებად შემოგვრჩა.

მე ახლა მახსენდება საქართველოს უახლესი ისტორიის გზისგასაყარი, საიდანაც ათვლა დაიწყო დღევანდელმა ქართულმა სახელმწიფომ და აქაც უპირველესი სიტყვა საქართველოს ბერმუხასავით ღვაწლით მოსილ პოეტს მიაკუთვნეს, როდესაც მუხრან მაჭავარიანმა 1990 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ წამოაყენა ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა. ამით ერის ცხოვრების ჩარხი სხვა მიმართულებით დატრიალდა (წაღმა თუ უკუღმა, ეს მომავალმა თქვას, მაგრამ დატრიალდა სხვა მიმართულებით, არა იმით, რითაც აქამდე იყო). და ამაშიც პირველი სიტყვა მუხრანს მიეკუთვნა. აქ ზვიადის არჩევაზე კი არ იყო საქმე, არამედ ერის მაჯისცემა ხელში პოეტებს ეჭირა. ასეთი პოეტური გაქანება არც ერთ დიდ პოეტს არ ღირსებია საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. ეს იყო წამი, მართლაც, უდიდებულესი, - როგორც ამას მერაბ კოსტავა იტყოდა. და დავამატებ იმას, რომ ეს ის წამი იყო, როცა საქართველოს ბედიღბალი პარიზში, ვაშინგტონში და მოსკოვში კი არ წყდებოდა, არამედ თვით საქართველოში. აი, ეს სიტყვა თქვა იმ ისტორიულ სხდომაზე მუხრან მაჭავარიანმა და მთელი მისი პოეზიის სული და გული ჩადო ამ ნათქვამის განხორციელებაში. მოგვიანებით კი სასოწარკვეთილმა ამოიგმინა -

*„ის იყო, - სახეს უპრიანს*
*იძენდა უკვე პარნასი!*
*ის იყო, - იძირკვებოდა*
*თამაში რუსობანასი!*
*ის იყო, - გმირი ხევსური*
*მკვდრეთით დგებოდა სამასი!*
*გამოგვეცხადა (კრულ იყოს!) -*
*სისხლი რომ სცხია მამასი,*
*და... ისევ რუსობანასი*
*დაგვაწყებინა თამაში!"*

(„რუსობანა" - დაიწერა 1993 წელს).

დღეს საქართველომ დიდი სისხლისა და ომის ფასად ჩამოიცილა რუსის სინდრომი, ნოსტალგია ველარ გაჭრის, რამეთუ მხოლოდ ლექსში და ისტორიაში კი აღარა გვაქვს წარმოდგენილი რუსის სახე, არამედ ცხადად ვხედავთ ჩვენ ჭოგრიტით ლიახვზე და ენგურზე რუსულ ჩექმას და ვინ ვის და, ჩვენი თუ არა ჩვენი შვილების შეგნებიდან წაიშლება ხსოვნა რუსეთის - ეს მონური დაავადება, რომელიც ჯერ კიდევ იმ მეთვრამეტე საუკუნეში შემოიჭრა ჩვენში მთელის სიმძლავრით,

დიდი მუხრანი რომ ფიქრობდა

და მისი პოეზიის გამოცანად რომ დარჩა.

**მანუჩარ კაჭახიძე**

„მამულის" ფოტო-რეპორტაჟი

„მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი..."
გალაკტიონი









**ქვემოთ სრულად ვაქვეყნებთ პოეტის უკანასკნელ სიტყვას, რომლის წარმოსათქმელადაც ავიდა იგი სცენაზე, მაგრამ ბოლომდე ვერ დაასრულა.**

„თბილისო, მე რომ
შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ
მდუმარი...
მეც უნდა ვიყო
შენი პოეტი,
მე არ ვიქნები
შენი სტუმარი" -

ასე მიმართა საქართველოს დედაქალაქს, ნახევარი საუკუნის წინათ, ჩვენმა დღევანდელმა იუბილარმა, რომელიც უკვე კარგა ხანია, ღირსეული პოეტი გახლავთ არა მარტო თბილისისა, არამედ მთლიანი საქართველოსი.

წინათაც და დღესაც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი პოეტი საქართველოთია დაავადებული:

- ღმერთო სამშობლო
მიცოცხლე,
ძილშიაც ამას ვდუდუნებ! - წერდა ვაჟა.

- დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი! - წერდა ტიციანი.

- სამშობლო არ დაგავიწყდეთ,
სამშობლო უმთავრესია! - წერდა გალაკტიონი.

„როცა გიჭირს შინ და გარეთ
და ქვეყანა ჩვენი გოდებს,
ღმერთმა ნუ ქნას,
სადმე ქართველს
ქართველობა არ უნდოდეს!" - წერს ფრიდონ ხალვაში.

არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცადამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა! *(ამის თქმა იყო და წაიქცა პოეტი. - **რედ.**)*

მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ღმერთი თავისას მიუზღავს ყველას, და დღეს არა, - ხვალე, ამ ე. წ. ქართველთაგან, არც ერთ მათგანს არ ასცდება ბედი აკაკი წერეთლის ნათაგვარი ღამურასი!

იშვიათია პოეტი, რომელსაც სხვა პოეტის დანახვისა და მისი აღიარების უნარი შესწევს.

ფრიდონ ხალვაში სამაგალითოა ამ მხრივაც:

„მიყვარს ნაავდრალი მთები,
მთები ნისლებაჩალული,
კვნესით დახნულ-დანათესი,
იარებით დაშარული,
როგორც გორგილაძის ლექსი
დიდქართული, აჭარული."

ჭეშმარიტად, უშურველობისა და კეთილშობილების ზენიტია ფრიდონ ხალვაშის ეს „გულიდან ხორცად გამონატანი" სიტყვები.

უდავოდ, „დიდქართულია" თვითონ ფრიდონის შემოქმედებაც.

ხალხმა ზეპირად იცის მისი მადლიანი ხელიდან გამოსული არაერთი სტრიქონი.

„მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი
გავამრთელო."

მთელ ქართულ პოეზიაში თითო-ოროლა თუა ესოდენ გულში ჩამწვდომი ლექსი.

ფრიდონი პროზაშიც ისევე წრფელი და ელვარეა, როგორც პოეზიაში:

მრავლისმეტყველია მისი რომანი „შეიძლება თუ არა, მუსლიმანი იყოს ქართველი."

შესანიშნავია მისი მემორიალური ხასიათის წიგნი „ომრი"...

ჭეშმარიტ პოეტს, მხურვალე მამულიშვილს, დაუცხრომელ საზოგადო მოღვაწეს, ჩემს ძველ მეგობარს ფრიდონ ხალვაშს სულითა და გულით ვულოცავ დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებ კვლავაც მრავალგზის გაეხარებინოს ქართველი კაცის გული თავისი ლექსითა თუ პროზით.

**მუხრან მაჭავარიანი**
15.05.010 თბილისი

ძნელია მოძებნო ადამიანი, ვინც ლევან ბერძენიშვილთან ხუთი-ათი წუთის საუბრის შემდეგ არ მიხვდება, რომ ის ყოფილი პოლიტიკური პატიმარია. როგორც ჩანს, ამ ვითარებამ, ამ ამბავმა ბატონ ლევანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თვით პატიმრობაში, ამ გამოცდილებაში არის რაღაც ისეთი, რასაც ბერძენიშვილი არათუ არ მალავს, არამედ ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდოს ეს ინფორმაცია სხვას. ეს არის ის, რამაც განსაზღვრა ლევან ბერძენიშვილი. ბერძენიშვილი ნამდვილად განსაზღვრა უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილებამ, დაეპატიმრებინა იგი. ეს არ იყო მარტო ერთჯერადი აქტი, ეს იყო ოთხწლიანი დევნა, ძალიან თავისებური, რომელიც პატიმრობით დასრულდა და ამით დამთავრდა გარკვეული ეპოქა...

ამით ლევან ბერძენიშვილის ახალგაზრდობა დამთავრდა.

# კაცი, რომელიც იცინის!




მძაფრი შთაბეჭდილებები ბევრი შემიძლია გავიხსენო. მაგალითად, შემთხვევა, რომელიც მქონდა ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში. ამ ქვეყნებში გამძარცვეს. ძალიან თავისებური განწყობაა ეს. ბრაზილიაში ორჯერ გამძარცვეს. სამხრეთ აფრიკაში ერთხელ, თუმცა მეტს ვერც მოასწრებდნენ. უბრალოდ, ცოტა ხნით ვიყავი. ასევე კარგად მახსოვს, ბავშვობაში ერთმა ჩემზე ნაწყენმა გოგონამ თავისი ბიძაშვილი რომ დამახვედრა. ამ დანებიან შეხვედრაზე მეგობართან ერთად აღმოვჩნდი, რომელმაც მიმატოვა. ასეთი რამეების დავიწყება შეუძლებელია. არის ბევრი რამ, რაც გახსოვს კაცს, მაგრამ არის ერთი რამ, რაც მუდმივად მახსოვს. ეს არის პატიმრობა, რაც იმდენად არანორმალურია და იმდენად არასაჭირო, რომ ეს კრიზისი განუკურნებელია და მუდმივად თან ახლავს და თავის დაღს ასვამს ადამიანს.

ვფიქრობ, ამაში არის გარკვეული ფატალიზმი, და რომ რაღაც თვალსაზრისით, ისინი ცოდონიც კი არიან, ვისაც ამგვარი გამოცდილება არა აქვს. ესაა გარკვეული სიმდიდრე. რა თქმა უნდა, არ ვიცი, რამდენი მომცა უზენაესმა ძალამ, თუკი ის არსებობს, და რამდენ ხანს უნდა ვიყო ამქვეყნად, მაგრამ ვიცი, რომ უფრო მეტ ხანს ვიქნებოდი, ის წლები რომ არ ყოფილიყო, იმიტომ, რომ ფიზიკურად ჩემი სიცოცხლიდან რაღაც მნიშვნელოვანი წაიღეს. თუმცა ნელსონ მანდელას რომ ვაკვირდები, რომელიც 30 წელი იჯდა ციხეში, ვხვდები, რომ ციხე გარკვეული გაგებით, რაღაცეებსაც ინახავს. მაგრამ დადებითი ელემენტები, ანუ პლუსები და მინუსები რომ დავუთვალოთ ჩემს დაპატიმრებას, რა თქმა უნდა, პლუსები გადააჭარბებს. ამით არავის მოვუწოდებ, რომ სასწრაფოდ ციხეში გაიქცეს. მაგალითად, შენი მეუღლის ერთგულებასა და სიყვარულში რომ დარწმუნდე, ამისთვის დაპატიმრება არ არის საკმარისი. ჩემს ირგვლივ ბევრი დააპატიმრეს, აქედან 90 პროცენტმა დაკარგა თავიანთი მეუღლეები. ციხეში პანტა-პუტით მოდიოდა ტელეგრამები - Милый, я нашла другого человека. ამ ტელეგრამაზე, მის შინაარსზე, საბჭოთა კაგებე მუშაობდა. ის აიძულებდა ქალებს, უარი ეთქვათ დაპატიმრებულ ქმრებზე. ჩემი შემთხვევა იმიტომ კი არ იყო გამორჩეული, რომ ქართული კაგებე სხვანაირად მუშაობდა, ქართული კაგებე საბჭოთა კაგებეს ღირსეული ნაწილი იყო...

3 წელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სათავეში გორბაჩოვი რომ არ მოსულიყო, ახლაც იქ იქნებოდა, თუკი იქნებოდა საერთოდ. მერაბ კოსტავასაც (ცოტა მოესაკვა, მაგრამ ის იყენა და იღვა), იმიტომ, რომ უმატებდნენ და უმატებდნენ, და კიდევ დაუმატებდნენ, ქვეყანაში გლობალური ცვლილებები რომ არ მომხდარიყო. მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი ცდილობს გაერკვეს, რა და როგორ არის, და თუ იგი ამას, როგორც ტრაგედიას და უსამართლობას აღიქვამს, მაშინ ის შეიძლება გადაგვარდეს. მაგრამ თუ თავისთავში საკმარის ცოდვილობას ხედავს, რის გამოც შეიძლება ზოგადად დაისაჯოს, მაშინ იგი გადარჩება.

ცხოვრებაში ბევრი დამიშავებია საიმისოდ, რომ გასაჭირში ჩავვარდნილიყავი. თუ დაინახავ, რომ სამყაროში არის გარკვეული სამართლიანობა, - თუნდაც იმაში, რომ შენ ჩავარდი, იმიტომ, რომ შენც დაიმსახურე, - მაშინ შეიძლება ოლიად გადარჩე. მორალური მდგომარეობის გარანტია საკუთარი თავის შეფასების უნარია.

კარგად მახსოვს როსტოვის ციხეში გავრცელებული დიდი სიბრძნე: „В грузии - ростовская тюрьма мотель, - все воры до первого светофора". ქართველი პატიმრების დიდი ნაწილი ძალიან მაგრად იქცევა პირველ გასაჭირამდე, ანუ როსტოვის ციხემდე. ეს არ ეხება პოლიტპატიმრებს, რომლებიც, როგორც წესი, - ქართველებიც და სომხებიც და ა.შ. - ძალიან მედგარნი არიან ხოლმე, არამედ ეხება ე.წ. ახალგაზრდა, მამალზე მოფიქრალ ხალხს. ბევრი ფიქრობს, რომ ის ქურდული ცხოვრების გზას დაადგება, ოღონდ როსტოვის ციხემდე. პირველივე სერიოზული გამოცდა - როსტოვის ციხე, რომელიც ცუდი ადგილია, ძალიან აკნინებს, ასე ვთქვათ, იმ რომანტიკულ წარმოდგენებს, რომლებიც ახალგაზრდებს ქურდულ სამყაროზე აქვთ. ახლა ვერ ვიტყვი, გაუმარჯოს როსტოვის ციხეს-მეთქი, მაგრამ მან თავისი ფუნქცია უთუოდ შეასრულა ჩვენს ისტორიაში, და ბევრი ქართველი ადამიანი დააბრუნა დედამიწაზე იმ საეჭვო ზეციდან, რომელსაც ქურდული სამყაროს ზეცა ჰქვია. ბევრი კარგი რამ, რაც იქ იყო, ისედაც იქნებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, საბჭოთა კავშირში გვევლო და ყველაზე ჭარბი თავისუფალი ინტელექტუალური შემადგენლობა შეგვეკრიბა. უშიშროებას ამის საშუალება ჰქონდა. მან შეკრიბა და, გარდა ამისა, ამ ხალხს გამოცდა მოუწყო, და ვინც, ასე ვთქვათ, თანამშრომლობას იოლად დათანხმდა, მათგან ჩვენი რიგები გაწმინდა, ასე ვთქვათ, ჯირკვალი განაგდო, და დატოვა სუფთა, დაუთანხმებელი მასალა - ხალხი, რომელიც არ ეთანხმებოდა სისტემას. ასეთ ადგილას მოხვედრა არ იყო პატარა რამ, და მიმაჩნია, უშიშროებამ, გარკვეულწილად, პატივი დაგვდო იმ თვალსაზრისით, რომ არ მოგვისაჯა, ვთქვათ, გაუპატიურებისთვის... არადა, შეეძლოთ, ნებისმიერი საქმე შეეკერათ. მაგალითად, სამშობლოს ღალატისთვის გავესამართლებინეთ, მაგრამ პატიოსნად გვიწოდა ხალხი, რომელიც ანტისაბჭოთა მეთოდებით იბრძოდა. მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრევა და მთელი მსოფლიო გაიგებს, რომ ეს იყო ბოროტება, აშკარად მეამაყება, რომ ანტისაბჭოთა აგიტაციის და პროპაგანდის მუხლით ვიყავი ბრალდებული, და არა, ვთქვათ, ხულიგნობის ან გაუპატიურებისა.

ვინაიდან გაირკვა, რომ საბჭოთა კარგი არ ყოფილა და საქართველოში საბჭოთა კავშირს არცერთი სერიოზული ადამიანი (მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმათ, რომ ხალხი თავის ახალგაზრდობას მისტირის, ერთი-ორი კომუნისტის გარდა, რომელთაც ახლაც თავისი უფლებები აქვთ) არ მისტირის, ამიტომ, გარკვეული გაგებით, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის ჯდომა კარგია. [illegible]

მე ვიცნობდი ასეთ კაცს, რომელიც ზანდახან ყველას გვაცინებდა ძალიან სერიოზულად და რომელიც აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის XX საუკუნის [illegible] ჯაბა იოსელიანი. [illegible] რომ მისი [illegible] 75 წლის ჯაბა იოსელიანი მეთხუთმეტე სართულზე. შევარდნაძე ლიფტით ადიოდა, ის კი ასწრებდა ხოლმე. ადამიანი ელვარე უნდა იყოს. უფრო სწორად, კარგი იქნება, რომ იყოს. ხოლო ეს ადამიანი სწორ გზასაც თუ დაადგება, მაშინ ეს დიდი ბედნიერებაა. ასეთი ადამიანები გმირებად იქცევიან ხოლმე. ასეთი ხალხი, განსაკუთრებით საინტერესოა ამ გარდამავალ დროში. ვინ არის ის, ვისაც უნდა მიბაძო.

პატივსაცემია პრეზიდენტის აზრი მის მოხელეებზე, მაგრამ საეჭვოა, პრეზიდენტმა ერთი კაცი მაინც გვაჩვენოს, რომელიც ღამე იმ ფიქრით იძინებს, რომ ხვალ გაიღვიძებს და დავით კეზერაშვილს ემსგავსება.

დღევანდელ გმირებზე, რომლებიც ხელოვნურად იქმნებიან, არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი. მაგალითად, „ეს გმირია", - იტყვის ხოლმე პრეზიდენტი, მაგრამ ისინი ასეთები არ არიან. მათ არავინ ბაძავს, არავის უნდა მათნაირი იყოს.

მხედრიონის დროს, ტელევიზიით აჩვენეს ფილმი „ერთხელ ამერიკაში", რომელმაც წარუშლელი გავლენა მოახდინა საქართველოზე, ფორმების თვალსაზრისით. „გრანდ ჩეროკებზე" მომჯდარი ბიჭები და მათი საქციელი პირდაპირ იმ ფილმიდან იყო გადმოღებული. ანუ ისინი საქართველოში ამერიკული რეკეტის გარიჟრაჟს ქმნიდნენ. და ძალიან კარგი, რომ ეს ფილმი არსებობდა, რადგან უამფილმოდ ეს ბიჭები სისასტიკის უფრო რთულ და გაუგებარ ფორმებს მოიფიქრებდნენ.

მათ აირჩიეს სისასტიკის ის ფორმები, რომლებიც მხატვრული გაფორმების საშუალებას იძლეოდა. საბედნიეროდ, ისინი არ გახდნენ ქართული საზოგადოების ისეთი ორგანული ნაწილი, როგორც მაფია იყო სამხრეთ იტალიის საზოგადოების ნაწილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ კარგია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსაწონი იყო, მაგრამ კარგია ნიშნავს, რომ სწრაფად მოვინელეთ და მოვიხადეთ ეს სენი. გარკვეული გაგებით, ეს ნაციონალური სენია.

სამართლიანობა ყველაზე საშიში სიტყვაა, ეს არის სიტყვა, რომლის გამოც ყველაზე მეტი სისხლი დაიღვარა, ვიდრე სხვა რომელიმე სიტყვის გამო. საქართველოში ჩვენ უკვე ვიცით, რომ სამართლიანობა იოლად მიღწევადი რამ არ არის. ჩვენ მოგვიწევს შეგუება იმისა, რომ ვინც იშოვა, იმან იშოვა. ეს ამ ქვეყნისთვის გადამწყვეტი მომენტია, ანუ ქვეყანა უფრო მაღლა უნდა დადგეს, ვიდრე მარტივი წარმოდგენა სამართლიანობაზე. არსებობს დიდი და პატარა სამართლიანობები. ნელ-ნელა ცხოვრება გასწავლის სიბრძნეს. იყო ბრძენი, ნიშნავს - არ იყო ჭკვიანი. რუსთაველი რომ ამბობს, ამ ამბავს ჭკვიანები ვერ მიხვდებიანო, სწორედ ამას გულისხმობდა. ჭკვიანი არის - ორჯერ ორი ოთხია. უკანონოდ მოპოვებული ქონება რომ უნდა ჩამოერთვას ვინმეს, ეს ჭკვიანობაა და, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ სიბრძნე მდგომარეობს იმაში, რომ საქართველომ არ უნდა იზრუნოს ყველა სამართლიანობის აღდგენაზე.

მაგალითად, 44 წელს მოხდა ე.წ. თურქ მესხთა ანუ მაჰმადიან ქართველთა გასახლება საქართველოდან. სრულად რომ აღდგეს სამართლიანობა, საქართველოში ნახევარი მილიონი ადამიანი უნდა ჩამოვიდეს, რომელიც ჩვენს მიმართ აგრესიულად იქნება განწყობილი. ანუ ძნელი წარმოსადგენია სრულად აღადგინო სამართლიანობა, და შეინარჩუნო ქვეყანა. ამავე დროს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ხალხს არ დააბრუნებ. სრულიად წარმოუდგენელია, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით. საქართველოს არ ექნება ამის შანსი. ანუ სიბრძნე სხვაგანაა, იქ არა, სადაც ორჯერ ორი ოთხია, სიბრძნე გაცილებით უფრო რთულია და სიბრძნის შემთხვევაში, ორჯერ ორი ხანდახან არ არის ოთხი, ნამდვილად არ არის. თუ ვინმეს უჭირს ამის წარმოდგენა, უნდა ახსოვდეს, რომ არის ერთი თეორია, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ცოდნა, ანუ ერთი წერტილიდან წრფისადმი შეიძლება გაავლო ერთი პარალელი, და არის ორი სხვა თეორია, რომელიც ამბობს, რომ ვერც ერთს ვერ გაავლებ. აქედან ერთი ამბობს, რომ ისინი ერთმანეთს გადაკვეთენ, მეორეს მიხედვით კი ისინი ერთმანეთს არასოდეს გადაკვეთენ. ამ ორივე თეორიის მიხედვით, კაცობრიობა კოსმოსში დაფრინავს, და ცხოვრებას აწყობს, და ის თეორია, რომ მხოლოდ ერთი პარალელის გავლება შეიძლება, სამწუხაროდ, დაახლოებით ისეთ ქვეყნებს ახასიათებს, როგორიც საქართველოა. ლობაჩევსკის და რიმანის გეომეტრიები, ეს არის პასუხი იმაზე, რომ სიბრძნე არ არის მარტო ევკლიდობა. თუმცა ელემენტარული ცოდნა ამის გარეშე არ არსებობს. უნდა გესმოდეს, რა არის სამართლიანობა, რომ მერე გაიგო უფრო მაღალი სამართლიანობა. ასე რომ, ზედმეტი თავგამოდება რომ არ გამოვიჩინო, ვიცი, რა არის სიბრძნე-მეთქი, ვიტყვი, რომ ერთ რამეს ჩავწვდი: მარტივი ნაბიჯები თითქმის არასოდეს ნიშნავს წარმატებას, მარტივი, ანუ სწორი ნაბიჯები. გარკვეული გაგებით, ის სტრატეგიული გათვლები, რომელიც შეიძლება არსებრივ ცოდნას დაეფუძნოს, ადამიანზე უკეთ შეიძლება კომპიუტერმა გააკეთოს. მაგრამ არ მეგულება საქართველოში არცერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული საკითხი, რომელიც ამ დონეზე შეიძლება იქნას გათვლილი, და არ გაითვალისწინოს ის ადამიანური ფაქტორები, რომლებსაც კომპიუტერი ვერ გაითვალისწინებს. ანუ ჯერჯერობით უმარტივესი სტრატეგიული საკითხებიც კი, არ ექვემდებარება სრულ ალგორითმიზაციას, და ის ხალხი, ვისაც ეჩვენება, რომ ამ მხრივ რაღაცის გაკეთება შეუძლია, ბრძენ ხალხად ითვლება.

ხანდახან ამ სიტყვას არ უწოდებენ, მაგრამ ეუბნებიან: „თქვენმა ზოგმა პროგნოზმა გაამართლა", - რაც დაახლოებით იგივეა, ანუ ეს უფრო თავაზიანი ფორმაა იმისა, რომ კაცს უთხრა, ბრძენი ხარო, რაც ნიშნავს, თქვენ ლამის მკვდარი ხართ. ჩვენ არ გვიყვარს ეს სიტყვა, ჩვენს კულტურაში ის ცოცხალი ადამიანის მიმართ არ გამოიყენება. როცა სოკრატეს ღმერთმა უთხრა, რომ იგი ყველაზე ბრძენია, შედეგად ამას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად იცის. სხვათა შორის, არა ვარ მომხრე, რომ ათენელები, როგორც ბოროტმოქმედები განვიხილოთ, რომლებიც ვერ გაერკვნენ, ვინ ვინ არის. ძალიან კარგად გაერკვნენ, 220 კაცმა, რომელმაც თქვა, რომ კაცს, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს, სიცოცხლის უფლება აქვს. 280-მა კი თქვა, რომ არა აქვს. ასე რომ, გარკვევა შესანიშნავი იყო.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ სტრესული მომენტებიდან და სხვა ადგილებიდან მიღებული სიბრძნე ჩვენს ქვეყანას უთუოდ გამოადგა. ამ წლების განმავლობაში გარკვეული რაღაცეები გამოვიარეთ, მათ შორის ჩვენს თვალწინ ორი დიდი სამყარო დაინგრა. პირველ ყოვლისა, ქურდული სამყარო დაეცა, ჩვენ ახლა მის ნანგრევებზე ვიმყოფებით. ფაქტობრივად, ეს იდეოლოგია კვდება, და მეორე - დაეცა სხვა კრიმინალური სამყარო, ეს იყო რომანტიკულ-კრიმინალურ-მხედრიონული იდეოლოგია, თავისი შესანიშნავი, დახვეწილი სისასტიკის ფორმებით. მათ შორის თავის მოჭრებით, ტრაბახით, ვის რამდენი კაცი ჰყავს მოკლული და ა.შ. ეს ორი რამ ჩვენ მოვინელეთ. ამჟამად საქართველო სხვა იდეურ სფეროში გადავიდა. ყველა ძალიან სწრაფად იქცა ჩვეულებრივი მოქალაქიდან მრევლის წევრად.

საბურთალოზე არის ერთი პატარა ეკლესია, სადაც 20-30 კაცის მეტი არ ეტევა. არადა, ბუნებრივია, მრევლი მეტია. ამიტომ იქ ხმამაღლა მოლაპარაკეებია გამოტანილი. ხალხი ეზოში დგას და ისმენს. იდგე იქ რამდენიმე საათი - მძიმეა. ფარისეველს ეს შეუძლია ერთხელ, ორჯერ... ხუთჯერ არ შეუძლია. ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა ეკლესია, თავისი ზომებით, ხელს უწყობს მრევლის დაწმენდას. ბოლოს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის პატარა ეკლესია, სწორად არის პატარა. ანუ იმხელაა, რამხელაც უნდა იყოს. ამას ძალიან პირობითად ვამბობ. სულაც არ ვგულშემატკივრობ მრევლის შემცირებას. ნამდვილად ვიცი, რომ გულწრფელ რწმენაში არავისთვის არ არის საფრთხე. შეუძლებელია ეს იყოს საფრთხე. მთელი 100 პროცენტი თუ იქნება ღრმადმორწმუნე, ეს არავის არაფერში არ შეუქმნის საფრთხეს, მათ შორის მათ, ვინც არ არი მორწმუნეები. მაგრამ თუ ამ გრძნობაში არ არის გულწრფელობა, მაშინ მირჩევნია ჩემნაირი კაცი, რომელიც აცხადებს, რომ ის არ არის ეკლესიური.

ხსნა მხოლოდ ინდივიდუალური შეიძლება იყოს, ნაციონალურ-ქრისტიანული ხსნა არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ნაციონალურ-მუსულმანური ან ბუდისტური ხსნა. ეს კერძო ადამიანის გზაა. ამიტომ, როცა მოდის ვინმე და მეუბნება, შენ რატომ არ იქცევი ისე, როგორც უნდა მოიქცე, - ძალიან მიკვირს. განსაკუთრებით ჟურნალისტებმა იციან ძალიან აგრესიული შემოტევა, დღეს ესა და ეს დღესასწაულია, რა იცით ამის შესახებო. თუ იტყვი, რომ არაფერი იცი, - გიტევენ, რატომ არ იციო და ა.შ. ამის მერე იწყება ძალიან სერიოზული საქმის გარჩევები, როგორ შეიძლება ეს არ იცოდეო და სხვა. ლამის სამშობლოს მოღალატედ შეგრაცხონ. ვისურვებდი, რომ ასეთმა ადამიანმა ოდნავ მაინც იცოდეს, რა არის რწმენა. და ერთხელ მაინც გამოსცადოს თავისი თავი. მე, მაგალითად, გავულვიძებივარ სისხლის წვეთებს, რომელიც ყელგამოღადრულ კაცს სდიოდა ჩემს ზემოთ. და ვიცი, რა არის სიკვდილი. ყოველ შემთხვევაში, მინახავს, სიცოცხლის და სიკვდილის შეხვედრის წამები. გამოცდილება რაღაცას გეუბნება. რწმენის თვალსაზრისითაც, რა თქმა უნდა, რაღაც დავიჯერე და რაღაც არ დავიჯერე.

ყველა მიდრეკილება თვითგვემისკენ, თვითმკვლელობისკენ, არაქრისტიანულია. არ ყოფილა ქრისტიანობაში არცერთი წამი, როცა საკუთარი სხეულის დანგრევა რამენაირად მოწონებული ყოფილიყო. მოძღვრებაში დევს, რომ ყველაფერ ამას გაფრთხილება სჭირდება, სხეულსაც კი. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სანამ აქ არის მეფე, მანამდე ზეითუნის ზეთიც უნდა წავუსვათ მას. გლოვა მერეც გვეყოფა, როცა ის აქ აღარ იქნება. ეს ძალიან პირდაპირი და ნათელი მინიშნებაა იმაზე, თუ რა ფასი აქვს სიცოცხლეს და სხეულსაც, და ამ ქვეყნიერებასაც, რომელიც არ არის მირაჟი და არაფერი.

ასეთი რამ ბევრჯერ მსმენია, და ასეთები რომ მსმენია, ამიტომ ვარ ეკლესიისგან მორიდებულად და მოკრძალებულად შორს. თუმცა სახარების კითხვა მეც მიყვარს. ბევრი ვიცი, ვინც ამბობს ამ მძიმე სიტყვებს, სიცოცხლეს აზრი არა აქვსო, რომ ეს ყველაფერი წარმავალია, გარეთ კი „ტოიოტა ლენდკრუზერი" ელოდება... არადა, სახარებაში წერია, რომ აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო მდიდრების მიმართ, თუმცა არც სკოტ ფიცჯერალდივით ვარ მათი მომღერალი. ვიცი სიმდიდრის ნაკლი. კარგად მესმის, რომ სულიერ ხსნას და დაფიქრებას სიმდიდრე ძალიან ხელს უშლის.

გაკვირვებული ვარ, როგორ დაუშვა თუნდაც კათოლიკურმა ეკლესიამ („თუნდაც" იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენში ისე ითვლება, თითქოს კათოლიკური ეკლესია ყველანაირ სისულელეს დაუშვებდა), რომ პიერ პაოლო პაზოლინიმ მათი ფულით და მათი დაკვეთით გადაიღო ფილმი ქრისტეზე. პირველი ის, რომ პაზოლინი კომუნისტი იყო, მეორეც - ის კათოლიკური ეკლესიისთვის სრულიად მიუღებელი ორიენტაციის მქონე ადამიანი გახლდათ. კიდევ, ის იყო კაცი, რომელმაც 1968 წელს სტუდენტების წინააღმდეგ პოლიციელთა ქმედება გაამართლა. მან პოლიციელებზე თქვა, რომ ხალხი ესაა, თორემ სტუდენტები - ელიტა არისო. არადა, თვითონ ძალიან ელიტური იყო, მაგრამ ესმოდა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გლდანის და მუხიანის, და ეს ვაკელი კაცი, მათი მომღერალი იყო. თავის ფილმში პაზოლინიმ ლამაზი მდიდარი კაცი გვაჩვენა, რომელსაც ადევს ძალიან ლამაზი თავსაბურავი, რომელიც მოოჭვილი არაა და ძვირფასი ქვები არ აყრია, ანუ მან გვაჩვენა მაღალი რანგის სიმდიდრე. ქრისტემ ამ კაცს თავსაბურავის გადაგდება მოთხოვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კაცი თავსაბურავის გადამგდები არ არის. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ფარისევლობა დამთავრდება მაშინ, როცა ადამიანს „ლენდკრუზერით" აღსარებაზე წასვლა შერცხვება. თუმცა, ეს მთელ მსოფლიოში ასე ხდება, ყველგან დაქრიან „ლენდკრუზერები" ცოდვილი ადამიანებით, რომლებიც მიიღებენ თუ არა ინდულგენციებს, სასწრაფოდ ახალი ცოდვის ჩასადენად გარბიან. ამ ფარისევლობას ვუყურებ, როგორც ერთ-ერთ განსაცდელს მას შემდეგ, რაც ჩვენ იდეოლოგიური განსაცდელი გამოვიარეთ. იყო კომუნიზმი, იყო კომუნიზმის მიუღებლობა, იყო ჩვენი გამოცდა დისიდენტობით, რომელმაც გარყვნა და წაახდინა სახელმწიფოებრიობის იდეა. მე ყოფილი დისიდენტი ვარ და კარგად მესმის, რა საშიშია დისიდენტობა დამოუკიდებელ ქვეყანაში, და რა საფრთხეს უქმნის კანონის მიმართ აგდებული დამოკიდებულება მშენებარე სახელმწიფოს. ჩემნაირი ტიპები ბევრი რომ იყოს საქართველოში, ეს ქვეყანა არ აშენდებოდა. მე უკვე იმდენი ვიცი ამ ქვეყანაზე, რომ ჩემთვის ძალიან იოლი იქნებოდა, სრულიად ცინიკოსი ადამიანი ვყოფილიყავი, რომელსაც არაფრის სჯერა. პრეზიდენტი რომ პათეტიკურ სიტყვებს ამბობს, შემიძლია თითოეული მისი სიტყვის უკან კითხვის ნიშანი დავსვა, სამწუხაროდ, ისე კარგად ვიცნობ მას. მაგრამ ჩემი ბედნიერება იმაშია, რომ ვიცი, ჩემი პრეზიდენტი ალაგ-ალაგ გულწრფელია. ეს ბედნიერებაა, ღმერთმა ისეთი უნარი მომცა, რომ არ დამეკარგა ეს მზერა. ანუ დამენახა ის კარგი, რაც არის მასში. და არა მარტო პრეზიდენტში, სხვებშიც. არავინაა წყალწაღებული და განწირული. სასიკვდილო სარეცელზეც შეიძლება კაცი ცხონდეს. შანსი არსებობს მუდმივად და ყველასთვის. და ეს ბევრმა არ იცის, ეკლესიაში დადიან და არ იციან, რომ ეს შანსი არსებობს.

ხშირად ამბობს, კარგი იქნებოდა, რომელიმე თავისუფალ ქვეყანაში დავბადებულიყავი თავისუფალ ადამიანადო, მაგრამ როგორც მასთან საუბრისას ხუთ წუთში ნებისმიერ კაცს ეცოდინება, რომ ბერძენიშვილი ყოფილი პოლიტპატიმარია, მეორე ხუთ წუთში ისიც ეცოდინება, რომ ის ბათუმელია. ბათუმში 16 წელი იცხოვრა.

მე ბათუმელი ვარ და ეს ძალიან სერიოზული რამ მგონია. არა თუ არ უნდა თქვა უარი შენს ამ ფესვებზე, არამედ ვერ უნდა თქვა. მე რომ ბათუმელი ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან სერიოზულად მეცინება ყვე-

ქალიშვილობის ინსტიტუტი, ჩემი აზრით, გათავისუფლებული უნდა იყოს ყველანაირი აკვიატებებისაგან. ანუ, ეს უნდა იყოს ბავშვის არჩევანი და ის თავისუფალი უნდა იყოს ამ არჩევანში. არ ვამბობ, რომ გავეკიდოთ ყველას და წავართვათ ქალიშვილობა, თუნდაც ხელოვნურად ან დაბადებისთანავე, რომ მერე ველარ გაბედოს ქალიშვილად დარჩენა. მაგრამ ამავე დროს დრამატულად მიმაჩნია, რომ ადამიანი ცხოვრობს და ამ ცხოვრებიდან რაღაც ძალიან ძვირფასი გამოცდილება არ მიაქვს. ვფიქრობ, მათ ეს გამოცდილება საზოგადოებამ წაართვა...

ქალიშვილი და არაქალიშვილი ადამიანი ჩემთვის არ განსხვავდება, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ის ვალდებულია უბრალოდ არ იყოს ქალიშვილი. ძნელად წარმომიდგენია, რომ ქალიშვილმა ყველაფერი შეძლოს, მაგალითად, ვერ იქნება მსახიობი, მინახავს მეძავი ქალის როლი, რომელიც ქალიშვილმა ითამაშა და ვერ შეასრულა. ისევე, როგორც, თუკი პატიმარი არ ყოფილხარ, ვერასოდეს მიხვდები, ბარიერს იქიდან როგორ გიყურებენ... ადამიანი, რომელიც ამ მხრივ სხვა ადამიანებისთვის დახურულია, როცა რაღაც თვალსაზრისით ის უცოდველია, შეიძლება რაღაც უნარებს კარგავდეს, და პირიქით, რაღაც უნარებს ინარჩუნებდეს. იაპონიაში ელექტრონულ ქარხანაში ადგილია, სადაც მხოლოდ ქალიშვილები მუშაობენ იმიტომ, რომ ქალწულის თითები გამოყოფენ რაღაც ნივთიერებას, რომელსაც არაქალწულები არ გამოყოფენ. თუმცა მარტო ამის გამო, იყო ქალიშვილი, სასაცილოა.

ერთი კახური გამონათქვამია - „კარგუნახავი".

ქალიშვილები სწორედ ასეთი კარგუნახავები მგონია. ვიცი, ორჯერ გათხოვილი ქალი, რომელმაც გარდაცვალების წინ შემომჩივლა, ქალიშვილი ვარო. მან ეს გულისტკივილით თქვა. ეს ჩემთვის შოკი იყო. მგონია, რომ ეგზისტენციურ პირობაში, სიკვდილის წინ, მან სიმართლე თქვა. თქვა, რომ რაღაც აკლდა. დამეჯერა, რომ ამ ადამიანებს რაღაც აკლიათ. ქალიშვილობის ინსტიტუტი საზოგადოებამ არ უნდა მოითხოვოს. დანარჩენი - ადამიანის არჩევანია. რა თქმა უნდა, ძალით ვერავის ვაიძულებთ, რომ გინდა თუ არა, დაკარგოს ქალიშვილობა. ერთხელ ძალიან გულმოდგინედ რომ მღეროდა კაცი და სიმღერა არ გამოსდიოდა, პროფესორმა რეზო სირაძემ, რომელიც ჩემი მასწავლებელი იყო, იმ კაცს უთხრა, ცოტა აიგდე სიმღერაო. ქალწულობაზეც ასე მინდა ვთქვა, ქალებმა უნდა აიგდონ ქალწულობის ინსტიტუტი, და ქალიც უნდა აიგდონ.

ეს არის თავისუფლება, რომელსაც ისინი იმსახურებენ. როცა ფრანგი ხალხის 55 პროცენტმა თქვა, არ გვინდა კონსტიტუციაო, საფრანგეთის პრეზიდენტმა ბრძანა; რა ვქნა, ეს არის ჩემი ხალხის არჩევანიო. თუ ქართველი ქალები იტყვიან, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი მათ ფეხზე ჰკიდიათ, საზოგადოება იტყვის, რომ ეს მათი ქალების არჩევანია.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანი ძვირფასია იმით, თუ სხეულის რომელ ნაწილში მოხდა შეხება და რამდენად ღრმად, და თუ მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი ადამიანში, მაშინ ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, ამის მიხედვით ადამიანი არ უნდა იწონებოდეს.



# მერაბ მამარდაშვილის ჩახშული ფიქრი

საუბარი ანი ეპელბუანთან პირველად საფრანგეთის რადიოთი გადაიცა 1990 წლის 12-16 მარტს

ანი ეპელბუან: თქვენი წარდგენისას მე უნდა მეთქვა: „მერაბ მამარდაშვილი, ქართველი ფილოსოფოსი", მაგრამ ცოტაოდენ ვყოყმანობ, რადგან ამ ორი სიტყვის - „ფილოსოფოსი და ქართველი" გვერდი-გვერდ დასმა ცოტა უცნაურად ჟღერს. იმათ, ვინც საქართველოს იცნობს, თვალწინ წარმოუდგება ის ლაღი მხიარულება, რომელიც ერთი შეხედვით ფილოსოფიისადმი არ განგაწყობთ. და ბოლოს, ბოლო ათწლეულების მანძილზე სსრკ-ში „ფილოსოფიად" აღიარებულ მეცნიერებას ღირებული არაფერი შეუქმნია. ამიტომ უფრო გვინდა ვიცოდეთ და გავიგოთ, როგორ მიხვედით აზროვნებამდე იმ ქვეყანაში, რომელიც სრულიად არ განგაწყობს ფიქრისა და აზროვნებისადმი.

მ. მამარდაშვილი: უნდა აღვნიშნო, რომ მეც იმავე ქალაქში დავიბადე, რომელშიც სტალინი დაიბადა. 1930 წლის სექტემბერში. ამაში შესაძლოა მონანიება ან ღვთიური სიმეტრია დავინახოთ. გორში შეიძლება სხვა საქმეების მკეთებელი ადამიანებიც დაიბადონ! ამის თქმით, დიდ სითამამედ და გაბედულებად მეჩვენება ვთქვა - როგორ მივედი აზროვნებამდე.

ვინაიდან უფრო მორიდებული ვარ, ვიტყვი მხოლოდ, რომ მე ვცდილობ ვიაზროვნო; ადამიანმა არასოდეს იცის აზროვნებს იგი თუ არა. აზროვნება თითქმის ზეადამიანურ ძალაზეა დამოკიდებული და იგი ბუნებრივად არ ეძლევა ადამიანს. ის შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ერთგვარი გაღვიძება ან წინარე მოგონება ადამიანისა და სიმბოლოს შორის დაჭიმულ ველში. ეს უნდა აეხსნას ფრანგულ აუდიტორიას, რადგან იგი არ იცნობს იმ ქვეყანას, რომელშიც მე ვცხოვრობ. ჩვენ ამჟამად განსაკუთრებულ მომენტში ვცხოვრობთ, აზრთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომენტში, რომელშიც იმ უშველებელ ქვეყანას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია თუ რუსეთი, სურს, ან უნდა დაუბრუნდეს ცხოვრებას, ისტორიის, დროისა და ცხოვრების ხანგრძლივი უქონლობის შემდეგ. იმას, რაც მოხდა 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის მწვერვალზე, ჩემთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს იყო სსრკ-ს თუ რუსეთის გასვლა დროიდან, ისტორიიდან და ცხოვრებიდან; გასვლა იმ მეტეორივით, გრავიტაციის ველიდან რომ ვარდება და ჩათრეულია უტოპიით, რომლის დამახასიათებელი ნიშანია, ისევე როგორც ყველა უტოპიისთვის, საკუთარი თავის რეალიზაცია: უტოპიები ხომ ყოველთვის ხორციელდება. ამჟამინდელი პრობლემა კი ისაა, რომ „ცხოვრებას დაუბრუნდე", როცა უტოპიის დევნაში ისტორიიდან და დროიდან ამოვარდები. იკარგება სასიცოცხლო ძალების ნორმალური ურთიერთგაცვლის გრძნობა, ადამიანთა შორის „ურთიერთობის" შეგრძნება, რაც ადამიანისა და მისი ბუნების ისტორიულ სტრუქტურას ქმნის. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი არანორმალური გახდა; ეს იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთგვარი კოლექტიური თვითმკვლელობა. ქვეყანა აღმოჩნდა „ცხოვრების მიღმა" და ყოველივე ამან დაღი დაასვა ლიტერატურას, სოციალურ მოვლენებს, ყველაფერს და ყველას, თუ ყურადღებით დავაკვირდებით და თუ დასავლური აზროვნების რაციონალისტური ტერმინების უბრალო ტრანსპოზიციას არ მოვახდენთ, უწყვეტად გამოვიყენებთ იგივე მეტყველებას, იგივე აზროვნებას სსრკ-ს თუ რუსეთის მაშტაბით, თუ დავუმატებთ რაღაცას, რაც უნდა სპეციპიკურად რუსული ან საჭოთა გამოცდილებიდან იყოს ამოღებული და იმას, რაც ამ მეტყველების უკან იმალება, მაშინ ამ ეპოქაში ჩანს სიკვდილის კვალი, მიღმა სამყაროს ცხოვრების კვალი. მასში მოსჩანს უსიცოცხლო ხატების ცხოვრება, ანუ უსხეულო ხატები, ფრანსუა ვიიონის მსგავსად, რომელიც რეალურად ცხოვრობდა.

არ დაკარგო იმის შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ (და ამასთან ერთად ამ გრძნობის ტრადიცია) საკუთარი ყოფიერების ყველა გამოვლინებაში, იმაში, რასაც ამბობ, რასაც ფიქრობ, რასაც აკეთებ, - ეს ნიშნავს შენ თვითონ ერთგვარი ფუნდამეტური კავშირი შეინარჩუნო. მაგრამ ის ვისაც სიცოცხლისადმი გემო არ გააჩნია, ამას ვერ გაიგებს. შესაძლოა ისიც, რომ ეს გემო დაიკარგოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმათ, ვინც ეს შეგრძნება დაკარგა, ველარაფერს აუხსნი. ჩვენ ისეთ ვითარებაში ვიმყოფებით, რომ ვინც ცხოვრებისადმი გემო დაკარგა, კვლავ უნდა იპოვოს იგი,ხოლო ის,ვისაც იგი შერჩენილი ჰქონდა, მაგრამ ტოტალიტარულმა რეჟიმმა დააბეჩავა (როგორც აზროვნებაში ასევე მეტყველებაში; ტოტალიტარიზმი უპირველეს ყოვლისა ლინგვისტური დაბეჩავებაა), ხელმეორედ უნდა ისწავლოს ცხოვრება, დღეს ჩვენ ვსწავლობთ, რადგან ადვილი როდია ცხოვრებას დაუბრუნდე.

ანი ეპელბუან: სულ დასაწყისი გახსოვთ? თქვენი აზროვნების დასაწყისი? გახსოვთ როგორ შეაჯერეთ სიცოცხლე და სიკვდილი იმ ხატებში, რომელსაც აღიქვამდით? როგორ გადაწყვიტეთ ეს წინააღმდეგობა?

მ. მამარდაშვილი: არანაირად არ ვისურვებდი ეს გზა ხელმეორედ გამევლო, სულაც არ მინდა ახალგაზრდობა დამიბრუნდეს, 16 წლისა ვიყო, ამბობენ რა მშვენიერიაო ახალგაზრდობა! არა, სრულებითაც არაა ასე! სრულებითაც არ ვისურვებდი კიდევ გამევლო არყოფნის ის რისკი, რომელიც ასე ემუქრება ახალგაზრდებს: როცა დღევანდელი ახალგაზრდა იღვიძებს საკუთარ თავის, ცნობიერებისა და აზროვნების მიმართ, ის ფეხზე მდგომი გვამების ტყეში აღმოჩნდება.

ჩემთვის თვითგამორკვევა განისაზღვრებოდა ცხოვრების არქონის მიმართ დაპირისპირებით, დაპირისპირებით იმ შავი გვირაბის მიმართ, რომელშიც მოგვებივით იძულებული ვიყავი მეცხოვრა ცხოვრების გარეშე და ჩემთვის ახალგაზრდობა წარმოადგენდა ტრადიციის აღდგენას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; საქმე რომელიღაც კონკრეტულ ტრადიციას კი არ ეხება, არამედ უკვდავების ტრადიციას (იცინის). ეს ალბათ უცნაურად ჟღერს, რადგან კონფესიანალური აზრით მორწმუნე არა ვარ, მე ფილოსოფოსი ვარ. ფილოსოფია სულ სხვა რამ არის, ვიდრე თეოლოგია, მაგრამ ხშირად მივმართავ რელიგიურ სიმბოლოებს, რადგან ისინი უფრო მეტყველნი მეჩვენებიან და ადამიანური სულის შესაძლებლობათა, პოტენციათა და კონსტანტების ჩამოყალიბებით, ისინი უფრო გასაგებს და ამოსაცნობს ხდიან ამ კრიტერიუმებს. ამიტომაც ხანდახან სასარგებლოა ამ სიმბოლოების გამოყენება. მაშასადამე, უკვდავება - ეს არის სიტყვა, ანუ ადამიანში მკვდარი დროის აღდგენის ნაპერწკალი; ეს არის ფაქტი და აქტი, რომელიც დღემდე გრძელდება; სიტყვა არის მარადიულობის აქტი, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ ვითარცა ადამიანები.

რას ვგულისხმობ გამოთქმაში „ვითარცა ადამიანი". მე ვცდილობ გამოვხატო არსება, რომელიც ბუნების პროდუქტი არ არის; ბუნება არ ქმნის ადამიანებს. ნამდვილად ჩვენ მხოლოდ მეორე დაბადებისას ვიბადებით. ეს დაბადება კი იმყოფება იმ ველში, რომელშიც შესაძლო ადამიანი სიმბოლოს უერთდება და ამას შეერთების დაძაბულობისგან ანუ თავის თავზე ძალისხმევის შედეგად ადამიანში ადამიანი იბადება. დანტემ ერთ ლამაზ გამოთქმაში თქვა, დაბადებულს, როგორც ასეთი, სული არა აქვსო.

ანი ეპელბუან: რა იძლევა სულს? რა აძლევს მას სულს?

მ. მამარდაშვილი: სიტყვა.

ანი ეპელბუან: ჩემი ვარაუდით, ადამიანის ბუნების შესახებ თქვენთვის არ უსწავლებიათ სკოლაში.

მ. მამარდაშვილი: სკოლაში საერთოდ არაფერი მასწავლეს. არც ეს და არც ამის საწინააღმდეგო. საკუთარი ბედის ზოგიერთი შემთხვევითობა ერთგვარ ექსტრა-ტერიტორიულობას ქმნის ხოლმე; შემთხვევითობის ინერცია, შენს უკან რომ დგას, გაგრიყავს კუნძულზე, სადაც შენ ექსტერიტორიული აღმოჩნდები; ამგვარი იყო ჩემი შემთხვევა. მე გამიტაცა კითხვის ნაკადმა, რომელიც შემთხვევით ფრანგული საკითხავი მასალა აღმოჩნდა; მონტენი, ლაბოესი, მონტესკიე, რუსო... სწორედ მათ ჩამოაყალიბეს ჩემი სიჭაბუკე.

ანი ეპელბუან: სად პოულობდით ამ წიგნებს?

მ. მამარდაშვილი: ისევ და ისევ შემთხვევის წყალობით: ჩემი უბნის ბიბლიოთეკაში, თბილისში. ამ ნაშრომებს ცენზურა არ შეეხო, არც განადგურებულ წიგნების სიაში მოხვდნენ; შეიძლება იმიტომ, რომ ბიბლიოთეკა პატარა იყო. თქვენ უთუოდ იცით, რომ 1918 წლის „უკაზით" ბიბლიოთეკიდან ამოიღეს რელიგიურად და ფილოსოფიურად მიჩნეული ლიტერატურა. მაგალითად პასკალი, პლატონი, დეკარტი და სხვა. ლენინის მიერ შედგენილ სიაში ჩამოთვლილი იყო ამოსაღები ნაწარმოებები და იმდროინდელი განათლების სამინისტროს ოფიციალურმა ინსტრუქციამ ეს სია გააფართოვა; მასში სახელდობრ შეიტანა სოკრატე, რომელსაც არასოდეს არაფერი დაუწერია. ეს ინსტრუქცია საჯარო არ ყოფილა, მაგრამ მას მაინც ყველგან ავრცელებდნენ

ანი ეპელბუან: იმ დროს მოსკოვში რომ ყოფილიყავით, ამ წიგნების ბიბლიოთეკაში წაკითხვას შეძლებდით?

მ. მამარდაშვილი: არა, საჯარო ბიბლიოთეკებში ვერ შევძლებდი. მაგრამ იცით, რომ ის ხანა, როცა მოსკოვში სწავლა დავიწყე, პარადოქსებით სავსე ეპოქა იყო. 1949 წელის მოსკოვში რომ ჩავედი, წავედი უნივერსიტეტში. ეს იყო ომის შემდგომი გაჭირვების პერიოდი. მოსკოვი ერთდროულად დაძაბული, დინამიური, საცოდავი და საინტერესო ქალაქი იყო. ამასთან საშიში ქალაქიც. ადამიანური ურთიერთობებიც ძალიან ინტენსიური, რადგან ადამიანების დიდი ნაწილი ომგამოვლილი იყო. ომში მათ ინიციატივის, რისკის და სიკვდილის პირისპირ დგომის გამოცდილება მიიღეს. ამგვარი ინდივიდები რეჟიმისთვის ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენდნენ, და ომის ყველა ტყვე საბჭოთა კონცენტრაციულ ბანაკებში გაასახლეს. რეპრესიები არმიაშიც დაიწყო, ლიტერატურაშიც; აუცილებელი იყო დაემუხრუჭებინათ იმ ადამიანთა გაღვიძება, ვინც ომი გამოსცადა. იმათთვის, ვინც ევროპა, სხვა ცხოვრება ნახა ხელი უნდა შეეშალათ საკუთარი აზრი გამოეთქვათ. ისე რომ ამ ადამიანების გაქრობა მთლად უაზრო წამოწყება არ იყო (მე სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისიდან ამოვდივარ); ეს სრულიად გონივრული ნაბიჯი იყო.

ანი ეპელბუან: მაგრამ ამ ხალხს უნივერსიტეტში ხომ მაინც შეხვდით?

მ. მამარდაშვილი: დიახ, ისინი უნივერსიტეტში ვნახე, რადგან იმ წლებში საზოგადოება რამდენიმე „ფენისაგან" შედგებოდა: იყო ჩემსავით ახაგაზრდების ფენა; იყვნენ 30, 35 წლის ომის ვეტერანები. მუდმივ საფრთხესა და სიღატაკეში კი „ნაპერწკლები" გამოკრთებოდნენ ხოლმე: ბუკინისტებთან შეიძლებოდა (ფულის საშოვნელად ხალხს მათთან გასაყიდად წიგნები მიჰქონდათ) ერთი ორ მანეთად გეშოვნათ ბერდიაევის, შესტოვის, საუკუნის დამლევის რუსი იდეალისტი ფილოსოფოსების წიგნები. იმ დროს შემეძლო ბრწყინვალე ბიბლიოთეკა შემექმნა, საცხოვრებელი რომ მქონოდა (მაგრამ იგი არ მქონდა). შეიძლებოდა მეშოვა როზანოვის, ბერდიაევის, ნიცშესა და ფროიდის რუსული თარგმანები და სხვა.

ანი ეპელბუან: მაშასადამე, ამ წიგნების წყალობით, რომელთა წაკითხვა მოახერხეთ, თქვენ შესძელით თითქმის უნივერსალური განათლება მიგეღოთ, თანაც კლასიკურ ტრადიციაში.

მ. მამარდაშვილი: სწორედ ამის თქმა მინდოდა. რადგან გარეშე ინფორმაციის წყაროების არავითარი საშუალება არ გაგვაჩნდა, უიმედობით მოცულნი და ბნელი ღამის გარემოცვაში, მივხვდი, რომ საჭირო იყო თვითონ შეგვექმნა ინფორმაციის საკუთარი წყაროები, თვითონ შეგვექმნა საკუთარი თავი და მეც ამ გზას დავადექი. ნამდვილად არ მაკლდა არც საკითხავი მასალა და არც ის ფარული ინტელექტუალური ცხოვრება, რომელიც ჩემსა და წიგნს შორის იქმნებოდა, ჩემსა და სიტყვას შორის, რომელიც შორიდან მოდიოდა.

მაგრამ თქვენ იცით, რომ ადამიანი არის არსება, რომელიც შორიდან მოდის. ადამიანი არის ძალიან გრძელი არსება, ანუ ადამიანი თავის თავს დროში სჭედავს.

ჩემი ახალგაზრდობის ფილოსოფიურ სწრაფვას მოკლედ შემდეგი იდეით შეიძლება გავუკეთო რეზიუმე: იესო ქრისტე შეიძლება ათასჯერ დაბადებულიყო ბეთლემში, მაგრამ თუ ის ერთ დღეს შენში არ მოგევლინა, შენ დაიღუპებოდი. ეს არის ტრადიციული ხატი. იცით, ასეა თუ ისე, სიცოცხლის მოკვლა არ შეიძლება. ყველაზე საშინელი რეჟიმი, ყველაზე ტოტალიტარულიც კი როგორც საბჭოთა რეჟიმი იყო, თავისი საშინელებებით ნაცისტურ რეჟიმსაც რომ ვერ შეედრება, მანაც კი ვერ შეძლო სიცოცხლის განადგურება, რადგან სიცოცხლე ტროტუარს ამოხეთქავს, როგორც ზოგიერთი ყვავილი.

ანი ეპელბუან: მაინც როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში ფილოსოფოსებს თითქმის არ ვიცნობთ? თქვენ რომ პირობები აგვიწერეთ, ისინი თითქოს ხელს უწყობდა ფიქრსა და აზრის გაღვიძებას; ეტყობა სერიოზული დაბრკოლება შემოგხვდათ გზაზე, თორემ თქვენს თაობაში და სწორედ მოსკოვში უნდა შექმნილიყო შესანიშნავი ფილოსოფიური სკოლა.

მ. მამარდაშვილი: იცით, პარადოქსი სწორედ იმაშია. უდაოდ არსებობდა ხელშემწყობი პირობები; მაგრამ ფილოსოფოსები არ ჩანდნენ, რადგან ამ პირობების გვერდით იყო სისტემა, რომელიც მხოლოდ დამთრგუნველი სისტემა არ იყო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ (თუმცა უნდა წარმოიდგინოთ, რადგან ახალი ევროპული აზროვნება სოციალისტურ, თუ კომუნისტურ ცთუნების მკლავებშია მოქცეული) რა მიმზიდველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე. ის თხევადი საწამლავივითაა, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე ცენზურა თუ ავტორების დევნა. ის შიგნიდან ღრღნის. ის შიგნიდან იჭრება ტვინში და ეს ძალზე მომხიბლავია. რეალურად გიზიდავს. საიდან მოდის ეს ხიბლი? იქიდან რომ ასეთი აზროვნება ნებას იძლევა თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო, რომ ყველაფერი გესმის, თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ზოგადად ადამიანი ზარმაცია, ამიტომ ის სპონტანურად უერთდება იმას, რაც მას ჰპირდება - რაღაცად გაგხდიო, ყოველგვარი მუშაობისა და მუყაითობის გარეშე. ამ ცდუნებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვაგანაც. ინტელექტუალურ ტრადიციაში არა ერთ სამარცხვინო ეპიზოდს ვხვდებით.

ანი ეპელბუან: მივუბრუნდეთ ომის შემდგომ მოსკოვის საზოგადოებას. უნივერსიტეტის პერიოდიდან თუ შემოგრჩათ თანამოაზრეები? თქვენნაირად ბევრი ფიქრობდა თუ განმარტოებული იყავით?

მ. მამარდაშვილი: მეგონა მარტო ვიყავი მეთქი, მაგრამ უნივერსიტეტის მე-5 კურსზე აღმოვაჩინე, რომ ჩემს გარშემო მყოფი ადამიანები იგივეს აკეთებდნენ, რასაც მე (იმ დროს „კაპიტალის" ეპისტემოლოგიაზე ვმუშაობდი). 1952-53 წწ. რაღაც დუღდა. შეიძლება პარადოქსულიც მოგეჩვენოთ, რადგან ეს სტალინის სიკვდილამდე და პარტიის მე-20 ყრილობამდე იყო. მაგ. მე დაახლოებული ვიყავი ალექსანდრე ზინოვიევთან, რომელიც ჩემზე სამი წლით უფროსი იყო (უნივერსიტეტში კურსის მიხედვით, თორემ ის ჩემზე ბევრად უფროსია), ბორის გრიშინთან, იური ლევადასთან, სოციოლოგებთან, ერიკ სოლოვიოვთან, რომელიც ფილოსოფიის ბრწყინვალე მკვლევარიცაა; მას მხოლოდ ენის ბარიერის გამო არ იცნობს ფრანგული საზოგადოება. მეც ასეთ პირობებში ვარ, რადგან რუსულად ან ქართულად ვწერ, ისე რომ სანამ მთარგმნიან, არავის ეცოდინება რაზე ვწერ. მაგრამ ჩემი უპირატესობა ისაა, რომ კავშირები და მეგობრული ურთიერთობები მაქვს საფრანგეთსა და იტალიაში, თანაც ფრანგულად და იტალიურად ვლაპარაკობ. საბჭოთა კავშირში კი მხოლოდ ის წიგნები გამოიცა, რომლებიც „არაფერს ეხებოდნენ" და ძალიან აბსტრაქტულები იყვნენ - ძირითადად წიგნები ეპისტემოლოგიაში. ეს ის სფეროა, რომელშიც არავის არაფერი ესმის. თანაც ჩემი მძიმე და ცუდი სტილი უფრო გაუგებარს ხდიდა ნაშრომებს. მაგრამ გამოცემისათვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან ცენზურა იბნეოდა (იცინის).

ეს სტილი ჩემს ნებაზე არ არის დამოკიდებული; უბრალოდ ცუდად ვწერ. ესაა და ეს. მე უკეთესად ვლაპარაკობ; თუ შეიძლება ასე ითქვას აუდიტორიასთან ურთიერთობაში ერთგვარი „არტისტიზმი" მაქვს. ვიცი, როგორ ავიყოლიო აუდიტორია; როცა ლექციას ვატარებ ან მოხსენებას ვაკეთებ, მოხსენებისას ჩემს ცხოვრებას ვთამაშობ, აუდიტორიის წინაშე ვდგევარ ჩემი პრობლემებით, პირად რისკს ვწევ და ვინც მისმენს, ეს მისთვის ნათელია. ამიტომ ისინი მომყვებიან და იმ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში - მე რომ ვხმარობ, თავიანთ პირად გამოცდილებას ამოიცნობენ. ხოლო ამ ტერმინოლოგიის ხმარება მჭიდრო კავშირშია ჩემი საკუთარი ცხოვრების ეგზისტენციასთან.

---

ლა ცენტრალურ იდეაზე, როგორიც არის ვთქვათ, ქალაქის ცენტრალური ნაწილის მკვიდრობაზე, საქართველოს ცენტრალურ ნაწილზე და საქართველოს მსოფლიოს ცენტრად წარმოდგენის იდეაზე. ბათუმელობა ძალიანაც დამეხმარა, რომ არ გავმხდარიყავი ფაშისტი, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით. ბათუმელობა ჩემთვის დემოკრატობას ნიშნავს. და, სხვათა შორის, ეს არის კიდეც ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ადგილი. ალბათ იმიტომ, რომ განაპირა საქართველოა, პირველი ხვდება სტუმარს, უცხოელს და კონტაქტშიც იოლად შედის.

დიდხანს არ ჰქონდა საკუთარი ბინა. თბილისში უბანი არ არის, სადაც არ უცხოვრია. ამის გამო ბევრი იწვალა. მერე ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა უთხრა, ყველაფერი ჰქონი, რაც გინდა ჩაიდინე, ოღონდ ერთი ჭერის ქვეშ აღმოჩნდიო. სადაც გინდა იყოს, ოღონდ შენი ბინა გქონდესო. ეს ასწავლა ირაკლი შენგელიამ, მისი ლათინურის მასწავლებელმა.

ჩემი თაობის ხალხმა იცის, რომ ასეთი გენიალური მასწავლებელი მეორე არ ყოფილა. არა მარტო ლათინურის გამო. საერთოდაც გენიალური პიროვნება იყო, წარმოუდგენლად გენიალური. ასეთ ხალხს ამჟამად ვერ ნახავთ. XXI საუკუნე ასეთ ხალხს ვერ ამზადებს. ეს XIX საუკუნის მასალაა. ეს კაცი იონა მეუნარგიას შვილიშვილი და საქართველოს უკანასკნელი ოქრომჭედლის შვილი გახლდათ. რა თქმა უნდა, თავის დროზე ნაჯდომიც იყო. სულ მახსოვს, რომ მარტო მე კი არ ვარ კლასიკოსებიდან, რომ მეც მყავს რეპრესირებული წინამორბედები. ჩვენი დარგი ამ მხრივ ამაყია. ჩვენს კლასიკურ ფილოლოგიას შეუძლია იამაყოს. მსოფლიო სახელის მეცნიერები გვყავდა, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ. მაგალითად, გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და ძალიან სერიოზულად რეპრესირებული ირაკლი შენგელია.

მერე, 1980 წელს, როგორც იქნა, გაუჩნდა სახლი. მანამდე თბილისში 10 წელი იმოძრავა - ძირითადად, ცენტრალურ უბნებში. „ხაზეიკებთან" ურთიერთობების გახსენება არ უყვარს, იმდენად არასაინტერესო და რუტინული იყო. ამ ურთიერთობამ არაფერი მისცა მას და მით უფრო მის „ხაზეიკებს", იმიტომ, რომ ცუდი მობინადრე გახლდათ. როგორც ნამდვილ ქართველს, უნდა, მდგმურობა თავისი ცხოვრებიდან ამოშალოს, რადგან ქართველისთვის მაღალი ღირებულებაა მკვიდრობა.

ფიცხი კი ვარ, მაგრამ თუ სიტყვა არ მომცეს, სიტყვით არ გამოვალ. ეს ჩემი არამოკრძალებულობის და ქედმაღლობის ნიშანი მგონია. მაგრამ ასეთი ვარ. არ შემიძლია, საუბარში ვინმეს ჩავეჩხირო. ამის გამო ბევრს ეგონა, რომ დებილი ვარ. მსმენია შეფასებები ჩემზე, მაგრამ არ გავბრაზებულვარ, რადგან მესმის, საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გარკვეული გაგებით, თვითდაფასებული კაცი ვარ, რომელსაც სიტყვის მიცემა სჭირდება. ხშირად მიმიღია შენიშვნა, რომ დებატებში გამოსვლა არ მეხერხება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვამ შეიძლება ჩემზე მეტი ილაპარაკოს, მე კი ჩუმად ვიჯდე. ამ თვისებას ჩემში წავშლიდი.

ლევან ბერძენიშვილმა, ერთმა კაცმა, მთელს საზოგადოებას გამოწვევა გამოუცხადა. საზოგადოებას უთხრა, რომ მისი აზროვნება ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მარტივი და ტენდენციურია. საზოგადოებას ეჩვენება, რომ სიმართლე იცის; ვთქვათ, რომ ლევან ბერძენიშვილი მსუქანია. როდესაც ადამიანზე ამბობენ, რომ ის მაღალია, დაბალია, მსუქანია და გამხდარია, ეჩვენებათ, რომ რაღაც სიდიდეებზე ლაპარაკობენ. არცერთი ეს სიდიდე მუდმივი არ არის. სიმსუქნე და სიგამხდრე ხომ განსაკუთრებულად ადამიანის ხელშია. დღესდღეობით 20-30 სანტიმეტრით სიმაღლის მომატება ნებისმიერ ასაკში შეიძლება. სიმსუქნე და სიგამხდრე ძალიან ფარდობითია. არ არის მართებული, როცა ადამიანს ეტყვი, რომ შენ მართალი არა ხარ, იმიტომ, რომ ხარ მსუქანი, და ეს ლევან ბერძენიშვილმა საზოგადოებისგან მოისმინა.

არ ვიცი, ლევან ბერძენიშვილი რა კაცია, მაგრამ, სულ ცოტა, ორი კაცი მაინც არის. ერთი არის კაცი, რომელიც რაღაცით შეიძლება იყოს საინტერესო, იმიტომ, რომ ჩემი სახელი და გვარი ნამდვილად არსებობდა სიმსუქნის დროს, და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი ამასთან დაკავშირებით იყო. ერთი ლევან ბერძენიშვილი ხომ არსებობდა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მე ჩემთან დაკავშირებული მეორე თემა გავაჩინე. ერთია ბიბლიოთეკა, პოლიტიკა, არასწორი გამონათქვამები და სხვა, და არსებობს კიდევ მეორე ლევან ბერძენიშვილი, მხოლოდ პოზიტიურ ასპექტში, - კაცი, რომელმაც წონაში დაიკლო, და კაცი, რომელიც იცინის. ამით ჩემს თავს კომფორტი შევუქმენი. ეს არის კომფორტი ლევან ბერძენიშვილის პოზიტიურად მოხსენიების საშუალებისა. ისე, სასაცილოა, როცა მარტო ის ხარ, ვინც დაიკლო. მაგალითად, ერთ თავხედურ შედარებას ვიტყვი: ავა გარდნერს აღიზიანებდა, რომ ის ლამაზი იყო. ანუ, ეს როგორ გააღიზიანებდა ღმერთივით ლამაზ ქალს?! მაგრამ როდესაც ის მარტო ლამაზი იყო, ადამიანებისთვის ის მხოლოდ სილამაზესთან ასოცირდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მას აღიზიანებდა. ამის გამო, ის თვრებოდა, ქმარს ღალატობდა და თავს იუშნოვებდა. განგებ ისეთ მაკიაჟს იკეთებდა, რომ ლამაზი არ ყოფილიყო. სილამაზეს უბედურებად თვლიდა. არადა, ბევრი ქალი ასეთ „უბედურებას" ნატრობს. ასევე, შემიძლია ვთქვა, რომ, როგორც ავა გარდნერს აღიზიანებდა ლაპარაკი მარტო მის სილამაზეზე, ასევე მეც უნდა მაღიზიანებდეს ლაპარაკი ჩემს სიგამხდრესიმსუქნეზე. მაგრამ ავა გარდნერისგან განსხვავებით, ბედნიერი ადამიანი ვარ. მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი, შემიძლია გაუთავებლად ვილაპარაკო დიეტებზე, დაკლებაზე და სხვა, ეს ჩემი საყვარელი თემაა. მართალია, არა ისეთი, როგორიც დიდმა ადამიანებმა, მაგრამ მგონია, რომ მე ჩემი საზოგადოების ცხოვრებაზე რაღაც კვალი დავტოვე ამ ნაბიჯით, ჩემი 90 კილოთი და ჯანსაღი ცხოვრების წესით. არა ვარ რელიგიური მოძღვარი, მე ვთქვი, რომ ხსნა სიმსუქნიდან ყოველთვის არსებობს, რომ 50 წლის ასაკში შეგიძლია ცხოვრება დიამეტრულად გამოცვალო, თუნდაც ფიზიკურ ასპექტში.

ყოველთვის უნდოდა, კომპიუტერი შეესწავლა. თუმცა მაშინ დღევანდელი ფორმის კომპიუტერი არ არსებობდა, ის სხვა რამე იყო - დიდი სახლისხელა რაღაც. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ყოველთვის აინტერესებდა ხელოვნური ინტელექტი. ყოველთვის რაციონალური გემოვნება ჰქონდა. რაციონალიზმი მისი იდეალი იყო. მაგრამ დიდი მადლობელია პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, რომელმაც ორი წლის მერე თავისი არტახებიდან გაუშვა. რა თქმა უნდა, ფრიადოსანი სტუდენტი იყო. როცა მიდიოდა, დეკანი უკან მისდევდა, არ წახვიდეო. მაგრამ კარგია, რომ წავიდა. რაციონალიზმი მისთვის ყოველთვის მაღალი ღირებულება იყო. პოეტი ის არ გახდა, მაგრამ კლასიკურ ფილოლოგიაში რომ წავიდა, ამით დღემდე კმაყოფილია. იმიტომ, რომ კლასიკურმა ფილოლოგიამ მისი გემოვნება სერიოზულად შეცვალა. ეს იყო სამყარო, რომელიც დისიდენტებს ამზადებდა.

მე მასწავლიდა რისმაგ გორდეზიანი, რომელიც ითვლებოდა, რომ კომუნისტურ სისტემაში ჩაწერილი კაცი იყო, მაგრამ გარწმუნებთ, რისმაგი დასაჭერი კაცი იყო. დასაჭერი - ლიბერალური ღირებულებების გამო.

ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც, ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი იდეოლოგიისა არ არიან. მაგალითად, ულრმეს პატივს ვცემ გოგი გვახარიას. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ის არც ამერიკას უყურებს ჩემსავით და არც მემარჯვენეა. მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მას ჩემგან პატივისცემა ერთი გრამით არ აკლდება.

40-42 წლის ასაკში ქალების გარეგნობაზე წარმოდგენა შეეცვალა. მანამდე მყარად ეგონა,რომ მხოლოდ ერთი ტიპის ქალი შეიძლება იყოს ლამაზი. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით კამათიც კი ჰქონდა თავის დროზე.

ერთი კაცი მიხსნიდა, რომ გრძელთმიანი ქალი შეიძლება იყოს ძალიან ლამაზი. ვეუბნებოდი, ეს შეუძლებელია-მეთქი. რა თქმა უნდა, დებილი ვიყავი. როგორ შეიძლება, რაიმე შეუძლებელი იყოს. მერე და მერე სხვა რამეც დავინახე, ასე ვთქვათ, მხედველობა გამეხსნა. არის რაღაცები, როცა ადამიანის ერთგულება არ იკარგება, თუნდაც მან უარი თქვას თავის ნაციონალობაზე. შეიძლება ვინმემ უარი თქვას ქართველობაზე, მაგრამ ხაჭაპურის მიმართ დარჩეს ერთგული. თუ ხაჭაპურზე უარს ამბობ, მაშინ ქართველიც აღარ ხარ. სომეხი, რომელსაც არ უყვარს სუჯუხი, უკვე აღარ არის სომეხი. შეიძლება სომხურად აღარ ლაპარაკობდე, მაგრამ სანამ სუჯუხი გიყვარს, ჯერ კიდევ სომეხი ხარ.

როდესაც ვნახე, რომ სომხური წარმოშობის ერთი დიდი რუსი რეჟისორი სუჯუხს და ბასთურმას არათუ არ ჭამს, არამედ ვერ ჭამს, ვუთხარი, რომ მისი გვარის „იან" დაბოლოება მისთვის ზედმეტია. ეს არის უკანასკნელი ფონეტიკური ნიშანი. ეს კაცი დამთავრებულია, როგორც სომეხი, ის ნამდვილი რუსია. სვამს ლიტრობით არაყს და არა კონიაკს. მართალია, ხაჭაპურისადმი ერთგულება არსად მიდის, მაგრამ ხაჭაპურის სიყვარული შენს ნაციონალობას განსაზღვრავს.

თუკი წინა ცხოვრება არსებობდა, მაშინ აუცილებლად სოკრატეს ერთ-ერთი მოწაფე იქნებოდა, თვით სოკრატე თუ არა. ირაკლი შენგელია ხშირად ეუბნებოდა, რომ თითქოს ბერძენიშვილი მას სოკრატეს ფიზიკურადაც კი აგონებდა. თუმცა ცხვირი ცოტა პაჭუა აქვს. როდესაც მამარდაშვილს ქართველი სოკრატე უწოდეს, მან ეს ძალიან დიდ კომპლიმენტად ჩათვალა. თუმცა, ვილაცეებს დღეს რომ უწოდონ ქართველი სოკრატე, შეიძლება შეურაცხყოფად მიიღონ. არიან ადამიანები, ვისაც სოკრატე არ მოსწონთ.

პირველ ყოვლისა, მე ვარ მასწავლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ვარ ქართველი. თუ მოვახდენთ ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს, „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი", ჩემთვის ეს ნიშნავს, მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მასწავლებელი.

მასწავლებლობა არის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნიშანი. ეს არის ვალდებულება ყველა იმ ხალხისა, ვინც ძალიან ძველია. ამდენი ხანი რომ ხარ, ვალდებული ხარ, გუშინ რომ ხალხი გაჩნდა, იმათ რაღაც სიტყვა უთხრა. მაგრამ ამას ხანდახან ისეთი უხერხული ფორმით ვაკეთებთ, რომ სხვებს ეს აღიზიანებს.

სააკაშვილმა რომ თქვა, ჩვენ ყველაზე ძველი ევროპელები ვართ და ჩვენგან ევროპა მაგალითს უნდა იღებდესო, ევროპაში სიცილით მოკვდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მესმის, რას ამბობს სააკაშვილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ევროპელებისაც მესმის და სააკაშვილისაც.

ეს ჩვენში დევს, ჩვენ მასწავლებლები ვართ. ჩვენ ჩვენი სიძველის გამო გვინდა, რომ ვინმეს რამე ვასწავლოთ. ახლა ბერძენიშვილი შესანიშნავი მასწავლებელია დიეტოლოგიის სფეროში, მაგრამ, გარდა ამისა, ახლაც კითხულობს ლექციებს, კითხულობს სოკრატეს აპოლოგიას.

კრიზისი, როგორც ასეთი, ოჯახში არასოდეს ჰქონია, დაძაბულობები - რამდენიც გნებავთ. ვთქვათ, უნდა ეშოვა კარგი სამსახური თავისი შვილისთვის. თუმცა კარგი სამსახურის შოვნაში არასოდეს უმართლებდა. ბევრს უჭირს იმის დაჯერება, რომ მას ამის გაკეთება არ შეუძლია, ანუ არ შეუძლია სხვისთვის სამსახურის შოვნა. ბევრი ეუბნება, როგორ უყვარს და რა დიდ პატივს სცემს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, კარგ სამსახურს მაინც ვერავისთვის ვერ შოულობს. მისულა და უთხოვია ვილაცეებისთვის, დაპირებიან კიდეც, მაგრამ წარმატებისთვის ვერ მიუღწევია. როგორც ჩანს, არ იცნობს რომელიღაც წესებს, და არც უნდა, რომ იცნობდეს.

* * *

ესაა ლევან ბერძენიშვილი დღეს და ლევან ბერძენიშვილი გუშინ...

კაცი, რომელიც გახდა...

კაცი, რომელიც იცინის...

ხვალ რას შემოგვთავაზებს ახალს? საკითხავი, აი, ეს არის!

**ზაზა ბურჭულაძე**



# დღიური ვეფხის-ტყაოსანზე

სიმონის მამა, ლუარსაბ პირველი ნამდვილი რაინდი იყო. სრულიად ნამდვილი. სიმონიც. მგონი, სწორედ მათი დროიდან გამოიკვეთა „ვეფხისტყაოსანი", როგორც ვირტუალური სამყარო ქართული არისტოკრატიისთვის.

აქ იმას კი არ ვგულისხმობ, თითქოს, ქართლის ბოლო ბაგრატიონებამდე ქართულ სამეფოებში ცუდი და უღირსი არაფერი ხდებოდა. ხდებოდა, როგორ არა, იმდენი ხდებოდა, რომ ვერ დათვლი, მაგრამ ეს მაინც რაინდული ეპოქა იყო. აგე, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისამდე. ამიტომ, „ვეფხიტყაოსანი" ცოცხალი იყო, როგორც არისტოკრატული მორალის ნაწილი.

სხვათა შორის, ნანუჩა რომ ვახსენე, ისიც, მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების საზღვარზე ცხოვრობდა: სწორედ იმ საშინელ და მდიდარ დროში. (უცნაურია, მე უფრო გვიანდელი მეგონა და მაინც გადავამოწმე.) იჯდა და წერდა „ვეფხისტყაოსანში" სწორედ იმ ხანებში, როცა ქართულ ქვეყნებში ასეთი სისხლიანი ვნებები ტრიალებდა: ცალკე - გარედან, ცალკე - შიგნიდან. ასეთი ვნებით სავსე დრო, მგონი, საქართველოს არც ჰქონია: მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ოცდაათი წელიწადი.

ამ დროიდან იქცა „ვეფხისტყაოსანი" ვირტუალურ თამაშად, რომელშიც ქვეყნის უმთავრესი ადამიანები შედიოდნენ და თამაშობდნენ, რადგან გარეთ ამის შესაძლებლობა აღარ იყო. გაიხსენეთ, როგორ წაართვეს საცოდავ ანტონ კათალიკოსს და როგორ აღიკვეცა ბერად. საინტერესო ისტორიაა.

ეს იყო სოლიდური ვირტუალური თამაში, რომელიც მსგავსიც დედამიწაზე არ მოიძებნებოდა. თუმცა, ეს თამაში არავინ იცოდა, ქართველი დიდებულების გარდა.

მის აღწერას წიგნი დასჭირდება. აქ ნამდვილად ვერ მოვახერხებ. იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ თამაშმა უამრავი რამ გადაარჩინა საქართველოში.

თუმცა, მეოცე საუკუნემ თამაში მოიგონა იმის მიუხედავად, რომ ამდენი და ასე ჭკვიანურად და მეცნიერულად „ვეფხისტყაოსანზე" არც ერთ ეპოქაში არავის ულაპარაკია და უწერია.

რაინდობაც ასე არასერიოზულად დახასიათებული, ყველაფერი საბრალო ბავშვის გაკეთება კი ნუ დაგავიწყდებათ.

**14 ივლისი**

მთელს ამ ამბებში მწერალი მაინტერესებს ხოლმე. საერთოდ, წიგნს რომ ვკითხულობ, ხშირად მწერალი უფრო მაინტერესებს, ვიდრე საკუთრივ წიგნი. უფრო სწორად, წიგნს რომ ვკითხულობ, მხოლოდ წაკითხულზე არ ვფიქრობ, არამედ იმაზეც, ვინც დაწერა. ასე თუ ისე ვხვდები ხოლმე, რას ფიქრობდა, როცა წერდა. ტექნიკის და გონების ამბავში. ასევე გადაწყვეტილებებს: რატომ ასე, რატომ ისე არა. ჭადრაკის არა, რა, აი, კაი პარტიას რომ გაარჩევ და იმას უფიქრდები, ამას თუ ამ განიძლეულმა მოჭადრაკემ რატომ დაძრა სწორედ ეს ფიგურა და იმის შემდეგ ყველა რატომ ძრავს ასე.

წიგნებში ცოტა სხვანაირადაა, რადგან წიგნებში მოგება არ არის საჭირო. სხვანაირად რომ ვთქვათ, იქ სხვა შეგრძნება არ არის, გარდა ერთისა, დამწერი არის მოფიქრებულ ბერებს დიდ ისე უნდა ის გამოიგონოს, როგორც თითონ ხედავს. საუკეთესო შემთხვევაში. ხელოვნება ნამდვილიც არ არის, შეიძლება ცხადდება, მაგრამ მაინც, როგორც თითონ ჰგონია, ისე უნდა გააკეთოს. მერე ამის ლექსით კეთება და ცდილობენ. გაცვლებით კი არა, წარმოუდგენელად.

ჰოდა, ვხვდები ხოლმე, მწერლები რა ტიპები არიან. ხან უფრო იმისთვის, მაგრამ მიჰყავს ლოგიკას ასეთს, ამ მიხვედრასაც ხუნდებრივი ახლავს, მაგრამ ნამდვილი ლამაზია ნამდვილია: დაინახავ ავრის ვიწრო ხელს და ხვდები, რომ ვილაც მიცურავს.

ჰოდა, აი, რუსთაველზე მინდა ვთქვა, რომ მეჩვენს მხედვარს. ერთგვარად ყველაფერი გარკვევით. ასეთ წიგნს ჩვეულებრივი ადამიანი ვერ დაწერს, თუნდაც, ნიკო მარს დაეჯეროთ, სოფელში სამოთხეული მონაზონი.

საერთოდ, ამდენი ლაპარაკი სიყვარულის წარმოშობაზე, მგონი, სისულელეა. ყველაფერი სადაც ლაპარაკობდა პლატონზე სრული ბანძე, ალანი ნეოპლატონიზმი.

ამის მიუხედავად, სიყვარული ძალიან მაღალია და არა ქედის ადამიანის, ხოლო ბოლოს კი იმ სხვანაირი ძალიან ცოდნა. კაცი მიდის, მერე ორი კაცი მიდის, ხოლო მოტივი თავის დაცვა, მით ბედნიერი უსახელო ადამიანი. ყველაფერი გზაზე ხდება, ფლეშბეკები დროულად, არა დამყოლი და ასე ნაბურგუნდება. მოკლედ, ნაწარმოების დონე რომ გიჟდები, მეჩვენება, რომ ეგ მეფე ამის ზოგიერთი ბოლოდროინდელი.

სიტყვის თქმამ იცით. მეტი საუკუნის დასაწყისის ლექსი არ გვინდა და არ გვინდა. მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზიამ არ ჯობნის, ცოტა შესწორებით.

ჰოდა, თითქოს ყველაფერი ვიცით. მერე გიგზავნ, რომ განახლება იყო და მოვაცილე ბრძენ.

რა მოთავდა, სწორედ მაშინ იწყება. მე მაქვდან მაინტერესებს.

მაგალითად, რამდენ ხანში დაწერა ეს წიგნი? დღისით უფრო წერდა, თუ ღამით? ძნელი წარმოსადგენია, ფატმანის ამბები ღამით არ იყოს დაწერილი.

ასეთ ქალებზე დღისით არ გამოდის. არ გამოდის ისეთი, როგორიც საჭიროა და რა ვქნა?

როგორ წერდნენ ძველი მწერლები? წაკითხული მაქვს, როგორ წერდა რაბლე. როგორ ცხოვრობდა რაბლე. არის ბოკაჩოს წიგნი დანტეზე. ჩვენ ხომ არა გვაქვს ასეთი რამეები. ფიროსმანის საფლავის არ იყოს.

მგონი, ძალიან ადრე იყო რუსთაველი. ქართლის ცხოვრებაში, რაღაცის დეტალი საკმაოდ გემრიელია ხოლმე, მაგრამ საკმაოდ იშვიათი და ძუნწი.

ის ფილოსოფოსი არ არის. მწერალია. ნამდვილი მწერალი. თანამდებობები არ ნიშნავს, რომ რაღაცაში შებორკილი ყოფილიყო. თუ ის მართლა მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ბრწყინვალე მეჭურჭლეთუხუცესი იქნებოდა. თვლა, ანგარიში და განჭვრეტა მწერლისთვისაც ძალიან საჭიროა. ლექსად წერდა, ესე იგი ითვლიდა.

მგონი, კაი სახალისო რამეებს ვწერ, მაგრამ მინდა, რომ დავინახო, ის კი არ ჩანს.

რკინა, ქსოვილი, ტყავი, ყველაფერი ძალიან ნაცნობი იყო მისთვის. ოქრო, ქვა, წყალი და ისევ ზღვა. ეს ზღვა არ ჩანს ზეპირად დაწერილი, თუმცა, მგონია, რომ მასთან ვერ გაარკევ, რა გამოცდილებითაა ნაწერი და რა წარმოსახვით. მასტერია ეგ არა, რომ ეგრე მოახერხოს.

მისი დრო არ არის ყოფილი დეტალების დრო, მის ნაწერებში ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდება, მაგრამ ხმელეთზე ქარიშხალი ამოვარდება, ზღვა გაისმება. იმიტომ, რომ ზღვა განსაცდელია და ქარიშხალი სწორედ, წიგნში კი ეს გააზრებულია? დაიწყება და მორჩა.

წიგნები, რომლებსაც ის კითხულობდა. ბევრი ტექსტში ჩანს და გამოცდილია, რა წიგნიდან, რაზე მიაკითხა, რას ფიქრობს. მაგრამ ის ფილოსოფოსი არ იყო. მწერალი იყო და სწორედ ეს მაინტერესებს, გრძნობდა თავს მწერლად? ანდა თუ გრძნობდა, რას ნიშნავდა იმ დროში მწერლად ყოფნა?

მგონი იმ დროს საქართველოსთვის ძალის ის იყო, რაც დღეს თავისთავად. შენ ხომ იცი შენი დინება? რა ვიცი.

ყოფილა ბაღდადში ან დამასკოში? სამარყანდში? ასეთი, ვიქნები, ან რომლებიც ასეთი აღმოჩნდა. ინდოეთი თუ ეგვიპტე. იქ დიდი ინდოეთი.

ზოგი ქართველი მიდიოდა ამ ქვეყნებში. ზუსტად რუსთაველიც მიდიოდა? რა თქმა უნდა. ჩვენ ამას ვერასდროს ვიხილავთ, რადგან ის ცნობილი ქართველი თავადი იყო, ხოლო თუ ის ასეთ ქალაქში ყოფილა, ეს ძალიან დიდი რამე იქნებოდა. ჩემი აზრით, ის არის აქ, ის არის იქ, ამ ქალაქში და იქ ყოფნა, ერთ ქალაქში არ ყოფილა.

ჩვენ დავეძებთ, რომ მეფეს ის ქვეყნები, რომლებშიც ის იყო, ამიტომ იცოდა, რომ მისი ნაწერი სპარსულია. რადგან ფარსი, რომელიც არის ის ქვეყანა, ამ ქვეყნის მცხოვრებნი ჰყავდა ქართველები, რომლებიც რუსთველს ჰგონიათ, უმაღლესი ქართველი.

არ მგონია, რომ მაშინ ასეთი კაცი, ამ ქართველი, ქართველ ხალხში, ფიქრის ავტორი არ ყოფილიყო, ეგ ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით.

არ მასხოვს, რომელ არაბ ისტორიკოსს უწერია, ეგეც, აით საუკუნის წინანდელი: თბილისი არის ასეთიო, არიან მეინარაო, ხიდით და მოედნით, ამ მოედნის გარშემო დუქნებით და შიგ კი, ჰოი ღმერთო, სხვადასხვა ქალები სხედან და ამ მთისას ამ მასხოვს ამ მთისთვის. ქრონიკებში, ესე იგი.

გარეგნულად, არაფერი შეცვლილა, შიგნით კი... სად არის რუსთაველი?

ცოტა კი გადავუხვიე, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, ადამიანი, რომელსაც სამი რაინდი და ორი ხელის საფრთხე წარმოუდგენია ასეთ ჰყავს, რომელმაც ნაცნობი და ცნობილი ქვეყნები ასე მიდევნა, რომ ჰქონდა ოჯახი, ერთი ჰყავდა თუ რამდენიმე ... გაიგებ ახალი და ახალი, ამ თვალსაზრისით იგი რაოდენ ცოცხლობდა: ჰქონდა, ჰყავდა, ეს იცოდა, აღწერა, ეს კი რა?

არ მითხრათ, რომ მაშინ ასეთი კითხვები არ არსებობდა. ქართველები ბა არა ვართ? ჩამოსახლებულები. ცოტა ძალიან მჯერა და გამოცხადებულიო, გვჯერა ხმა.

გულწრფელობით მიხვდებით ნიშნებს ძველ ქართულად, თუ არ მოგვბეზრდება, ახლა კი მახსოვს და მივუბრუნდები რუსთაველის ამბავს: „ვეფხისტყაოსანში" კი არ ვახსენებ და მისი სიტყვები, იცით ამის პირველობაში.

**15 ივლისი**

ასე, დაუსრულებელ შეიძლება. ასეთი წიგნი.

სხვა დროს გავაგრძელებ...

**აკა მორჩილაძე**

## „მამულის" რედაქტორის ფოტორეპორტაჟები ნიუ იორკიდან



ქართველი სადაც არ უნდა იყოს, მათთვის 26 მაისი ყველგან დღესასწაულობს. თუნდაც ნიუ იორკში, ვოლ სტრიტზე!

ემოციების ზღვაში დაიხრჩობოდი იმ წამებში, თუ თავად გახდებოდი მოწმე როგორ ამაყად აიწეოდა შენი ქვეყნის დროშა მსოფლიოს გულში.

ამ ღონისძიების ორგანიზატორები გახლდნენ სამი უმშვენიერესი ქალბატონი: საქართველოს ლობი რადიო „დევიდსონში", ქალბატონი ლალი სამხარაძე, ცნობილი მომღერალი ქალბატონი თამრიკო დავითაშვილი, და მანჰეტენის ქართველი გიდი, ქალბატონი მანანა გოგინავა.

იმპროვიზებულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „ფესვები" (ხელმძღვანელები შორენა ბარბაქაძე და ალექსანდრე ნადარეიშვილი), „გელათი" (ხელმძღვანელები თეა კანდელაკი და როინი მარგველაშვილი), ბავშვთა სტუდია „თამარიანმა" (ხელმძღვანელი თამრიკო დავითაშვილი) და წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მგალობელთა ქორალმა.

ვინც იქ იყო იმ დღეს, აღნიშნავდნენ, რომ მანჰეტენი იმ წუთებში ქართული სულით ბობოქრობდა, ქართული მუსიკა დაქროდა ვოლსტრიტის შუკებში. არც მიკვირს! სარეჟისორო პულტთან ხომ STVR და მისი სულისჩამდგმელი რიჩარდ დავითაშვილი იყო!



უკვე აღარავის უკვირს ანსამბლ „ფესვების" საოცდაექვსმაისო კონცერტები. ეს ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა ჩვენი ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში - „ფესვები" ამერიკის ქართველობას ანგარიშს აბარებს გაწეული შრომისას და ნათლად ვხდებით იმის მოწმე, ჩვენს თვალწინ, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ იზრდებიან ეს ბავშვები, როგორ ყალიბდებიან ნაღდ ქართველებად, როგორ ჰყივის მათში ქართული სისხლი, ბალეტი ჯიშის...

ასე იყო წელსაც... ორი საათის განმავლობაში, ანტრაქტის გარეშე სცენაზე იდგა თითქმის შვილი წლის ანსამბლი „ფესვები" და ჩვენ შორენა ბარბაქაძის, ალექსანდრე ნადარეიშვილის, ვანო გოდერძიშვილის, თითოეული მონაწილისა და მათ მშობელთა მრავალი უძილო ღამეების ნაღვაწს ვაფასებდით.

დარბაზი რომ დაჭიმული მშვილდით ხვდებოდა ამ სასწაულს, ეს ცხადზე უცხადესია, ცრემლის კურცხალსაც რომ ადვილად დაინახავდით მრავალთა თვალებიდან, - მოდით ამას ნუ ვიტყვით!

ამერიკაში ქართული ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის გაზეთ „მამულის" რედაქციამ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები" 2010 წლის „მამულიშვილის" პრიზით დააჯილდოვა.

ფოტო-ობიექტივმაც ეს დააფიქსირა.










ეს კადრი კენედის აეროპორტშია გადაღებული, გაზეთის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე. ქართველი ემიგრაციის ერთი ნაწილი საქართველოსკენ გზას ულოცავს „სიცილის დედოფალს", ქალბატონ მზია კვირიკაშვილს.

მას ამ რამოდენიმე კვირის წინ ღვიძლის სიმსივნე დაუდგინეს ამერიკელმა ექიმებმა, რასაც ფილტვების ტრომბიც დაერთო. მან მკურნალობის კურსის შეერთებულ შტატებში ჩატარებაზე უარი განაცხადა და საქართველოში დაბრუნება მოისურვა.

მთელი აეროპორტი გაკვირვებული უყურებდა, თუ როგორი ტაშის გრიალით მიაცილეს სიცილის დედოფალი აეროპორტის ბოლო ზღურბლამდე.

იცრემლებოდა...

სიცილის დედოფალი!

## სევდის ფერი ქალის ფიქრები

ემიგრანტის ხვედრი რომ მძიმეა, ეს ყველამ ვიცით და არახალია, მაგრამ მანამ, სანამ შენს ქვეყანაში ცხოვრობ, ამას ვერ გრძნობ და ასე გგონია, რომ შენ ეს არასოდეს შეგეხება და ამ ტანჯვასაც შენთან საერთო არაფერი ექნება.

საქართველოში ცოლ-ქმარს მეუღლეები ჰქვიათ, არა მგონია მსოფლიოში რომელიმე ერს, რომელიმე ენაზე ასე ზუსტად მიეგნოს და განემარტოს სიტყვა ცოლ-ქმრის მნიშვნელობისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

მეც მეუღლე ვიყავი და ვთვლიდი, რითაც და როგორც შემეძლო უნდა გამეწია დიდი ოჯახის მძიმე უღელი. ქართველი ქალი ხომ ყოველთვის მამაკაცთან ერთად, თანაბრად (თუ მთლიანად არა) ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს და ამაში ვერც განსაკუთრებულს ხედავდა რამეს.

ქვეყნის ეკონომიურმა ნგრევამ მეც სხვა ქართველი ქალების მსგავსად, ამ ქვეყანაში გადმომისროლა. მოვდიოდი და უკან ვტოვებდი ყველას და ყველაფერს, რაც ასე ძვირფასი იყო ჩემთვის - სამ შვილს, მეუღლეს, და-ძმას, სამშობლოს...

ვიცოდი, რომ გამიჭირდებოდა, ამისათვის თავს ფსიქოლოგიურად ვამზადებდი, მაგრამ რეალობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი.

არც ეკონომიურად გამჭირვებია, არც შეურაცხყოფილად მიგრძვნია თავი, მაგრამ დედისთვის, რომელსაც შვილების ხატება სულ თან დაჰყვება, ძალიან ძნელია სხვა ქვეყანაში ცხოვრება უოჯახოდ,

უშვილებოდ,

უსიყვარულოდ.

მხოლოდ ტელეფონი და კომპიუტერია ჩემი და ჩემნაირების ერთადერთი იმედი, მისი საშუალებით ვუკავშირდებით ოჯახებს, ახლობლებს და რაც მთავარია ერთმანეთს.

აქ მყოფი ქართველი ქალები ერთმანეთის ცხოვრებით ვცხოვრობთ, ვცდილობთ ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ, დავეხმაროთ, იშვიათად ვიცინით. ვტირით ერთმანეთის და-ძმას, დედას, მამას, შვილს. წერილებზეც ვტირით - შვილების წერილებზე.

„დედიკო, ძალიან მენატრები, არანაირი ფუფუნების საგნები არ მჭირდება, ყველაფერს დავწვავ, გადავყრი, მე შენ მჭირდები".

„დედიკო, ჩვენს სახლში ჯერ კიდევ ტრიალებს შენი სურნელი".

„დედიკო, ძალიან მინდა ჩაგეხუტო, მენატრები, გთხოვ ჩამოდი".

„არავინ მოგატყუოს, რომ დეიდას დედის სუნი ასდისო, დედის სუნი არავის ასდის".

ასეთი წერილების წაკითხვის შემდეგ ყელში ბურთივით რაღაცა გეჩხირება, გახრჩობს, სულს გიხუთავს, ცრემლებს კი ვერაფერი აჩერებს, მოგორავენ შენს სახეზე და ნიკაპთან ერთდებიან, შემდეგ უბეში მიძვრებიან და ყველაფერს ასველებენ. ცდილობ თავი ხელში აიყვანო, არ იტირო, საუბრის თემა შეცვალო, მაგრამ არაფერი გამოგდის. ძნელია, არ იფიქრო შენს ახლობლებზე და არ შეგეცოდოს ის ხალხი, რომლებმაც მშობლები, და-ძმანი და ზოგჯერ შვილებიც ვერ დაიტირეს.

ჩვენ, სხვადასხვა ასაკის ქალები, ჩვენს დაუძლურებულ მოხუცებთან ერთად ვართ სახლში გამოკეტილნი. ეს დაახლოებით იგივეა, რაც საკუთარივე ფეხით რომ ჩაჯდე ციხეში, იმ განსხვავებით, რომ თავზე შეიარაღებული ბადრაგი არ გიცავს და არც რკინის გისოსებია სადმე.

ქუჩაშიც გადიხარ, მაღაზიებში შედიხარ, ყიდულობ ტანსაცმელს შვილებისათვის, მერე ბრუნდები სახლში და დიდხანს, დიდხანს არ ინახავ, უყურებ და ეფერები, დაძინების წინ ჩაალაგებ, რომ მეორე დღეს კვლავ ამოალაგო და მოეფერო, გინდა წარმოიდგინო როგორი იქნება შენი შვილი ამ ტანსაცმელში, როგორ მოიხდენს...

ეს ქვეყანა აბსოლუტურად განსხვავდება ჩვენი ქვეყნისაგან და შენც უცხო ხარ და მიუსაფარი. არავის ენაღვლები და მანამ გიცინიან, სანამ ჭირდები, დაგეხმარებიან კიდეც, ხელსაც გამოგიწვდიან, მაგრამ რაღაც ზღვრამდე... იქეთ არც გადაგიშვებენ და არც შენ გაკადრებენ რამეს.

ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ, საოცარი სილამაზე და სისუფთავეა. თვალს უხარია, გულს კი არა! არანაირი სილამაზე და სიმდიდრე არ მჭირდება ჩემი ქვეყნის და ჩემი ოჯახის გარეშე.

ცაც სხვანაირია, მზეც, ღრუბლებიც კი... თუ სადმე „ჩვენებურ" ყვავილს წააწყდები, ისე მიხარია, როგორც დიდი ხნის უნახავი ახლობლის ნახვა, სურვილი მინდება დავიჩოქო, ხელი შევახო, მოვეფერო და ვკითხო:

- იცი?! რომ შენი და-ძმანი საქართველოში ცხოვრობენ, აქედან შორს, ძალიან შორს, ზღაპრულად ლამაზ ქვეყანაში. შეიძლება შენი წინაპრებიც იქიდან არიან წამოსულნი?! ის ხომ უძველესი ქვეყანაა, სადაც უგემრიელესი წყლებია, აქაურს არა ჰგავს, შენ ხომ წყალი ძალზე გჭირდება და გიყვარს.

ყვავილს ფოთლები ჯერ კიდევ სველი აქვს (აქ ხომ ყოველდღე რწყავენ), გაკვირვებული მიყურებს, ცოტა ხანს კიდევ ვსაუბრობთ და ბოლოს ვპირდები, რომ მოკითხვას აუცილებლად გადავცემ მის ახლობლებს.

### რედაქციის ფოსტა

გაკვირვებული თვალებით მაცილებს და ვერ გებულობს, რატომ ვდარდობ ასე ძალიან ჩემს ქვეყანაზე. არც მიკვირს, იმიტომ რომ ის აქ დაიბადა და მისთვის უცხოა ეს გრძნობა.

ყველაზე ძალიან, რაც მაკლია ამ ქვეყანაში, ეს მთებია, საქართველოს მთები, ოთხივ კუთხიდან რომ ცდილობს დაიცვას ქვეყანა გარეშე მტრებისაგან, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ერთხელ, მეუღლესთან ერთად ბაკურიანში მივდიოდი სოფელ ტბის გავლით.

ადრიანი დილა იყო, ნისლი ჯერ კიდევ არ გადაეყარა მთებს, მზე მხოლოდ ალაგ-ალაგ ახერხებდა ბურუსის გაფანტვას, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ღრუბლებში მივცურავდი მანქანით, ხელს გავიშვერდი და ცას დავეკიდებოდი, მეგონა. ეს გრძნობა აქ არასოდეს გაგიჩნდება, შენს ირგვლივ მსგავსი არაფერია.

მაპატიოს მკითხველმა, თუ ჩემი მონათხრობი ცოტა სევდიანი გამომივიდა.

არა, ამ ქვეყნის მადლიერიც ვარ, გულში რომ ჩამიკრა, ოჯახის გადარჩენის საშუალება რომ მომცა... უბრალოდ ყოველწამს ვგრძობ ჩემი ქვეყნის განუმეორებლობას და მეტირება!

სიამაყის და მონატრების ცრემლებით!

**ლია კუპატაძე,**
**ტომს რივერი, ნიუ ჯერსი**

# მელქისედეკ კათალიკოსმა საქართველოს კათალიკოსის ისტორიული კუნკულ-ბარტყული აჩუქა რუსეთის პატრიარქს

**უწმინდეს მელქისედეკს აბრალებდნენ, ეკლესიებში რუსული წირვა-ლოცვის შემოღება უნდაო. ეს რომ სიცრუეა, დღესაც შეუძლია დაადასტუროს ქალბატონმა თაისი ტორონჯაძემ, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსმა დანიშნა დიდუბის ეკლესიაში მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელად და დაავალა, იქნებ, გალობა ნელ-ნელა ქართულზე გადაიყვანოო.**

**კალისტრატე ცინცაძის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ ფხალაძე გახდა. უწმინდესმა კალისტრატემ იგი სიცოცხლეშივე გამოარჩია მოსაყდრედ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე ამჯერად მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გვესაუბრება.**


მელქისედეკ III (ფხალაძე) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1952-1960 წლებში

**- ბატონო სერგო, რა მოსაზრებით გამოარჩია კალისტრატე ცინცაძემ მელქისედეკ ფხალაძე მოსაყდრედ?**

- კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს მიაჩნდა, რომ იმ რთულ და დაძაბულ მდგომარეობაში, როგორშიც საქართველოს ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო ჩაყენებული, მემკვიდრის გამორჩევის საკითხთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე მართებდა.

**მელქისედეკ ფხალაძე** გახლდათ უაღრესად განათლებული სასულიერო პირი, ინტელექტუალი. იგი შესანიშნავად ფლობდა ბერძნულს, „გეორგიკას" ერთი ტომი ბერძნულიდან სწორედ მისი თარგმნილია, აღარაფერს ვამბობ რუსულზე. ამის გარდა, მან შესანიშნავად იცოდა ფიზიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, საღვთო სჯული. საოცრად განათლებული კაცი იყო, ამავე დროს იგი იყო მკაცრი, პირდაპირი და მოურიდებელიც.

გარდა ამისა, კალისტრატე ცინცაძის არჩევანი განაპირობა კიდევ ერთმა გარემოებამ: **მას შემდეგ, რაც კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის გამო, ხელისუფლების სამიზნე გახდა, ბევრ მღვდელმთავარს სძლია ცდუნებამ, მისი კრიტიკით ხელისუფლებასთან შეთანხმებაში შესულიყვნენ და ამით საკუთარი პოზიციები გაემყარებინათ.** როგორც წინა საუბრებში მოგახსენეთ, ხელისუფლება აცხადებდა, ამბროსი ხელაია არის მოღალატე, ვინაიდან მან საკუთარ ხელისუფლებას უჩივლა და ცილი დასწამა, ქართველი ხალხის ინტერესებს ის კი არა, ჩვენ გამოვხატავთო. ბევრი მღვდელმთავრისგან განსხვავებით, მელქისედეკ ფხალაძე, რომელიც მაშინ არ იყო მღვდელმთავარი, ხელისუფლების ამ სულისკვეთებას არ აჰყვა. ჩვენ ვთქვით იმის შესახებაც, რომ ამბროსი ხელაია გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის გამო 1923 წლის იანვარში დააპატიმრეს და 1925 წლის მარტში გამოვიდა ციხიდან. ამის შემდეგ, პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ დეკანოზი მელქისედეკი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ ბრძოლა ციხიდან მისი გამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. **ეპისკოპოსმა მელქისედეკმა უყოყმანოდ დაიკავა კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის პოზიცია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის წინაშე თავს დავალებულად გრძნობდა, არამედ მიაჩნდა, რომ უწმინდესი ამბროსის მიმართ მის მიერ ნაკურთხ სასულიერო პირთაგან დიდ უსამართლობას ჰქონდა ადგილი.** მელქისედეკი ამბროსის განსაკუთრებით მაშინ დაუდგა მხარში, როცა ქუთათელი ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე მკვეთრად დაუპირისპირდა მას. მისმა უწმინდესობამ ამბროსიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქუთაისში დავით ეპისკოპოსის საქმეების შესასწავლად გაეგზავნა დელეგაცია, რომელსაც ეპისკოპოსი **მელქისედეკ ფხალაძე** უხელმძღვანელებდა. მელქისედეკმა ქუთაისში ძალიან სერიოზულად იმუშავა. ის შეხვდა დავით კაჭახიძის მომხრეებსაც, მოწინააღმდეგეებსაც და დაწერა დასკვნა, რომ დავით კაჭახიძე, როგორც სასულიერო პირი, არის პატიოსანი, უმწიკვლო, შეუბღალავი, ჩინებული წირვალოცვისა და სამღვდელმთავრო საქმის მცოდნე, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ქუთაისში ისეთი სიტუაცია შექმნა, უმჯობესია, გადაყვანილ იქნას სხვა ეპარქიაშიო. ეს იმდენად ზუსტად და ობიექტურად დაწერილი დასკვნა იყო, რომ დავით კაჭახიძემ მელქისედეკზე სიტყვაც ვერ დაძრა.

ეს ყველაფერი კარგად იცოდა კალისტრატე ცინცაძემ. მან იცოდა ისიც, რომ მელქისედეკმა, როგორც სასულიერო მოღვაწემ ძალიან დიდი გზა გაიარა.

**- მოდით, მელქისედეკ ფხალაძის მიერ განვლილი გზის შესახებ მოვუთხროთ მკითხველს.**

- **მელქისედეკ** (ერისკაცობაში **მიხეილ**) **გიორგის ძე ფხალაძე,** დაიბადა 1872 წლის 2 ნოემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ ყანდაურაში. მისი წინაპრები მე-18 საუკუნეში ზემო იმერეთიდან გადასულან კახეთში. 13 წლისას გარდაეცვალნენ მშობლები. სწავლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში სულ უფრო და უფრო მძლავრობდა მარქსისტული იდეები. სემინარიელთა ერთი ნაწილი მარქსისტული წრეების მუშაობაში მონაწილეობდა. ამის გამო სემინარიიდან ბევრი სტუდენტი გარიცხეს. მიხეილ ფხალაძემ წარჩინებით დასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა განაგრძო ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1900 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა.

1900-1904 წლებში იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისში. 1904 წლიდან რუსეთში ჯერ სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ, 1909 წლიდან, კამენეც-პოდოლსკის სემინარიაში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას. 1915 წლის 31 მაისს მღვდლად იქნა ხელდასხმული. საქართველოში 1917 წელს, ნიკიტა თალაკვაძის დაჟინებული მოთხოვნით დაბრუნდა და გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1918 წლის 21 ნოემბერს დეკანოზის ხარისხი მიენიჭა. 1920-1922 წლებში უმუშევარი იყო, 1922 წლის 5 აპრილს კი სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად (მნათედ) დაინიშნა. **1925 წლის თებერვალში ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. ამავე წლის ოქტომბერში ჯერ ბერად აღიკვეცა და სახელად მელქისედეკი ეწოდა, 14 ოქტომბერს კი უწმინდესმა ამბროსიმ ეპისკოპოსად აკურთხა.** 1927-1928 წლებში მელქისედეკი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსია, 1928 წლის 24 მარტიდან კი - წილკნის ეპარქიის მმართველი. 1935 წლის 2 იანვარს იგი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. 1937 წლის 2 მაისს მიტროპოლიტ მელქისედეკს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატესათვის: „მორჩილებით მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში უმღვდლოდ დარჩენილია სამი დიდი სოფელი და ახალი სასაფლაოს ეკლესია სოხუმში. თქვენს უწმინდესობას მოვახსენე, რომ შესაფერისი კანდიდატების უყოლობის გამო ახალი მღვდლის კურთხევა შეუძლებელი გახდა. ამის გამო დიდ გაჭირვებას განვიცდი". ამას დაემატა 1937 წლის 9 ოქტომბერს დეკანოზების სვიმონ გიგინეიშვილისა და ელიზბარ ანჩაბაძის დაპატიმრება. ამის შესახებ მიტროპოლიტი მელქისედეკი უწმინდეს კალისტრატეს გულისტკივილით მოახსენებდა: „ჩემი ეპარქიის სოფლებში მღვდლები აღარ არიან, ყველანი დაატუსაღეს. დავრჩი მარტო მე ორი მღვდლით სოხუმში. ჩვენც, ვგონებ, აღდგომის შემდეგ მოგველის ლიკვიდაცია".

ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა ქართული, რუსული, ბერძნული, კათოლიკური, პროტესტანტული, ებრაული რელიგიური საზოგადოებების გაერთიანებას ერთ ეკლესიაში. ამასთან დაკავშირებით მეუფე მელქისედეკი ხელისუფლებას სწერდა: „გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ქართული, რუსული, ბერძნული ეკლესიების. კათოლიკური, პროტესტანტული და ებრაული მასში ვერ გაერთიანდება... ბერძნული ეკლესიის მღვდელი ორი თვეა, დაპატიმრებულია, ბერძნები თავისი რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მომართავენ ქართულ ეკლესიას, სადაც ღვთისმსახურება სრულდება ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე. ამნაირად საკითხი რჩება ქართული და რუსული ეკლესიებისა. თუ რომელი უნდა გაუქმდეს, ძნელი არ უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტა იმ საზოგადო მოღვაწეებისათვის, რომლებმაც იციან სოხუმში ქართული გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთის" არსებობა, რომლებიც დაკვირვებიან ამ გაზეთის პირველ ნომერს, რომლის პირველ გვერდზე არის სტალინის დიდი სურათი". 1938 წელს იგი სოხუმიდან იძულებით გამოუშვეს და 1943 წლის 1 აპრილამდე უეპარქიო მღვდელმთავარი გახლდათ. 1 აპრილს კუკიის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. ერთი წლის შემდეგ დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და ასევე ჩააბარეს ურბნისის ეპარქია. **1952 წლის 5 აპრილს მე-9 საეკლესიო კრებაზე მელქისედეკ ფხალაძე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოარჩიეს და ამავე წლის 7 აპრილს პატრიარქად აკურთხეს.**


საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ III და სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი ვაზგენ I

**- როგორ წარიმართა მელქისედეკ ფხალაძის პატრიარქობა?**

- მან განაგრძო ლოიალობისა და თანამშრომლობის გზა ხელისუფლებასთან. **ეს არ იყო ლოიალობა და თანამშრომლობა საქართველოს ეკლესიის ინტერესების საზიანოდ, არამედ, პირიქით, ეს იყო კალისტრატე ცინცაძის მიერ არჩეული გზა, რომელიც საქართველოს ეკლესიას გააძლიერებდა.**

საქართველოს ეკლესია ამ დროს კვლავ მძიმე მდგომარეობაშია, თუმცა, შედარებით უკეთესი ვითარებაა, რადგან რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას და რაღაც მცირე ფუნქცია მაინც აქვს მას. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანა, რაც კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის წინაშე დადგა, იყო თბილისის სასულიერო სემინარიის გახსნა, რომელიც 1917 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა. ეს გეგმა ჰქონდა კათალიკოს-პატრიარქებს კირიონს, ლეონიდეს, ამბროსის, კალისტრატეს, მაგრამ ვერცერთმა ვერ განახორციელა.

ხელისუფლებამ შემოიღო რელიგიის საქმეთა რწმუნებულის თანამდებობა, რომელიც ჯერ **კალე ქადაგიშვილს** ეკავა, კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის დროს კი ამ თანამდებობაზე **მოსე მექვაბიშვილი** იყო. საინტერესოა მოსე მექვაბიშვილის ერთი წერილი ხელისუფლებისადმი, სადაც ის ახასიათებს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკს.

**„პატრიარქ მელქისედეკ III-ის დახასიათება**

ფხალაძე მიხეილი ეროვნებით ქართველია. დაიბადა 1872 წელს კაჭრეთის რაიონის სოფ. ყანდაურაში, საქართველოს სსრ. ქვრივი. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია 1900 წელს. ხელდასხმულია ეპისკოპოსის ხარისხში 1925 წელს. 1952 წელს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

**მელქისედეკ III პრინციპიალური ადამიანია. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოთა შორის არ სარგებლობს კარგი ავტორიტეტით თავისი პრინციპიალობის წყალობით. 1955 წელს სამღვდელოთა შორის მის წინააღმდეგ იყო ჯგუფი, მაგრამ მოწინააღმდეგეთაგან ნაწილი მოხსნა, ნაწილი თვითონ წავიდა. პარტიასა და მთავრობასთან მიმართებაში ლოიალურია. მოცემული დროისთვის მისი დამსახურება გამოიხატება სსრკ-ს მთავრობის მხარდაჭერაში მშვიდობის დაცვის საქმეში, იგი გამოდის სხვადასხვა კონფერენციებზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად. იგი განსაკუთრებით არ ცდილობს მოქმედ ეკლესიათა გაფართოებას.**

მელქისედეკ III ერკვევა საერთაშორისო მოვლენათა საკითხებში. კითხულობს რუსპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებს.

ჩემს მიმართ აქვს კარგი დამოკიდებულება. ყურს უგდებს ჩემს რჩევებს. აქვს მიდრეკილება „к наживе", იტანჯება სმენის დაქვეითებისა და სუსტი მხედველობის გამო. **იგი სხვებზე მაღლა აყენებს თავის ნაციას და ტაძრის გახსნის გადაწყვეტისას ცდილობს, გახსნას მეტი ქართული ტაძარი და ჩემთან საუბარში გამოხატა შიში, რომ ჩვენთან მორწმუნე ქართველები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსები, რის გამოც საქართველოს ეკლესიამ შესაძლოა დაკარგოს ავტოკეფალია.**

მელქისედეკ III რეპრესირებული არ ყოფილა.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებში მ. მექვაბიშვილი".**

უწმინდესმა მელქისედეკმა რამდენჯერმე თხოვნით მიმართა მოსე მექვაბიშვილს სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ. ხელისუფლებამ მის თხოვნას უპასუხა იმით, რომ გაავრცელა ხმები - ჩვენ შევთავაზეთ კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკს თბილისში სასულიერო სემინარიის გახსნა, ასეთი სემინარია ფუნქციონირებს მოსკოვშიც, კიევშიც, ლენინგრადშიც, მაგრამ თბილისში უარი გვითხრესო... ხელისუფლება ავრცელებდა ხმას, თითქოს კათალიკოსი მელქისედეკი მოსურნე იყო, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე ჩატარებულიყო. **მაშინ აკაკი ხორავა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ. მას ერთ კაცთან, რომელიც კათალიკოსთან მიიტანდა მის სიტყვებს, უთქვამს, რა მოუვიდა ჩვენს პატრიარქს, თავად ძალიან განათლებული კაცია და რატომ ეუბნება ხელისუფლებას უარს სასულიერო სემინარიის გახსნაზეო.** როგორც ჩანს, ეს სიტყვები მართლაც მივიდა უწმინდესის ყურამდე და ამის გამო მან საგანგებო წერილი გაუგზავნა აკაკი ხორავას:

**„ბატონო აკაკი,** თქვენ **რეჟისორ შოთა მანაგაძისათვის** გითქვამთ, რომ პატრიარქი მელქისედეკი სასულიერო სკოლის გახსნისა და სასულიერო ჟურნალის გამოშვების წინააღმდეგიაო. არა, ბატონო აკაკი, ამას ტყუილად ავრცელებენ ჩემი მტრები. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეზე ორჯერ შევიტანე განცხადება მთავრობაში. პირველად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე,1956 წლის აგვისტოში. მეორედ, 1957 წლის 15 მარტს, განცხადებით მივმართე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს, საქართველოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს, მოსკოვში რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კარპოვს. **პასუხის ღირსადაც კი არ გვთვლიან და თუ თქვენ შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ, მადლობელი ვიქნებით".**

**- წაიკითხა თუ არა აკაკი ხორავამ ეს წერილი და შეძლო რაიმეთი დახმარება?**

- ამის შესახებ ცნობილი არ არის, **თუმცა, ფაქტია, რომ სასულიერო სემინარიის გახსნა თბილისში ვერც უწმინდესი მელქისედეკის დროს მოხერხდა.**

უფრო მეტიც, უწმინდეს მელქისედეკს აბრალებდნენ, ეკლესიებში რუსული წირვა-ლოცვის შემოღება უნდაო. ეს რომ სიცრუეა, დღესაც შეუძლია დაადასტუროს ქალბატონმა **თაისი ტორონჯაძემ,** რომელიც მელქისედეკ კათალიკოსმა დანიშნა დიდუბის ეკლესიაში მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელად და დაავალა, იქნებ, გალობა ნელ-ნელა ქართულზე გადაიყვანოო.

ხელისუფლება კიდევ ბევრ ცრუ ხმებს ავრცელებდა და დააჯერა კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი, რომ მის წინააღმდეგ ხელისუფლებაში გაგზავნილი ანონიმური საჩივრის წერილების ორგანიზატორი **ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე)** გახლდათ. ამის გამო მათ შორის ფრიად დაძაბული ურთიერთობა წარმოიშვა, მელქისედეკს განზრახული ჰქონდა ეფრემის მღვდელმთავრობიდან გადაყენება და, საერთოდ, ეკლესიიდან გაშვებაც კი. **აი, ასეთი ვითარება შექმნა ხელისუფლებამ - სულ 4-5 მღვდელმთავარი იყო და ისინიც ერთმანეთს ქიშპობდნენ.**

მელქისედეკის კათალიკოსობის პერიოდში ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. 1923 წლიდან მოწამეთას ეკლესიიდან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაბრძანებული იყო არგვეთის ერისთავების დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები. მოწამეთას ეკლესიაში მისი დაბრუნებისთვის მიმდინარეობდა დიდი ბრძოლა. სწორედ კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ წმინდა ნაწილები ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან ისევ მოწამეთას ეკლესიას დაბრუნებოდა. 1954 წელს **ქუთათელ მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძესა** და ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს **გრიგოლ ნარსიას** შორის მოხდა დაპირისპირება წმინდა ნაწილების საკითხთან დაკავშირებით. ხელისუფლებას არ სურდა მათი დაბრუნება მოწამეთას ეკლესიაში, მაგრამ იმავე წლის 4 ივლისს ხელისუფლება იძულებული გახდა, წასულიყო დათმობაზე, წმინდა ნაწილების დაბრუნება მოხდა 4 ივლისს, დილის 11 საათზე, და ეს მელქისედეკ კათალიკოსის დიდი დამსახურება გახლდათ!

საინტერესოა ერთი ფაქტი. **კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის დროს სასულიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს დღევანდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.** მათი ურთიერთობა საოცრად დაიწყო. ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიას უნდა მიუერთდესო, ჩავიდა მოსკოვშიც, სადაც იმ დროს აკადემიის სტუდენტი იყო ირაკლი შიოლაშვილი. იგი უწმინდეს მელქისედეკს ზაგორსკიდან უგზავნის ასეთი შინაარსის წერილს:

**„თქვენო უწმინდესობავ,** გვაკურთხეთ... აქ, ჩვენ სწრეში ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქმის დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1. მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრების გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი. 2. ღვთისმსახურების დროს ეკლესიაში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა. 3. საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას არა აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნა დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი და მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ.

ზემოთ მოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: **საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისთვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების გამოყენება ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით.** საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი, პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ... **საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალით და კეთილი ნებით, შეიძლება ჩაყენებულ იქნან საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში....**

სააღდგომო არდადეგებისთვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმინდესობას და თქვენი მითითებითა და ლოცვა-კურთხევით, არსებული წესის დაცვით, სადღესასწაულო ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. **ღრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას. ი. შიოლაშვილი, ზაგორსკი. 1957 წლის 12 თებერვალი".**

1957 წლის 16 აპრილს თბილისში, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით **ეპისკოპოსმა ზინობმა** ბერად აღკვეცა **ირაკლი შიოლაშვილი,** სახელად უწოდა **ილია,** 18 აპრილს მას **იეროდიაკვნად ხელი დაასხა მელქისედეკმა** და უთხრა, შენისთანა კიდევ 8-10 კაცი რომ მყავდეს, რაღა მიჭირსო.

აქვე საინტერესოა ერთი რამ. **ზინობი მაჟუგა,** რომელმაც კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით ბერად აღკვეცა **ირაკლი შიოლაშვილი,** ეპისკოპოსად მელქისედეკ კათალიკოსმა აკურთხა, ეს იყო 1956 წლის 30 დეკემბერს. მანამდე მან განცხადებით მიმართა სინოდის წევრებს, ასე და ასე ვაპირებ და მხარს თუ დამიჭერთო. **ზინობი მაჟუგა, ეროვნებით რუსი, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. მღვდელმთავრების უმეტესობა იმ თაობისა იყო, რომელთაც ეგზარქოსობის მმართველობის მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე ჰქონდათ გადატანილი და ამიტომ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევის წინააღმდეგი წავიდნენ. მელქისედეკმა მათ არ დაუჯერა და მაინც აკურთხა.**

**- რატომ უნდოდა უწმინდეს მელქისედეკს ზინობის ეპისკოპოსად კურთხევა?**

- **ამით მან სომხეთში არსებული რუსული სამრევლოები ზინობს და-უქვემდებარა, ანუ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამრევლოები საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემოვიდა, რაზეც რუსული ეკლესია დათანხმდა.**

**- რუსეთის ეკლესიასთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა უწმინდეს მელქისედეკს?**

- ის რამდენჯერმე ჩავიდა რუსეთში, ჰქონდა მოლაპარაკებები რუსული ეკლესიის მეთაურებთან. ერთი ცუდი, რაც მოხდა, იყო ის, რომ მან რუსეთში ჩაიტანა და რუსული ეკლესიის მეთაურს აჩუქა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ისტორიული კუნკულ-ბარტყული.

**- როდის გარდაიცვალა მელქისედეკ კათალიკოსი და ვინ გამოარჩია მან მანამდე მოსაყდრედ?**

- მელქისედეკს **ეფრემთან** მიმართებაში, როგორც ჩანს, მუდამ ღრღნიდა ეჭვის ჭია და როცა უკვე ასაკში იყო, თავისთან დაიბარა **ქუთათელი მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე)** და უთხრა, ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში, მოსაყდრედ შენ უნდა დაგტოვოო. ნაუმმა უპასუხა, მე არ ვარ ის კაცი, რომელსაც შეუძლია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქობა, რას იტყვის საზოგადოება, მოსაყდრედ მე რომ დამტოვო მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიაში არის **ეფრემ სიდამონიძე.** მელქისედეკს მისთვის აღარაფერი უთქვამს, გამოიძახა **ურბნელი ეპისკოპოსი დავითი (დევდარიანი)** და ის გამოარჩია მოსაყდრედ. მალე, 1960 წლის 10 ივნისს, გარდაიცვალა კიდეც ღრმად მოხუცებული. დაკრძალულია სიონის ტაძარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების გვერდით.

მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ სინოდმა დავით დევდარიანი მოსაყდრეობიდან გადააყენა და პატრიარქი ეფრემ სიდამონიძე გახდა.

ესაუბრა
**თეა ასათიანი**

**მომავალ ნომერში:**
**პატრიარქმა ეფრემმა მართლმადიდებლური ეკლესია შეუნარჩუნა საქართველოს**

ელადელები სახლში ფეხშიშველა დადიოდნენ, ფეხსაცმელებს კი მაშინ ატარებდნენ, როცა სახლს გალმა გადადიოდნენ. ქალები უმეტესწილად ოჯახზე იყვნენ მიჯაჭვულები და ამიტომ იშვიათად გადიოდნენ ქალაქში. ისინი უბრალო სანდლებს იცვამდნენ, რომლებიც ღვედებით იკვრებოდა. მოგვიანებით ლანჩებს წითლად აფერადებდნენ, ხოლო ფეხსაცმლის დაბოლოებებს ყვითლად ღებავდნენ. თავისი უბრალოებით გამოირჩეოდა ტერფებზე მჭიდროდ შემოხვეული კარბატინები, რომელსაც ხარის ტყავისგან ამზადებდნენ. მთავარი მაინც ლანჩი იყო, რომლის დახვეწილ ფორმას გრეპიდა წარმოადგენდა და მისი მომხიბლაობა იმაში მდგომარეობდა, რომ წვივებამდეც კი ადიოდა ზონარებით და ისინი ბადისებურად იხლართებოდა და მუხლს ქვემოთ წვივზე ან კოჭებთან იკვრებოდა.

ამ ქალაქში მცხოვრებნი უმეტესწილად ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და იცოდნენ ერთმანეთის ფასი. ქალაქი დიდი არ იყო, ამიტომ ქალაქელთა მართვა არ იყო ძნელი და ეს მაშინ, როცა უხუცესი ყველა ქალაქელის ნათესავად ითვლებოდა. როგორც ყველგან, მოთავეებში მეტი საიდუმლო იმალებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ხალხში. ამიტომ ყველა უფრთხოდა სიავის კეთებას, თუმცაღა არც უამისობა იყო. ასეთ შემთხვევაში ყველა ცდილობდა საიდუმლო, რომელიც ისედაც არ დაიმალებოდა და ყველას ყველაფერი ეცოდინებოდა მაინც, ხმამაღლა არ თქმულიყო. აი, ხმამაღლა თქმა წარმოშობდა ათასნაირ უსიამოვნებას. ის მერე საჯაროდ განისჯებოდა. აი, საჯარო განსჯას უფრთხოდა ხალხი, რადგან დამსჯელის პასუხისმგებლობა არ სურდა ეტვირთა. მონა სათვალავში არ იჯერიებოდა, ძაღლის ყეფას უფრო დიდი ფასი ჰქონდა, ვიდრე მონის სიცოცხლეს. ამიტომ მათ წინაშე და მათ მიმართ შეცოდებას არავინ თაკილობდა, რადგან ერთის მხრივ შეცოდებას თვალით მხილველი არ იქნებოდა, მეორე შემთხვევაში კი არც დამამცირებლად ითვლებოდა, და არც ცოდვად.

მედეას ამბავი ბევრმა არ იცოდა, ხოლო ვინც იცოდა, ისინი მკვლელები იყვნენ. [illegible] ქალაქში ამ ამბის [illegible] შიშით, სანამ არ მოიფიქრებდნენ, თუ რით ემართლებინათ თავი. არ სურდათ ქალაქელებისათვის ტკივილი მიეყენებინათ. ამიტომ ოლიმპიურ სანახაობაზე მთელი ხალხი იყო მიწვეული. უნდოდათ თუ არა,

ქალებიც,
ბავშვებიც, მოხუცებიც,
მონებიც კი, -
ერთის სიტყვით,

მთელი ქალაქი უნდა დასწრებოდა. ეს უკვე სავალდებულო იყო.

[illegible]

XIX

[illegible]

[illegible]

თითებს.

უყურებდა საკუთარ ხელებს და ერთმანეთისგან განასხვავებდა -

მარჯვენას მარცხენასაგან

და სწავლობდა ამ განსხვავებათა ნიშნებს.

ამ განსხვავებებითა და მსგავსებით მან ამოიცნო კანონზომიერი და შემთხვევითი მოვლენები, რომლებიც თავის ცხოვრებაში მოხდებოდა. ცივი გონებით განსაჯა მან ყოველივე, რადგან სხვა შემთხვევაში იგი შეცდებოდა და განსჯის ცრუ გზას დაადგებოდა. ამიტომ იგი უნდა ყოფილიყო უცდომელი, რათა ერთი და ისიც სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა საძულველი ქალაქისათვის. ასეთი მიუკერძოებელი არასოდეს ყოფილა, საკუთარი თავისიც უკვირდა და გაოცებული იყო თავის შესაძლებლობებში. როცა ცივი გონებით მოქმედებდა, მაშინაც კი ვნება და გრძნობა კარნახობდა ქმედებათა აუცილებელ გარდუვალობას. მთელი მისი უბედურებაც აქედან მოდიოდა. ახლა საქმე სულ სხვანაირად შემოტრიალდა. იგი გოროზი გულით, თავისთვის სასურველის წაკითხვის უგულებელყოფით, უყურებდა ხელებს და კითხულობდა მისგან მომავალს, რომელიც აუცილებლად დადგებოდა.

მედეას ორივე ხელის მტევანი, თხელი თითებით, გრძელი, რბილი და მოქნილი ჰქონდა. ეს იმას მოასწავებდა, რომ ამ ხელების პატრონი მგრძნობიარე და გამჭრიახი პიროვნება იყო, უმეტესწილად ნაჩქარევ და წინდაუხედავ ნაბიჯებს დგამდა. მისი საქციელი დახვეწილი იყო და სიფაქიზით გამოირჩეოდა, თუნდაც ყველაზე უზნეო საქციელი. იგი შორს იდგა მწარე სინამდვილისგან, რომელთა შედეგების მომკისას ხვდებოდა მის ნაყოფს, შეცვლას რომ აღარ ექვემდებარებოდა. იდუმალი მეოცნებე იყო ამ ხელების პატრონი, აგრეთვე გადაჭარბებული თავმოყვა-

[illegible]




ვებული წარმატებისა, თუ წარუმატებლობის მიმართ, რადგან ეს თითი სწორი და თანაბარზომიერი იყო სხვა თითებთან შედარებით.

არათითი, მართალია, გრძელი იყო, მაგრამ შუათითსა და საჩვენებელ თითებზე მოკლე, - ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მგრძნობიარე იყო, მაგრამ, ამასთანავე, თავდაჯერებული და სწორედ ეს თავდაჯერებულობა არ აძლევდა საშუალებას სრულად და სრულფასოვნად შეეგრძნო მთელი ცხოვრების მანძილზე მასთან მოსული სიყვარული.

ნეკა თითი არ იყო მთლად ისე პატარა და თითების საწყისთა რკალში ჩავარდნილიყო, მიუხედავად ამისა ის არათითის ზედა სახსარს სწვდებოდა. ამ თითის შესწავლით ის დაასკვნა, რომ მას აკლდა სწორუპოვარი ნება, რათა დასახული მიზნები ისე შეესრულებინა, რომ შედეგად თვითონ ყოფილიყო კმაყოფილი.

დიდი თითი კი სწორი და ხისტი ჰქონდა. ეს მის თავდაჯერებულობაზე მეტყველებდა, მის სიფრთხილეზე ამახვილებდა ყურადღებას და მის სიკერპეს უსვამდა ხაზს, რომელთა უმრავლესობა ცხოვრებაში გამოუყენებელი დარჩა, კიდევ ამოიკითხა ერთი-ორი ისეთი თვისება, რომლებსაც არ ავლენდა არასდროს და რომ გამოევლინა, ალბათ მისთვის უკეთესიც იქნებოდა. არ კი გაამახვილა ყურადღება ამ თვისებებზე.

ხელისგულებზე ბორცვებიც შეისწავლა. ამ ბორცვებმა დაადასტურა ყველაფერი, რაც აქამდე ამოიკითხა. მისი მთავარი საწადელი კი მაინც ხელისგულებზე დასმული ხაზები და ნიშნები იყო, რომლითაც კითხულობდა თავის ახლო და შორეულ მომავალს.

მან, პირველყოვლისა, გონების ხაზს გაადევნა თვალი და შეისწავლა მისი მიმართულება. ეს ხაზი თითქმის შუაზე ჰყოფდა ხელისგულს ზედა და ქვედა ნაწილებად. ოვალური დახრა ჰქონდა მას არშეერთებული სიცოცხლის ხაზთან და რკალად დახრილი, განტოტივით მიმავალი მთვარის ბორცვამდე. ამით მედეამ თავისი გონების შესაძლებლობები ამოიკითხა, თუ როგორ იმოქმედებდა და იაზროვნებდა იგი ყველაზე გადამწყვეტი დროის მონაკვეთში. ამ ხაზმა იგი დააიმედა და უთხრა, რომ ამ ხელის პატრონი სწრაფი აზროვნების ადამიანია, რომელსაც უახლოეს მომავალში მოუწევს გონების უკიდურესობამდე დაძაბვა, რათა მოიგოს, ხოლო რა მოიგოს, ეს არ ეწერა ხელზე. ის კი ეწერა, რომ იგი მოიგებდა თავისი სწრაფი და ულმობელი გადაწყვეტილებებით, ეს მისი ცხოვრება იყო, და მიტომ. ხაზი იმასაც ამბობდა, რომ გონების ასეთი დაძაბვა მას ამიერიდან აღარასოდეს შეხვდებოდა, თუმცაღა ახალი ტალღები მოითხოვდნენ მისგან მზადყოფნას ყველაფრის მიმართ. მთვარის ბორცვის მისადგომებთან გონების ხაზი ორად იყოფოდა - ერთი უსასრულობაში იკარგებოდა, მეორე კი ბორცვზე ადიოდა და როგორც უკანასკნელი წერტილი, ისე ჩერდებოდა ბორცვის თავში. ეს კი აღარ მოეწონა მედეას, კოლხეთი გაახსენა ამან, და მიტომ. შემდეგ გულის ხაზი წაიკითხა, რომელიც იწყებოდა იუპიტერისა და სატურნის გაერთიანებული ბორცვისა და მზის გადმოწეული და სატურნის ნარჩენებთან გაერთიანებული ბორცვის შუიდან, ანუ შუათითის სახსრიდან და რკალით ჩადიოდა მერკურის გადიდებული ბორცვის ბოლოში და ჯაჭვისებურად გაედინებოდა ხელისგულიდან. ამით მან გაიგო თავისი სულიერი მდგომარეობა ახლო და შორეული მომავლისთვის. ეს მკვეთრი ხაზი იყო მსგავსად გონების ხაზისა. ამ ხაზმა მედეას უთხრა, რომ იგი ეჭვიანია ყველაფრის მიმართ და ამიტომ აღგზნებული იქნება ყველა წამოწყებათა მიმართ, ცხოვრებისეულ სიახლეებსაც თავკერძობით შეხვდება და მითუმეტეს მაშინ, როცა მუდმივობის ნაკლულობას განიცდის. მეგობრებიც მის ცხოვრებაში ულიმღამო ხაზით ჩაივლიან და არ დატოვებენ კვალს მის ცხოვრებაში. აქედანვე შეეჩვია ღალატს და ყოველგვარი ღალატის მიმართ ამიერიდან გულგრილი გახდება, რადგან ადამიანებს ფასი აქვს დაკარგული მის თვალში და მათი ღალატის ფასსაც ყველაზე მცირე ღირებულება ექნება იმ ადამიანებისვე მსგავსად.

სიცოცხლის ხაზიც დაათვალიერა. ისიც საკმაოდ მკვეთრი და ღრმა იყო, რომელიც იწყებოდა საჩვენებელი თითის გვერდიდან და რკალად შემოევლებოდა ვენერას ბორცვს და მთავრდებოდა ხელის მტევნის პირველ ხაზთან. მარჯვენა ხელზე სიცოცხლისა და გონების ხაზები ერთმანეთს უერთდებოდა წვრილი და პატარა ზოლით, რომელზეც ვერ იტყოდი რომელი მათგანის განტოტვაა, უფრო ის დამოუკიდებელი ხაზი იყო და ამ შეერთებით ერთგვარ სამკუთხედს ქმნიდა. ორი კუთხე დახურული, ხოლო მესამე ღია კუთხე იყო. ამ ღია კუთხიდან იღებდა სათავეს სიცოცხლისა და გონების ხაზები და თავიანთ გზას მიუყვებოდნენ. მათ შუაწელში იყო მხოლოდ ეს შემაერთებელი ხაზი. მარცხენა ხელზე კი ის ხაზი არ იყო, შესაბამისად არ ერთდებოდა სიცოცხლისა და გონების ხაზები, არც სამკუთხედი იქმნებოდა არაფრიდან. აქ ამოიკითხა მედეამ თავისი ბედის და ბედისწერის გაორება, საიდანაც აუცილებლად გამარჯვებული გამოვიდოდა, გადარჩებოდა ყველა ცხოვრებისეულ ორომტრიალს,

იპოვიდა თავის საბოლოო ნავსაყუდარს,

მოიგებდა,

მაგრამ ვერ გაიმარჯვებდა,

მისი მტრებიც წააგებდნენ,

მაგრამ არ დამარცხდებოდნენ.

ცხოვრება და გონება ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმავალნი ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ უხილავი ძაფით და გონების ნება წარმართავდა ცხოვრებას. ეს გადაარჩენდა მას, რომელიც გარეგნულად უხილავი დარჩებოდა, თვით მედეასთვისაც. სიცოცხლის ხაზის მიხედვით, გამძლეობა ნებისმიერ ვითარებაში განუზომლად დიდი ჰქონდა, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავდა არათუ გონიერი, არამედ სულიერი სიძლიერით.

მარცხენა ხელზე გონების ხაზი ხელისგულის შუაში ორად იყოფოდა - ერთი სიცოცხლის ხაზის, მეორე კი გულის ხაზის პარალელურად მიედინებოდა და იქვე ახლოში მთავრდებოდა, წარმოქმნიდა რა კაუჭისმაგვარ ნახაზს.

ამ ხელზე ასევე იყო გულის ხაზიც, ოღონდ იგი სამ განტოტვას აკეთებდა. ამით მედეამ ის ამოიკითხა, რომ გული და გონება ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა სიცოცხლიდან გამომდინარე აუცილებლობით ნაკარნახევი გარემოებების გამო. ეს ჯერ არ მოხდებოდა, ის შორეული მომავლისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო რის შესახებ, ეს ვერ ამოიკითხა.

დასაწყისში განტოტვა თვით სიცოცხლის ხაზსაც ჰქონდა - მარცხენა ხელზე ის ეკლისებურად წაწვეტილიყო, მარჯვენა ხელზე კი პარალელური პატარა ხაზით გამოიყოფოდა. აქ მედეამ დედის სიმწარე ამოიკითხა, საკუთარი დედის სიმწარე. აღარ გააგრძელა ფიქრი დედაზე, ამისთვის ჯერ არ ეცალა, სიცოცხლის ხაზი მას აიმედებდა, რომ მთელ თავის ცხოვრებას საკუთარივე ზედამხედველობით წარმართავდა და გარეშე ვეღარასოდეს ვერ შეცვლიდა მის დინებას. ისიც კმაროდა, რაც აქამომდე შეიცვალა. საკუთარ თავსაც კი გაუწევდა უმკაცრეს მეთვალყურეობას.

ახლა კი დიად გზასაყართან იდგა, რომელთაგან ერთი უფსკრულში იკარგებოდა, მეორე კი ქალაქში შედიოდა. ამ ქალაქში იგი ისე შევიდოდა, რომ გონება არ იაზროვნებდა, ყველაფერს წამიერ ანგარიშმიუცემელ ლტოლვათა მთელი წყება გადაწყვეტდა,

და გადაწყვეტდა მას მედეას სასარგებლოდ.

ქალაქიდან მალე გამოვა დაცლილი.

მაგრამ თუ „დაცლილი"...

მაშინ როგორ „მოგებული",

ან „გამარჯვებული"? ამ კითხვაზე მედეას ბედის ხაზმა გასცა პასუხი. მარჯვენა ხელზე ის მკვეთრი ხაზით მაჯის სახსრიდან იწყებოდა და ხელის შუაგულამდე მიდიოდა, რომელიც არც ერთ ხაზს არ კვეთდა, ხოლო მისი პატარა განტოტვა გონების ხაზამდე ადიოდა ისევე, როგორც სიცოცხლისა და გონების ხაზები უერთდებოდნენ ერთმანეთს. ქვემოდან ამოყოლებული, ვიდრე მთვარისა და ვენერას ბორცვების გაყოფამდე ბედის ხაზი სიცოცხლის ხაზის პარალელურად მიდიოდა, ხოლო ზემოთ კი იგი თავისი განტოტვით სიცოცხლისა და გონების ხაზების შემაერთებელი ზოლის პარალელურად ადიოდა... და საერთო ჯამში ორმაგ პარალელს ქმნიდა სიცოცხლის ხაზისას. ასევე ბედის ხაზი წყვეტილწყვეტილად მთვარის ბორცვის მიმართულებით განიტოტვებოდა და აქაც სამკუთხედს ქმნიდა გონების ხაზთან. მარცხენა ხელზე კი - პატარა ხაზი ძლივს შესამჩნევი იყო და იქვე სიცოცხლის ხაზის დაბოლოებასთან ბორცვებს შორის წყდებოდა და როგორც ლანდი, ისე აგრძელებდა თავის გზას გონების ხაზისკენ, ასევე ხაზის შეწყვეტის ადგილიდან მთვარის ბორცვისკენ გადახრილიყო ერთი განტოტვაც, ისიც არასრულად. იმ დალანდული ხაზის გვერდით ჯვარი იყო დასმული ორი თავით ძირს დადებული და ორი თავით მაღლა ამართული. ამაში მედეამ სიკვდილის ულმობელობა ამოიკითხა. ის სიცარიელე კი მისი უშედეგო გამარჯვების ნიშანი იყო. ჯვარი კი იქნებ ის ხრმალი იყო, საირხემ რომ მისცა და უნდა ეტარებინა საზიდრად მამულის გულისცემის გაგონებამდე. არც ამისთვის ეცალა მედეას ამ წუთში.

მზის ხაზი ბედის ხაზით გადარეცხილიყო და ეს იმას ნიშნავდა, რომ სირთულეებითა და გულაცრუებით იქნებოდა აღსავსე მისი ცხოვრება, ეს წინდამდგარი გამარჯვებაც რომ ვერ მოუტანდა შვებას.

ჯანმრთელობის ხაზი ის მეორე განტოტვა იყო ბედის ხაზიდან, მთვარის ბორცვის მიმართულებით რომ მიდიოდა წყვეტილი ხაზებით მარჯვენა ხელზე, მარცხენაზე კი შეწყვეტილი. ამდენად ბედი და ჯანმრთელობა მედეასთვის თავსატეხს არ წარმოადგენდა. ყოველთვის მკურნალობდა საკუთარ თავს და ამის იქეთაც მნიშვნელოვან ცვლილებებს არ მოელოდა.

არც ხელისგული უქადდა რაიმე გაუთვალისწინებელს.

შთამომავლობის ხაზი არ უძებნია მედეას საკუთარ ხელზე,

არც ქორწინების ხაზის ძებნით შეუწუხებია თავი. ორთავე დიდ ტკივილს აყენებდა მას.

სამაჯურის ხაზები ტალღებივით ირხეოდნენ მაჯისა და ხელის მტევნების საზღვართან და მან ამ ხაზებში პონტოის ტალღები ამოიცნო, მზის სხივები რომ სხლტოდნენ მის ლივლივა ზედაპირზე. „არგო" აკლია ამ ტალღებსო, - გაიფიქრა თავისთვის და მზეს გახედა.

მზემ თვალები მოჭრა და ისევ ხელებს დახედა.

მარჯვენა ხელზე მან მარსის ხაზი აღმოაჩინა სიცოცხლის ხაზის პარალელურად, რომელიც ვენერას ბორცვში იყო ჩაკეტილი და არც ერთ მთავარ ხაზს არ კვეთდა. ეს მისი გაორებული ცხოვრება იყო, მისი ტკივილებითა და საიდუმლოებებით აღსავსე გაორება, ის, რაც აქამდე იყო და ამის იქითაც იქნებოდა. სიყალბესთან და არარაისთან იყო ეს ხაზი ჩასკვნილი და ამიტომ არ კვეთდა იგი არაფერს. მედეას გაორება მაინც მედეასვე დარჩებოდა სიცოცხლეშიც და სიცოცხლის იქითაც.

თითის ბალიშებსაც დახედა და შეამჩნია, რომ ზოგ თითზე ბილიკები მარყუჟისებურად, ზოგზე კი წრიულად ჰქონდა მოხატული. ეს მის კეთილ ბუნებაზე მეტყველებდა, მის ძლიერ ხასიათსა და ცხოვრების მრავალფეროვნებაზე.

განსხვავებული ნიშნებიც ამოიკითხა -

ჯვრები,
ოთხკუთხედები,
სამკუთხედები,
სამკბილები,
ცხაურები,
ლაქები,
კუნძულები,
განტოტვილი, წყვეტილი, ორმაგი და გადაჯაჭვული ხაზები.

ამით მან წვრილმანი თვისებები და მოვლენები ამოიცნო, რომელთა დადგომის ჟამსაც როგორ შეხვდებოდა, ის გაიგო.

მაგრამ საბოლოოდ მაინც საკუთარ თავს დააკვირდა -

ვინ იყო იგი -

მედეა!

ხელის მტევნის მოყვანილობამ მას უკარნახა, რომ იგი ცეცხლოვანი სტიქიის შვილი იყო, რომელშიც განზავებულია ჰაერის ნიშნები და მიწას და წყალს ებრძვის, რადგან მიწამ თავისი სტიქიონით დაიპყრო ცეცხლი, წყალმა კი ჩააქრო ის. ახლა ჰაერი აღვივებს ამ ჩამქრალ ცეცხლს და ახალი ძალით უნდა შეუტიოს ორივე სტიქიას. მან იცის, რომ საბოლოოდ ჰაერის სტიქიონი მას მიატოვებს და მარტოს მოუწევს დაწვა და

იგი დაიწვება ბოლოს საკუთარსავე ცეცხლში.

## XX
## შურისძიების უკანასკნელი ზღურბლი

საკუთარი ხელებიდან მომავლის ამოკითხვით დაღლილმა ისევ მზეს გახედა, თვალები მოჭუტა, რადგან თვალი ვერ გაუსწორა სამყაროს თვალს. ხელები მაღლა ასწია, რათა გადავლებოდა მას მზიანეთის სხივჩქერალები. გველის პერანგმა განზე გადაიწია და მკერდი მოუშიშვლდა, რასაც გრძნობიერად დაეწაფა მზე და აუხურვა ძუძუს კერტები. მოშიშვლებულ ხორცშევსილ ფეხებზეც მოუალერსა ისე, როგორც ხეს,

თუ ბალახს,

ისეთი სიხარულით,

როგორც ბუნების სრულქმნილების ერთ პატარა და ლამაზ ნაწილს.

მზის თვალი შევიდა მედეაში, ნაადრევი თვალი, რომელიც ცეცხლის მცხუნვარებით ნელნელა წვავდა კანს და მზიუროებით აფერადებდა სითეთრეს. ეფერებოდა ისე, როგორც ელადელები გეტერებს, რომ არა რცხვენოდა არაფრის არც ერთ მათგანს.

არც მედეას შერცხვა სიშიშვლის,

არც მზეს - ამ სიშიშვლის დაუფლების.

ადამიანებში კი შემორჩენილი ის გრძნობა: „ვიღაცამ არ შემხედოსო", - მედეასთვის არ არსებობდა, რადგან იმ წუთებში იგი არ იყო ადამიანი. მისთვის არ არსებობდა დაბრკოლება. მას სურდა ეს ალერსი, და იქნებ უფრო მეტიც, მაგრამ დაკმაყოფილდა იმით, რაც იყო, ბუნიაობა დამდგარიყო ქვეყნად, და მიტომ.

თმები ნიავს დაეხვია ხელზე და ათამაშებდა. ეს თამაში ეამა მედეას ისე, როგორც ეამებოდა იმ შორეულ კოლხეთში ბავშვობისას. ჟრუანტელმა დაუარა სხეულს, მთელი გრძნობით კიდევ ერთხელ მისცემოდა ბუნებას. ასეთი ლაღი ომის წინ არავინ ყოფილა.

დაამშვიდა მზემ მედეა. მანაც უგალობა ქვეყნიერების თვალისჩინს.

ხრმალიო, -

გაახსენდა მედეას, -

სად არის ჩემი ხრმალიო?

ბოლოს ჯვრად გარდასახულიყო.

მოიხედა უკან და მიწაში ჩასობილი ნახა ხრმალის სახით. შემობრუნდა და თავის თეთრონთან მივიდა. მიუალერსა ცხენს და ნელ-ნელა გზას გაუდგნენ. ჩამოწვა ბარის სულის შემხუთველი ჰაერი და შეწყვიტეს ჩიტებმა ჟივილი. დაიძაბა მედეა, ცხენმაც აფორიაქებით დაიწყო სვლა და ფლოქვებსაც აღარ დგამდა მწყობრად. ხერხემალი გაუცივდა, ფრუტუნი დაიწყო და მედეას ნება რომ ყოფილიყო, აუცილებლად გადაიკარგებოდა იქედან, რათა არ ეხილა სახილველი. მედეას კი მტკიცედ ჩაეჭირა მისთვის ხელი ფაფარში, მეორე ხელით კი ხრმალი მიჰქონდა. პატრონის სიმტკიცემ გაამხნევა ცხენი და დაცხრა მისი მღელვარება.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქის მისადგომებს, მედეა მით უფრო კუშტი ხდებოდა, წარბები შეეყარა თავისდაუნებურად და ნაოჭებში ჩაიღვარა ღვარძლი და ბოღმა ქალაქის მიმართ, რომელიც სულ მალე მის თვალწინ გადაიშლებოდა. გზისპირას ჩეროში მთის წყარო ჩამოედინებოდა. მივიდა მედეა წყაროსთან და შესვა;

გული გაიგრილა,

სახეზე შეისხა ცივი წყალი,

დილის ხალისიანი ბრჭყვიალები ათამაშდნენ სახეზე.

ცხენმაც იხელთა დრო და წყალს დაეწაფა ისიც. მედეა იქვე, ტყისპირა ბორცვზე ავიდა, გამოარჩია საჭმელად ვარგისი ბალახები, ბლუჯად მოგლიჯა და შეჭამა. შიმშილის გრძნობა გაუქრა.

ისევ წყაროსთან მიბრუნდა,

ისევ დალია წყალი,

თავი დაისველა, როცა წყურვილი მოიკლა.

ცხენიც მზად იყო წასასვლელად, ის უკვე აღარ ფორიაქობდა. მიუახლოვდა მედეა, თავის თეთრონს შუბლზე აკოცა, კეფაზე მოუთათუნა ხელი და მარხილისკენ გასწია. ხრმალი ამჯერად ჯვრად გარდასახულიყო, ხელში აიღო ჯვარი და შვილებს დახედა.

შეეშინდა,

„როგორ შეგცვლიათ სახეებიო, - გაიფიქრა, - სულ მთლად სიკვდილის სახე მიუღიათ ამ პატარა და ლამაზ ბავშვებს. სადაა თქვენი ცოცხალი გამოხედვაო."

აღარ უნდოდა მედეას, ეცქირა შვილებისთვის და უცებ გაბრუნდა ცხენისკენ. ისევ მიეფერა თეთრონს გულმოკლულმა დედამ. ცხენის ფრუტუნმა გამოაფხიზლა და ისევ განაგრძეს გზა. მალე გაივაკეს და ქალაქის კარიბჭეს მიადგნენ. მცველები არ ჰყავდა გალავანს. გაიარა ცოტა მანძილი და ძველ ჩამონანგრევ კედლებს მიადგნენ, იქედან შევიდნენ ქალაქში. მიდიოდა მედეა ქუჩებში და უკვირდა,-

როგორ გაუკაცურებულა ეს ქალაქიო.

სახლები მიეტოვებინათ არათუ მამაკაცებს, ქალებსაც კი.

მტერი ხომ არ შემოსევიაო აქაურობას, მაგრამ დარბეული არაფერი იყო, პირუტყვიც კი შინ საგულდაგულოდ ჩაეკეტათ და ეზოებიდან მოისმოდა მათი ხმები.

- რა ხდება ამ ქალაქში, ჩემო ცხენო, რა ჭირმა გადაიარა ჩემამდეო, ასე რომ წაშალა ადამიანის სახსენებელი აქედანო. ორი დღის წინ როგორ დაგვესხნენ თავს, ხომ გახსოვსო.

ცხენმა ისევ ჩაიფრუტუნა დასტურის ნიშნად, თითქოს გაიგო მედეას ნათქვამიო.

- ეჰ, თეთრონო, შენ კიდევ არ იცნობ ელადელებს. ისინი ასე ადვილად არ დაგვანებებენ თავს.

დაიარეს ქუჩები. ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

გაამხნევა ამ გარემოებამ მედეა, ერთად იქნებიან ქალაქგარეთ და ყველას ერთად გავანადგურებო. მერე ძველი კოლხური შემოსძახა ელადის ქუჩებში, ისე, როგორც აია-ქალაქს მომდგარი აიეტი მიახარებდა გამარჯვებას, მედეას უფრო ეთქმოდა ეს სიმღერა და იმღერა კიდეც:

„ბარს ჩაველ ყმათა გულისთვის,
სიო დავტოვე მთისაო,
ზღვაში გავიდნენ, გავიგე,
სიმური ვჭქიფე წყლისაო".

უცებ ხმა შემოესმა ყიჟინის,
ცხენების ფლოქვების თქარათქურის, სიცილის.

- სადღაც ახლოს არიანო. არ მელიანო. უხარიათ რაღაცაო. მტერი არ შემოსევიათო. გამოდის თუ ღრიანცელია და არც მე მელიან, რაღაც შეჯიბრი იქნებაო. იქნებ თეატრონიაო. უფრო შეჯიბრიაო, რადგან თავდავიწყებულები გატაცებით ყვირიანო. ჰოდა, თუ ასეაო, წავიდეთ და ვეახლოთ მოზეიმეებს სიკვდილის ზეიმად.

მიდიოდა ქალაქის ქუჩებში, ორი დღის წინ რომ ასე საჩქაროდ დატოვა. მიდიოდა და ვეღარ ცნობდა მას, - ასე დაცარიელებულს, გაუკაცურებულს. სად დაიკარგა იმ ქალაქის მრისხანება, რომელმაც ბავშვებზე აღმართა ხელი. ის ისეთი არაა, სირცხვილისაგან საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩაიკეტოს. ქალაქს სირცხვილი არ გააჩნია, ქალაქია, და მიტომ, და მითუმეტეს ელადელთა ქალაქი.

- მოვედი, შენი გმირობის მსხვერპლით, - გასძახა მედეამ ცარიელ ქუჩებს, - დატკბი შენი გმირობის შემოქმედებითო!

ესა თქვა და მკვდარ ბავშვებს გადახადა სუდარა. აქა-იქ კი მოისმოდა შორიდან მოსული ხმები, უფრო სახლები აჩხობდა მას, თორემ ქალაქის მკვიდრნი შორს არ იქნებოდნენ წასულები.

თეთრონს გასცვეთოდა ნაბდები ჩლიქებიდან და ახლა ქვაფენილებზე ახმაურებდა მწყობრ ნაბიჯებს. მედეასაც შემოესმა ეს ხმა და ცხენს ფლოქვებზე დახედა. შეაჩერა ის და აუწია სათითაოდ ყველა ფეხი და შემოაცილა ჩლიქებს უკვე არასაჭირო ნაჭრები. ცხენიც დაემორჩილა პატრონს, რადგან ნაბდის ნაფლეთები სიარულში ხელს უშლიდა და როგორც კი გაითავისუფლა თავი, მისი ნაბიჯები უფრო მწყობრი და გაბედული გახდა. კერპებივით წამომართულიყო სახლები და არაფრისმთქმელი ქვიური სიცივით უყურებდა ქალაქში შემოსულებს, თითქოსდა პატრონების განწყობილება გადასდებოდათ საცხოვრისებს, თითქოს ამ სახლებმა მოახდინა შეთქმულება და ახლა ნიშნის მოგებითა და გულქვა სიხარულით ეგებებოდა სტუმრად მოსულს.

ასეთი სახლები კოლხეთში არ არისო, ასე არ ხვდებიან ჩვენში სტუმრებსო, - ამას გაიფიქრებდა, ალბათ, მედეა. მან იქნებ იცოდა რაზე ფიქრობდა ეს უტყვი ქვები, ან ქვებადვე ქცეული ელადელთა შიშველი ღმერთები.

უცებ შეჩერდა მედეა და შეხედა გადამწვარ სახლს, რომლისგანაც მხოლოდ ჩამოშლილი საყრდენი კედლებიღა დარჩენილიყო. ნაკვერჩხალი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი დანახშირებულ ძელებზე და აქა-იქ ადიოდა სუსტი კვამლი. ნახანძრალზე ჯერ კიდევ ბუღი იდგა და დამწვარი ხეების სუნი ტრიალებდა ირგვლივ. გაახსენდა ბავშვის ნათქვამი; ხმა აღიდგინა შვილის და ტანში ჟრუანტელმა დაუარა ამის გახსენებაზე. გონება დაძაბა და სიტყვა-სიტყვით აღიდგინა ეს ნათქვამი, უყურებდა რა მის გვამს, ასე რომ წაახდინა სიკვდილმა.

- ალბათ, შეიტყვეს ჩვენი გაქცევაო...

გაშავებულ კედლებს უყურებდა მედეა და როგორც წვალება, ისე ესმოდა ეს ხმა და უნდოდა გონებას აღედგინა შვილები და ისინი ამ მახსოვრობაში ცოცხლები უნდა ყოფილიყვნენ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული" №48-58




წარმატებული ქართველი სპორტსმენი ჩამოვიდა ამერიკაში.

**კაპიტონ ჯანაშია** - კარატისტი, შავი ქამრისა და მეორე დანის მფლობელი, საქართველოს ნაკრების წევრი, მსოფლიო ფედერაციის ინსტრუქტორი, საერთაშორისო ტურნირების, საქართველოს მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, პედაგოგი, რომელსაც აღზრდილი ჰყავს მრავალი გამოჩენილი და სახელოვანი სპორტსმენი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. მისმა აღზრდილებმა არაერთხელ ასახელეს საქართველო და სულ ახლახანს კი ისრაელში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე კიდევ ერთხელ გვასახელეს.

დღეს კაპიტონი ამერიკაში განაგრძობს მოღვაწეობას, პირველი ქართველია, რომელმაც სწავლა განაგრძო მსოფლიოში ცნობილ რასკინ კარატეს სკოლაში, რაც შემდგომი გამარჯვებების დიდ იმედს იძლევა.

წარმატებებს ვუსურვებთ კაპიტონს ჩვენი ქვეყნის სახელის გაბრწყინებისათვის ბრძოლაში. კიდევ მრავალჯერ აღმართულიყოს ტატამზე საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა და აგუგუნებულიყოს ჩვენი ქვეყნის ჰიმნი.





პატარა **სალომეს** დაბადებას ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს **ინგა გელენიძესა** და **კახა გაბოშვილს.** პატარას კი ვუსურვებთ სასახელო ქართველად გაზრდას, ჯანმრთელობას და მშვიდობიან სამშობლოში ცხოვრებას.

**მეგობრები**


სწრაფად და შეღავათიან ფასებში
**გთავაზობთ**
ნებისმიერი სახის თარგმანს
ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

American Translators Association, National Association of Legal Interpreters and Translators

NAJIT

საბუთების თარგმანი (ნოტარიზებული); თარგმანის რედაქტირება და კორექტირება; სატელეფონო თარგმანი (Conference call); ხმოვანი ტექსტის გაშიფვრა და თარგმნა.

სერტიფიცირებული თარჯიმნის თანხლება და მომსახურება:
- ☒ საემიგრაციო და სხვა სახის ინტერვიუზე;
- ☒ ადვოკატთან შეხვედრაზე;
- ☒ წინა სასამართლო პროცესზე (Deposion);
- ☒ სასამართლოში; ციხეში;
- ☒ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში;
- ☒ ა.შ.შ. საზღვრის გადმოკვეთისას (საერთ. აეროპორტებში).

ინგლისური ენის გაკვეთილები, მომზადება - ELS, TOEFL, SAT.

დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: 347-236-5921;
ფაქსი: 347-673-6647
ელ-ფოსტა: maya55577@yahoo.com

მომსახურება შესაძლებელია 24/7, ყველა შტატში, ინდივიდუალურად და ფოსტით.


ჩვენს საყვარელ მეგობარს, **დალი ხოფერიას** ვულოცავთ იუბილეს. ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს მუდამ შენი ცხოვრების მეგზური. მალე აგსრულებოდეს ოცნება და ჩახუტებოდე შენს ვაჟკაცსა და შვილიშვილს.

**იამზე გოგუაძე, თამაზ ხარაბაძის ოჯახი,
ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე, მანუჩარ კაჭახიძე**

* * *

ჩვენს **ნინო ხარაბაძეს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგაკლებოდეს სიკეთითა და სილაღით აღსავსე ლამაზი სულის ქალბატონს.

გემღერებოდეს, გეცეკვებოდეს და გემხიარულებოდეს დალაგებულ, მშვიდ სამშობლოში.

**დალი ხოფერია, იამზე გოგუაძე, ზეინაბ ლალიაშვილი,
ნანა ნაკაშიძე, ნანა ქათამაძე, მარინა გელაშვილი**

* * *

ჩვენი ძვირფას მეგობარს **ნანა ქათამაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. სიხარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ვაჟთან და შვილიშვილებთან ჩახუტებას, დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრებას ვუსურვებთ. გაიხარე ჩვენო ნანა!

**იამზე გოგუაძე, დალი ხოფერია,
მარინა გელაშვილი, ნინო ხარაბაძე**




გამოსაცემად მზად არის მანუჩარ კაჭახიძის პუბლიკაციური წერილებისა და ესსეების 620-გვერდიანი წიგნი „წაშლილი სამშობლო", რომლის დაბეჭდვაც ფერხდება მეცენატის არყოლის გამო.

სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი თქვენთაგანი შეიძლება გახდეს ამ კეთილი საქმის თანამონაწილე.

კონკრეტული ინფორმაციისათვის დარეკეთ „მამულის" რედაქციაში.


## მილოცვა

ჩემს სიცოცხლუნას –

ვულოცავ დაბადების დღეს.
სასახელო ქართველად გაზრდას გისურვებ ჩვენი ქვეყნის საამაყოდ და საბედნიეროდ.
კოკო ძალიან მიყვარხარ.
გკოცნი ბევრს.

შენი ნათლია
**დალი გოჯიაშვილი**


**ასოციაცია თვისტომი**

TVISTOMI ASSOCIATION

11 ივლისს, კვირას, დილის 9.00 საათიდან 15.00 საათამდე ასოციაცია „თვისტომის" სამედიცინო ჯგუფი 40 წლის ზემოთ ქალებისათვის ატარებს მკერდის უფასო გამოკვლევას - მამოგრაფიას ბრუკლინის ოფისში.

გამოკვლევები ტარდება ამერიკული ორგანიზაცია Women's outreach network-თან თანამშრომლობით. ეს გამოკვლევები ტარდება ასოციაციის მიერ 2004 წლიდან ყოველ 2-3 თვეში ერთხელ.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში მკურნალობის პროცესიც **უფასოა!!!** ამასთანავე ჩატარდება ორგანიზმის სრული ულტრა-ბგერითი გამოკვლევა და ლაბორატორიული ანალიზები მინიმალურ ფასად.

ჩვენთან უფასო მამოგრაფიის პროგრამაში დათვალიერება გაიარა 800-ზე მეტმა პაციენტმა.

ცნობებისათვის და რეგისტრაციისათვის დარეკეთ 917 379 7141

**ირინა მიქაბერიძე,**
სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელი

2 West End Ave.
Brooklyn, NY 11235
1st Floor, apt 3



მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!




ექიმ

2177 65th st. Brooklyn, NY 11204
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER






თორმეტწლიანი ნდობითა და გამოცდილებით ნიუ იორკში
კორპორაცია „გვანცა" & ნიკო ფანცულაია

**გთავაზობთ ამანათების გადაზიდვას**

საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტსა და დსთ-ს ქვეყნებში





- თვითმფრინავით პაუნტის ღირებულება 3.69;
- ადგილზე მიტანით 25 დოლარის ზედნამატი;
- მგზავრობის ხანგრძლივობა 7-დან 14 დღემდე;
- ტვირთის დაუკარგაობის გარანტია;
- უფასოდ წამოღება ბრუკლინიდან, ნებისმიერი შტატიდან კი ხელსაყრელ ფასად;

4801 2nd Avenue
Brooklyn, NY 11232
Phone: 917-470-4277





*Discount plus*
**YOUR STORE!**

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn

**სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით**





ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.

347-738-5265 ლელა



მაია ნინოშვილის სააგენტო

GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველომდე და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846



უღრმეს მადლობას მოვახსენებ წიგნის გამოცემის საქმეში დახმარებისათვის და გვერდში დგომისათვის ქალბატონ **აზა სიჭინავასა** და ბატონ **გია ჩუბინიძეს.**

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენგვარი ქველმოქმედები!
უფალს ებარებოდეთ!

პატივისცემით **მანუჩარ კაჭახიძე**


## სამძიმარი

გაზეთ „მამულის" რედაქცია, მანუჩარ კაჭახიძე და ნანა ნაკაშიძე თანაუგრძნობს **დეა** და **თემურ შაშიაშვილებს** მამისა და სიმამრის **ვასილ მჭედლიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს სრულიად საქართველოს ერისკაცის, დიდი ქართველი პოეტის **მუხრან მაჭავარიანის** გარდაცვალების გამო.

# DELACQUA
SALON & SPA
PRESENTS




სილამაზის ზღაპრული სასახლის შექმნას თავისი რომანტიული ისტორია აქვს. მისი შექმნის იდეა წარმოიშვა სალონის მეპატრონის ალექსანდრე ბედეროფის მოგზაურობის დროს იტალიაში... ვენეციაში არხებს შორის გონდოლებით მგზავრობის დროს მან სიტყვა მისცა თავის მომავალ მეუღლეს, რომ ამ დღის საპატივცემლოდ და სამახსოვროდ შექმნიდა სალონს.

მასში შერწყმული იქნებოდა ორი არქიტექტურული სტილი.

პირველი სართული ევროპული სტილისაა, რომელსაც ჩვენ მველებურ ეპოქაში მივყავართ – მველებური წვეულებებითა და შეუდარებელი უფლისწულებით. თუმცა უკვე ეს რაინდები აღჭურვილი არიან თმის საშრობებით, სხვადასხვა ატრიბუტებით.

ჩვენს დღევანდელ მომსახურეობაში შედის არა უბრალოდ თმის ვარცხნილობა, არამედ ექსტრავაგანტური, როგორც კლასიკური, ამავე დროს არაორდინალური ახალგაზრდული თმის ვარცხნილობაც: მილირება, გაუფერულება გამათეთრებელის გარეშე, ნატურალურად თმის გაჯანსაღება-გასწორება.

ერთი სიტყვით, ჩვენი ოსტატები დაგეხმარებიან შეარჩიოთ თქვენი ინდივიდუალური სტილი, რომელიც თქვენივე ინდივიდუალურ სამყაროს გადმოსცემს, ხაზს გაუსვამს თქვენს ქალურ შინაგან სამყაროს და მომხიბვლელობას, შექმნის შესანიშნავად თქვენს ხასიათს.

მეორე სართულზე მოულოდნელ სამყაროში მოხვდებით, რადგან წარმოდგენილია ეპოქის მკვეთრი ცვალებადობა – დახვეწილ ევროპაში შემოდის ცხელი აღმოსავლეთი.

ეს სართული დაცულია მაროკოს სტილში, ისეთივე ნახევრადგანათებული, ბალიშებით, შორეული ქვეყნის მსუბუქი არომატიული სურნელით.

ყველაფერი ეს გაძლევთ საშუალებას თავი იგრძნოთ ზღაპრულ სამყაროში და დაივიწყოთ დღევანდელობის ყველა პრობლემა.

სალონი „დელასქუა"
2027 86th Street
Brooklyn, NY 11214

www.delacquasalon.com
delacquaspa@gmail.com
Tell: 718-266-1233

## მომსახურეობის ჩამონათვალი

**შოკოლადის მასაჟი**

კვებავს კანს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ორგანიზმს აძლევს ენერგიას, ხსნის დაძაბულობას დააცოცხლებს კუნთებს.

**წყალმცენარეების ტალახით**

აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, სპეციალური ეთეროვანი ზეთი ხელს უწყობს დაგროვებული ქონების გაწოვას. ამ პროცედურას ჩვენ ვახდენთ სპეციალური სავარჯიშო მანქანებით, ცელულიტის არსებობის გათვალისწინებით.

**სახის მკურნალობა**

მხოლოდ თქვენს სხეულთან ინდივიდუალური მიდგომა, კოსმეტოლოგების პროფესიონალური რჩევა თქვენ გაგიხსნით საიდუმლოებას სახის კანის მოვლის შესახებ. უამრავი ასორტიმენტებიდან თქვენ შეგირჩევენ მხოლოდ იმას, რომელიც პირადად შეგესაბამებათ და მისცემს თქვენ სახეს ახალ ელფერს, გაგისწორებთ ნაოჭებს და თვალის ქვეშ არსებულ მუქ-ჩრდილებსაც გაგიქრობთ.

**მასაჟის ყველა სახეობა ერთად**

ოთხი დასახელების მასაჟით (ღრმა ქსოვილების, რეფლექსური, შუათშუ და შვედური) თქვენ ბედნიერებისაგან თავს მეშვიდე ცაზე იგრძნობთ, გექნებათ გადაადგილების თავისუფალი საშუალება და აფრენის ხალისიც, რომელიც გამოხატულებას იპოვის თქვენს მიმოხვრა-მოძრაობაში.

* * *

არ გაუშვათ თქვენი შესაძლებლობა მიიღოთ ეს სიამოვნება ჩვენს სალონში, აჩუქეთ თქვენს თავს და თქვენს ახლობლებს სიამოვნების დაუვიწყარი წუთები, რომლებიც სასიცოცხლო ძალას და ენერგიას შეგმატებენ.

გააოცეთ და აღტაცებაში მოიყვანეთ გარშემო სამყარო.









# ცნობილი თბილისელი სტილისტის, არმენ მხოიანის „ოქროს ხელები"და „ჯადოსნური მაკრატელი"

არმენ მხოიანის ნამუშევრები პირველ რიგში თბილისის სტილისტთა სკოლის მაღალ ხარისხზე საუბრობენ. მისი კარიერა ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო და აღიარებათა წარმატებით გრძელდება, რაზეც მისი კლიენტების რაოდენობაც მეტყველებს.

არმენ მხოიანი, როგორც ყველა მაღალი მოდისა და ხელოვნების წარმომადგენელი, გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნებით, სტილითა და საქმესადმი მიდგომით. მისი შედევრები აღაფრთოვანებს და აკვირვებს გარშემო მყოფთ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ იგი მაღალი დონის პროფესიონალია.

ეს ნამდვილად ის ემოციებია, რასაც ადამიანები განიცდიან, როდესაც პირველად ნახულობენ მის თავბრუდამხვევ ნამუსშევრებს.

მოდით, ისიც ვაღიაროთ, რომ იყო მანდილოსნების შეუდარებელი სტილისტი და ამავე დროს მათი ფსიქოლოგი, არც თუ იოლი საქმეა.

10 წლის პროფესიონალური მუშაობის შემდეგ, მისი ნამუშევრები წარდგენილნი და შეფასებულნი იყვნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის პროფესიონალების და კორიფეების მიერ. იგი მონაწილეობდა პრესტიჟულ კონკურსებზე და ჩემპიონატებზე. მისი დიპლომები და პრიზებიდან უნდა აღინიშნოს:

- პირველი მონაწილეობა ევროპის ღია ჩემპიონატზე (2003) საქართველოს ათეულთა წევრის რანგში;
- მესამე ადგილი ღია ჩემპიონატზე (ერევანი, 2004);
- პირველი ადგილი schwartzkopf-ის შეჯიბრზე (თბილისი);
- პირველი ადგილი საქართველოს პირველობისთვის 2006;
- მონაწილეობდა სტილისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე (მოსკოვი, 2006);

იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი და წარადგენდა მის მოსწავლეებს სხვადასხვა კონკურსებზე, მონაწილეობდა ღია პირველობისთვის გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში და მსოფლიო სტილისტთა შეჯიბრში ჩიკაგოში.

ამჟამად არმენ მხოიანი მუშაობს ნიუ იორკში, სალონში „დელასქუა", რაც თავად ამ სალონის პრესტიჟულობაზე მეტყველებს.



ასავალ დასავალის პატრონობით

მამული

მთავარი რედაქტორი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR-IN-CHIEF
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

WWW.MAMULI.COM
mamuliusa@gmail.com
347-724-0770

საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

საგამომცემლო საბჭო: ნანა ნაკაშიძე (თავმჯდომარე), ქეთინო მანდარია, დოდო კაცია, ნინო ლორთქიფანიძე, დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე, ნანა უკლებაა, ნანა ანთიძე, ზეინაბ ლალიაშვილი, მაკა ალფაიძე, იამზე გოგუაძე, მერაბ ჩაგანავა